



ციხეხანი

№ 21 / 8 - 14 მარტი / 2010

შანტაჟი უმაღლეს დონეზე – ბურჯანაძე კრემლში **33. 17**

ალასანიას დაგვიანებული სტარტი **33. 14**

იძულებითი ძველმოქმედება **33. 34**

ცხინვალ-თბილისი: ახსოვლუბური ჩიხი **33. 29**

ანაფორიანი ფომღალი **33. 24**

VS: რეგიონული ტელევიზიების ფინანსური ამინსტია **33. 08**

მარკ მალენი: ძალბატონ გაბრიელა ფონ ჰაბსბურგს **33. 10**

კახა თოლორდავა: ძალაქში მოხეტილ კაცის ჩანაწერები **33. 44**



იყიდება!

33. 20

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ფასი 2.80 ლარი

כאחטע **101.9**
fm **כאחטע!**
חנהטן און אר



חנהטן און אר





ფოტო: ლევან ხინჭუაშვილი

წიგნები:

- 02 რედაქტორი
- 04 მოკლედ
- 06 ვრცლად
- 08 **ორი აზრი**
რამდენად მიზანშეწონილია პრეზიდენტის ინიციატივა რეგიონული ტელეკომპანიების ფინანსური ამნისტიის შესახებ?
ავთანდილ გველეზიანი v.s. ია მამალაძე
- 10 **თვალსაზრისი**
ქალბატონ გაბრიელა ფონ შაბსბურგს
მარკ მალენი
- 11 **მიმოხილვა**
ელექტროენერჯის საფასური
პოლიტიკა
- 14 დაგვიანებული სტარტი
- 17 **ბურჯანაძის ვიზიტი მოსკოვში**
შანტაჟი უმაღლეს დონეზე




- ჟურნალისტური გამოძიება**
- 20 იყიდება!
- 24 **ხახუტაშვილების საქმე**
ანაფორიანი ფეოდალი
კონფლიქტები
- 28 ჰამარბერგი ერგენტში მარტო დაბრუნდა
- 29 **კონფლიქტის ზონა**
აბსოლუტური ჩიხი
- 30 **აფხაზეთი**
ახალი მინისტრთა კაბინეტი
- 32 **აფხაზეთი**
გარდაიცვალა აფხაზი ათათურქი
- საზოგადოება**
- 34 იძულებითი ქველმოქმედება

- 37 **რეპორტაჟი ლარსიდან**
გახსნილი დახურული საზღვარი
- 38 **ჯანდაცვა**
რატომ არ უნდა მოხვდეთ რენიმაციამი
საუბრები ლიბერალიზმზე
- 40 როგორი უნდა იყოს თანამედროვე ჟურნალისტიკა
წიგნები
- 42 ბილ კოვჩი, ტომ როზენსტილი
„ჟურნალისტიკის ელემენტები“
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 44 და საერთოდ, ფეხით მოსიარულეთა ავტორიტეტი ძალზედ შეილახა...

ბარეკანზე:

იყიდება!





მედია „ლიბერალის“ ფოკუსში უკვე მეორედ მოექცა. ჩვენ დავსვით აქცენტები და გაჩნდა მთავარი კითხვა – რამდენად შესწევს ქართულ მედიას უნარი, არსებული კონიუნქტურის პირობებში, უპასუხოს დროის ახალ გამოწვევებს და საზოგადოების ინტერესების ადვოკატად იქცეს?

„თანამედროვე რეალობა ძლიერი სახელმწიფოების, გავლენიანი კორპორაციების, ოლიგარქების, მსხვილი ბანკების სამყაროა, სადაც ადამიანებს ისედაც აწუხებთ ჭარბი ინფორმაცია. ამგვარი „ხმაურისა და მძვინვარების“ ხანაში, ჟურნალისტის როლი სცილდება „ინფორმაციის გადაცემი აგენტის“ როლს, ჟურნალისტი ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების სპეციალისტიდან ერთგვარ ადვოკატად, საზოგადოების დამცველად უნდა გარდაიქმნას“, – ნერს გიორგი ცხადია რუბრიკაში „საუბრები ლიბერალიზმზე“.

„1919 წელს ამერიკაში ებტონ სინკლერის წიგნი გამოიცა სახელწოდებით: „სპილენძის ბილეთი – ამერიკული ჟურნალისტიკა“. ავტორის მიზინვნება ცალსახა იყო, ბრალდება საკმაოდ მძიმე – იგი მედიას საზოგადოებაზე მეტად კომერციული ინტერესების მსახურებაში ადანაშაულებდა“, – ამოიკითხავთ რუსუდან რუხაძის რეცენზიაში წიგნის „ჟურნალისტიკის ელემენტების“ შესახებ.

ქართულ ნაციონალურ ტელემაუწყებლებს ფასების ოფიციალური ნიხრები აქვთ დაწესებული იმ კერძო კომპანიებისთვის, რომელთაც საკუთარ პროდუქტზე სარეკლამო სიუჟეტების გადაღება სურთ. სარეკლამო სიუჟეტები სისტემატურად გადის ყოველდღიურ საინფორმაციო და კვირის შემაჯამებელ ანალიტიკურ გადაცემებშიც, მაყურებელი კი ვერ ხვდება, რომ ეს ჟურნალისტიკად გასაღებული კომერციაა – ამაზეა ეკა ჭითანავას სტატია „იყიდება!“.

„ლიბერალის“ ამ მასალებით არა მარტო კოლეგებს, არამედ საკუთარ თავსაც ვაკრიტიკებთ. ვფიქრობთ, რომ ჩვენ, როგორც ჟურნალისტებს, მეტი შეგვიძლია გავაკეთოთ სიტყვის თავისუფლების დასაცავად.

პრეზიდენტი რეგიონულ ტელევიზიებს ძველი ვალებისგან ათავისუფლებს. ეს ფინანსური ამინსტია დაეხმარება თუ ხელს შეუშლის ჟურნალისტებს თავისუფლებისთვის ბრძოლაში – ამას ეხება რუბრიკა „ორი აზრი“.

**მოგწერეთ,
თამარ ბაბუაძე,
საზოგადოების განყოფილების რედაქტორი
tamar.babuadze@liberali.ge**

რედაქტორი: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდიაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი ნინო ჯავახიშვილი / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები სოფო ჭაავა / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუჯია / ჟურნალისტური გამოძიება ბესო კურტიანიძე / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ადამიანის უფლებები და სამართალი ნინო ბუჩქიშვილი / ახალი ამბები ნათია ახალაშვილი რედაქცია: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი ნინო სვანიძე / კორექტორი ნინო საითიძე ბამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი შალვა ჩუბინიძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია

ბამომცემი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სსპ ბამომცემი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „პიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბამომცემი: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი.

www.liberali.ge

ISSN 1987-7528



პროექტი – ჩვენი და „ვეფხისტყაოსანი“ წარმოგიდგენთ ხუთტომეულს:

შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ბოლო რედაქციით;

„მოგითხოვთ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“ – ენციკლოპედიური კრებული პოემისა და მისი ავტორის შესახებ;

„ვეფხისტყაოსანს“ მოგითხოვენ ავთანდილ არაბული და მამია მალაზონია – პოემის პროზაული ვერსია, რომლის ავტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ავთანდილ არაბული. ტექსტს ერთვის მხატვარ მამია მალაზონიას ილუსტრაციები;

„ვეფხისტყაოსანს“ წარმოგიდგენთ ქეთი მატაბელი – პოემის უძველესი ხელნაწერებისა და მხატვარ მამუკა თავაქარაშვილის ილუსტრაციების მიხედვით შექმნილი 52 ფოლიანტი, რომელსაც ახლავს ფილოლოგ ლევან გიგინეიშვილის ესეე ქართულ და ინგლისურ ენებზე;




„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა ბიბლიოგრაფია 1712-2008 წ.წ. – ქართულ და უცხოურ ენებზე დაბეჭდილი პოემის 300-ზე მეტი გამოცემის ჩამონათვალი.

წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ ლიტერატურულ არტ კაფე „ქარავანში“.

მისამართი: ფურცელაძის ქ. 10

ტელეფონი: +995 32 99 66 91

899 67 77 56 ირინა





საფხანბეთი "მისტრალს" ხსნათოჯა ყიღის

ღიმიტრი მეღვეღეღის საფრანღეთიშ გა-
მღჯავრებამღე საქართვეღოსა და რუსეთის
საგარეო საქმეთა სამინისტროები ამტკიცე-
ბღენ, რომ „მისტრალის“ ყიღვის საკითხი ამ
ვიზიტის დროს არ გაღაღწეღბოღა, მაგრამ
ეს ასე არ მოხღა. საფრანღეთის ხელისუ-
ფლებამ საქართვეღოს არღუმენტები, რომ
რუსეთისთვის „მისტრალის“ მიყიღვა მას
საფრთხეს შეუქმნის, არ გაითვალისწინა, და
სარკოზიმ პირვეღიღე ერთობღიღე პრესკონ-
ფერენციღზე განაცხაღა, – „სამხედრო გემის
შესაღძღო გაყიღვის შესახებ ექსკლუზიუ-
რი მოღაპარაკებები დაინყო“. ქართული
მხარის სანუგეშოღ, საფრანღეთის პრეზი-
დენტმა მხოლოღ ის თქვა, რომ რუსეთს
ვერტმფრენმზიღები სამხედრო აღჭურვიღო-
ბის გარეშე გაღაღეღემა.

საქართვეღოს ხელისუფლების შიშს რუსე-
თის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხელმღღ-
ვანღლის ვღადიმირ ვისოცკის განცხადებაც
ამყარებს. მისი თქმით, 2008 წლის ომის
დროს მათ შეიარღლებღში „მისტრალი“ რომ
ყოფიღიყო, რუსეთს საქართვეღოში თავისი
მიზნის მისაღწეღად, 26 საათის ნაცვღად, 40
წუთი დასჭირღებოღა.

ჯრჯერობით კვღავ გაურკვევეღიღა,
რამღენ სამხედრო გემს იყიღის რუსეთი
საფრანღეთისგან. ოთხიღე გემის საფრან-
ღეთში დამზადებღ რუსეთის ინტერესებში
არ შეღის. რუსულ მხარეს მხოლოღ ერთი
ვერტმფრენმზიღის ყიღვა უნღოღა, დანარჩე-
ნი სამის დამზადებღს კი ლიღენზიის ყიღვის
შემღეღ რუსეთში აპირებღა.

„მისტრალის“ ყიღვის შესახებ რუს ძაღო-
ვნებში სხვადღსხვღ მოსაზრებები არსებობს.
მათ ნღწიღს ამ გემების ყიღვა არარაციო-
ნღლურ ნაბიჯად ეჩვენებღთ. რუსმა სამხე-
დროებმა და ურუნღლისტებმა გასული წღის
ნოემბერში „მისტრალის“ პეტერბურღში
დათვღღიღერებისას აღმოაჩინეს, რომ რუსული
ვერტმფრენები ხომღღღის ლიფტში სიმაღღე-
ში ვერ ეტევიღან; ვერტმფრენმზიღი ვერც „ციღ
წყღებში“ მოღრღობს. გამოღის, რომ ჩრდი-
ლოეთის ფლოტში გემის გამოყენებღ გამოი-
რიცხღა და სპეციღლისტების ნღწიღს მხოლოღ
დახურულ ზღვებში (ბღღღის და შავი) მისი
ბაზირებღ სამხედრო თვღღსაზრისით ზეღმეტ
ფუფუნებად მიღწიღა. თუმცღ, ნატო-ს წევრი
ქვეყნისგან სამხედრო შეიარღლების ყიღვის
ფაქტი რუსეთისთვის მაინც პოღიტიკური
საკითხიღა და გარიგების წარმღტებით დამთავ-
რებღ მათთვის განსაკუთრებით მნიშვნეღო-
ვანიღ.

რუსეთის ხელისუფლებამ საფრანღეთში
პრეზიდენტ მეღვეღეღის ვიზიტს სახელმწი-
ფობრივი მნიშვნეღობის სტატუსი მიღწიღა.
ირანის ბირთვული შეიარღლების პრობღე-
მა, ევროპის უსაფრთხოების საკითხები,
ავღღანეთი, საფრანღეთის მიერ რუსეთისგან
14 კოსმოსური რაკეტის „სოიუზის“ ყიღვა,
ახღო აღმოსავღეთის ქვეყნებში სიტუა-
ციების დარეღულირებღ, გაზის მიწოღების
კონტრღაქტები, დიდი რვიღნისა და G20-ის სა-
მიტების მომზადებღ და კიღვე მრავღღი სხვღ
საკითხი განიხიღეს ორი ქვეყნის უმაღღესმა
პირებმა.

მთიანი ყაღბღლი აფხანბეთის წღიღაღბღზე საწბხობს


სომხეთის მეღღა-
საშუღღებებით
გავრცეღღღა ინფორ-
მაციღ, რომ მთიანი
ყარაბღღის დე ფაქტო
რესპუბღიკამ აფხან-
ბეთის დამოუკიღე-
ბღობღ აღიღრღ. ამ
განცხადების ავტორი
მთიანი ყარაბღღის
პარღამენტის საგა-
რეო საქმეთა კომი-
ტეტის თავმჯღღომარე
ვარგამ ათღწესიღნიღ.
მისი თქმით, მთიანი
ყარაბღღის პრეზიდენტის
ბაკო სააკიღნის
დასწრებღ ბღღღღის
ინაუღღრაციის ცე-
რემონიღზე სწორედ
ორმხრივი აღიღრების
დასტურიღ. ათღწესიღ-
ნის ცნობით, უახღო-
ეს მომავღღში სტეპა-
ნაკერტი და სოხუმი
ე.წ. დიპღომატიურ
ურთიერთობებსაც
დაამყარებენ.
საქართვეღოს მთავ-
რობიღღან ამ გან-
ცხადებღს მხოლოღ
სახელმწიფო მინის-
ტრი რეინტეგრაციის
საკითხებში – თემურ
იაკობშვიღი გამოეხ-
მაურღ და დეზინფორ-
მაციღ უწოღა. მისი
განმარტებით, არავის
არაფერი უღღარე-
ბიღა და ეს მხოლოღ
„რომელიღაც პარღამ-
ენტის რომელიღაც
წევრის შეფასებების
ტირღჟირებღ იყო“.

"მინდა, ჩხუბი დაჯერდეთ"

მოსკოვში პრეზიდენტის რანგში პირველად ჩასულ იანუკოვიჩს სამთავრობო აეროპორტში საპატიო ყარაულითა და მარშით დახვდნენ. ეს იანუკოვიჩის მეორე საერთაშორისო ვიზიტია მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი გახდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თავიდან ამ ვიზიტს ოფიციალური სტატუსი უნდა ჰქონოდა, შემდეგ კი გადამწყვეტილება შეიცვალა და ის სამუშაო გახდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში ეს რუსეთ-უკრაინის პირველი ერთობლივი სამიტია, რომლის ფარგლებშიც იანუკოვიჩს მასპინძელი ქვეყნის უმაღლესი პირები შეხვდნენ – ქვეყნის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი.

მედევედევთან შეხვედრისას იანუკოვიჩს არ დაუმალავს, რომ პრეზიდენტის რანგში მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, „რუსეთს დაენიოს“. საპასუხოდ მედევედევმა აღნიშნა, რომ იმედი აქვს, რომ უკრაინისა და რუსეთის ურთიერთობის ცუდი დღეები წარსულს ჩაბარდება. იგი ახლად არჩეულ პრეზიდენტს დაჰპირდა, რომ რუსეთი უკრაინის ინტერესებს სხვადასხვა საერთაშორისო არენაზე დაიცავს.

იანუკოვიჩმა რუსეთის პრემიერს – ვლადიმერ პუტინს შეხვედრისას იმედევი გაუცრუა და საბაჟო კავშირში განვლიანების შეთავაზებაზე პასუხის გაცემას თავი აარიდა. ცოტა ხნით ადრე ახალი პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უკრაინა ამ კავშირში შესვლას არ აპირებს. საბაჟო კავშირი იანვრიდან ფუნქციონირებს და მისი წევრები არიან – რუსეთი, ბელარუსი და ყაზახეთი. იანუკოვიჩმა მოსკოვში გამართულ ორივე შეხვედრაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ განზრახული აქვს რუსეთისა და უკრაინის ურთიერთობების „მკვეთრად შეტრიალება“. რუსეთ-უკრაინის ურთიერთობების დათბობის მომდევნო ეტაპი მედევედევს უკრაინაში ვიზიტი იქნება. იანუკოვიჩმა ის სტუმრად დააპატიჟა.



ჩხუბი

10 ლარით გაეზარდათ თბილისელ პენსიონერებს პენსია პირველი მარტიდან.

15 მილიონი ლარით გაიზარდა თბილისის ბიუჯეტი.

1 მილიარდ დოლარს გადაუხდის საფრანგეთი რუსეთს კოსმოსური ხომალდების „სოიუზის“ გამოყენების პროგრამისთვის.

145 პროცენტით გაიზარდა მიმდინარე წლის თებერვალში, გასული წლის იგივე პერიოდთან შედარებით, მშენებლობის ნებართვების გაცემის მაჩვენებელი.

სიტყვები



„ქვეყანა, სადაც მე მივემგზავრები, არის ჩვენი მეზობელი სახელმწიფო, ერთ-ერთი ძალიან დიდი და ძლიერი სახელმწიფო და, ბუნებრივია, რომ მნიშვნელოვანია ამ სახელმწიფოს პოზიცია საქართველოს ერთიანობისთვის, საქართველოს დემოკრატიული და სუვერენული განვითარებისთვის.“

მაშინ, როცა ზოგი მერის არჩევნებითა დაკავებული, და ხელისუფლება კიდევ – ოპოზიციის წინააღმდეგ შავი პიარით, მე დიდ პოლიტიკას ვაკეთებ.“

ნინო ბურჯანაძე

3 მარტი, რადიო „თავისუფლება“

„ამერიკელი საზღვაო ქვეითები, რომლებიც მათ [ქართველ ჯარისკაცებს] წვრთნიან, ამბობენ, რომ ეს ჯარისკაცები საუკეთესო არიან, ვინც საერთოდ უნახავთ. ბევრი მათგანი კოალიციასთან ერთად ერაყში იბრძოდა. ვინც საქართველოს იცნობთ, ალბათ იცით, რომ ეს, ავღანეთის მსგავსად, მთაგორიანი ქვეყანაა. მათ ბრძოლის უდიდესი ტრადიცია აქვთ.“

რიჩარდ პოლბრუკი

2 მარტი, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური ვებგვერდი

„მე აღარ ვიყრი კენჭს პრეზიდენტად. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ის იდეოლოგია, რომელსაც მე წარმოვადგენ, აღარ იქნება პრიორიტეტული საქართველოს მოსახლეობისთვის. არ იქნება სააკაშვილი, იქნება ვინმე სხვა. მაგრამ კურსი იქნება იგივე.“

მიხეილ სააკაშვილი

1 მარტი, რუსული ჟურნალი „კომერსანტ- ვლასტი“

აშშ-ს ხონბიხსი: სომხების ბენოსიდი ფაქსი

აშშ-ს კონგრესი აღიარებს, რომ 1915-1923 წლებში სომეხი ხალხი თურქების მხრიდან გენოციდის მსხვერპლი გახდა.

თათულ ჰაკოფიანი, ერევანი



„ციცერნაკაზბერი“ მემორიალური კომპლექსი, ერევანი

რეზოლუცია 252, 23-სა და 22 ხმას შორის მერყობით.

ნატო-ს წვერი თურქეთი, რომელსაც ალიანსში სიდიდით მეორე არმია ჰყავს და ახლო აღმოსავლეთში სულ უფრო მზარდი გავლენა აქვს, აშშ-სთვის მნიშვნელოვანი რეგიონული მოკავშირეა. იგი ასევე მნიშვნელოვანი ბაზარია აშშ-ს საჰაერო ინდუსტრიისთვის.

თურქეთმა თავიდანვე განაცხადა, რომ ამ რეზოლუციის მიღებით აშშ-სთან მის ურთიერთობას და სომხეთთან კავშირის აწყობის მცდელობას ზიანი მიადგებოდა. თურქეთმა და სომხეთმა შარშან ხელი მოაწერეს პროტოკოლს ორმხრივი ურთიერთობის მოგვარებასთან დაკავშირებით, თუმცა ის ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცონ ორივე ქვეყნის პარლამენტებმა. თურქეთმა სომხეთს წაუყენა მთელი რიგი პირობები, რომელიც მან უნდა შეასრულოს, ვიდრე ის ამ საბუთს ხელს მოაწერს.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი შეეცადა, დაერწმუნებინა თეთრი სახლის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ჰოვარდ ბერმანი, რომ მას გენოციდის აღიარების სასარგებლოდ ხმის მიცემისგან თავი შეეკავებინა. თუმცა, ბერმანი მაინც ჩაერთო დებატებში. მისი თქმით, მართალია, თურქეთი ამერიკისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პარტნიორია, სომხების გენოციდზე თვალის დახუჭვას მაინც ვერაფერი გაამართლებს. კენჭისყრიდან მოკლე დროში ოფიციალურმა ანკარამ თქვა, რომ აშშ-ში თავის ელჩს „საკონსულტაციოდ“ გამოიწვევს. ასევე მან გააფრთხილა ვაშინგტონი, რომ ამას, შესაძლოა, სხვა ნაბიჯებიც მოჰყვეს.

„ჩვენ ვგმობთ რეზოლუციას, რომელიც თურქ ერს იმაში ადანაშაულებს, რაც მას არ ჩაუდენია. ეს გადაწყვეტილება, რომელსაც შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს თურქულ-ამერიკულ თანამშრომლობაზე, სტრატეგიული ხედვის სიმწირეზე მიუთითებს“, – აღნიშნულია თურქეთის მთავრობის წერილობით განცხადებაში.

20-ზე მეტმა ქვეყანამ, საფრანგეთის ჩათვლით, ახლახან მიიღო რეზოლუციები, რომელთა მიხედვით, 1915-1923 წლების მოვლენები განოციდად არის შეფასებული. სომხეთში აშშ-ს კონგრესის გადაწყვეტი-

თურქეთმა მწვავე რეაქციით უპასუხა აშშ-ს კონგრესის რეზოლუციას, რომლის მიხედვითაც, 1915-1923 წლებში ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე მომხდარ მილიონ-ნახევარი სომეხის მასობრივ მკვლელობას გენოციდის განსაზღვრება მიეცა. კონგრესის რეზოლუცია აშშ-ს პრეზიდენტს მოუწოდებს, 1915-1923 წლებში მომხდარი ფაქტი 24 აპრილის წლებიდან მიმართვაში გენოციდად შეაფასოს. მიუხედავად ნინასაარჩევნო

კამპანიისა, პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ შარშან, 24 აპრილს სომხებისადმი მიმართვისას სიტყვა „გენოციდის“ სენეზისგან თავი შეიკავა (აშშ-ს პრეზიდენტი ყოველი წლის 24 აპრილს – გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნის დღეს, სომეხ ხალხს უსამძიმრებს).

ერთი მხრივ, თეთრი სახლის და, მეორე მხრივ, თურქეთისა და თურქი ლობისტების დიდი ზეგავლენის მიუხედავად, აშშ-ს საგარეო საქმეთა კომიტეტმა მიიღო

ლებას სიხარულით შეხვდნენ, თუმცა მას ოფიციალური ერევნის დამსახურებად არ მიიჩნევენ. ერევანში ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში – სერჟ სარგსიანის პრეზიდენტობისას, ოფიციალურ ერევანს მსოფლიოს მასშტაბით სომხური გენოციდის აღიარების ხელის შესანწყობად არაფერი გაუკეთებია.

„ეს რეზოლუცია კიდევ ერთხელ ადასტურებს ამერიკელი ხალხის ერთგულებას ადამიანის უნივერსალური ღირებულებებისადმი“, – წერია სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ ნალბანდიანის მოხსენებაში.

ამკარაა, რომ 252-ე რეზოლუცია, პირველ რიგში, სომხური ლობის პასუხი იყო პრეზიდენტ სერჟ სარგსიანის ახალ თურქულ პოლიტიკაზე. ლობისტებმა, ყველაზე მეტად კი „დამნაცვლტუნის“ პარტიის მხარდამჭერებმა, სარგსიანს და ნალბანდიანს თავისი სიძლიერე დაუმტკიცეს: სომხური გენოციდის აღიარების პროცესში მნიშვნელოვანი გამარჯვება მაშინ მოიპოვეს, როცა ოფიციალურმა ერევანმა, თურქეთთან ურთიერთობების აწყობის სანაცვლოდ, ეს თემა უკანა პლანზე გადასწია.

ამერიკის საგარეო საქმეთა კომიტეტი მსგავს რეზოლუციებს 2000, 2002 და 2007 წლებში უკვე მფარველობდა. თუმცა, აქამდე შეერთებული შტატების წინა ადმინისტრაციების ძლიერი ზენოლა რეზოლუციის წარმომადგენლობით პალატამდე მიღწევას ხელს უშლიდა.

4 მარტის კენჭისყრასთან დაკავშირებით ყველა დუმდა. მოსმენის ჩაშლა პრეზიდენტმა ობამამ და ჰილარი კლინტონმა ბოლო წუთებში მანძი ცვადაც. მათი თქმით, გენოციდის საკითხი თურქეთისა და სომხეთის გადასაწყვეტი იყო და რეზოლუცია ცუდად აისახებოდა სომხურ-თურქულ შეთანხმებაზე, რომელიც ახლა ორივე ქვეყნის პარლამენტში რატიფიკაციას ელის.

ჯერ გაურკვეველია, როგორ იმოქმედებს შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა კომიტეტის რეზოლუცია სომხურ-თურქულ ურთიერთობებზე.

შეერთებული შტატების კონგრესის საგარეო საქმეთა კომიტეტის გადაწყვეტილების მიუხედავად, თურქეთი ეცდება, დააჩქაროს სომხეთთან ურთიერთობების დარეგულირება. „ჩვენ მონადინებული ვართ, რომ სომხეთთან ურთიერთობა მოვაგვაროთ“, – განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ახმედ დავუდოღლუმ. თუმცა დაამატა, რომ სომხეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების საპარლამენტო რატიფიკაცია სარისკოა.



11 წლის ჰაიდარ ალიევის 44-მილიონი შენაძენი

დუბაის უძრავ ქონებაზე ძვირადღირებული გარიგებები აზერბაიჯანის პრეზიდენტის მიმართ კითხვებს ბადებს.

ენდრიუ ჰიგინსი, 5 მარტი, 2010

იმ ქალაქის სტანდარტებთანაც კი, სადაც დიდძალი ქონება და უამრავი ფული არავის უკვირს, ასეთი შთაბეჭდილება შენაძენი ასეთ მოკლე დროში მოულოდნელობა იყო: შარშან, სულ რაღაც ორ კვირაში 11 წლის აზერბაიჯანელმა ბიჭუნამ დუბაიში ცხრა ოკეანისპირა რეზიდენცია შეიძინა.

შენაძენის საერთო ქვითარია დაახლოებით 44 მილიონი დოლარი – თანხა, რომლის გამოსაბეჭდავებლადაც საშუალო სტატისტიკურ აზერბაიჯანელს ათი ათასი წლის მუშაობა სჭირდება. მაგრამ მოზარდს, რომელიც დუბაის უძვირეს უძრავ ქონებას დაეპატრონა, ყველაფერი შეიძლება უწოდო, საშუალო სტატისტიკურის გარდა.

დუბაის მინის დეპარტამენტის მონაცემებით, ბიჭს ჰეიდარ ალიევი ჰქვია – რაც აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ვაჟის სახელს უცნაურად ემთხვევა. მისი დაბადების თარიღი, ამავე მონაცემებით, პრეზიდენტის ვაჟის დაბადების თარიღის იდენტურია.

აზერბაიჯანის ხელისუფლების ოფიციალურმა წარმომადგენლებმა უარი თქვეს, განემარტათ, როგორ მოხდა, რომ პრეზიდენტის ვაჟმა – ანდა აზერბაიჯანის სკოლის მოსწავლე ბიჭუნამ, იმავე სახელითა და დაბადების მონაცემებით – პალმ იემირატში ორი რეზიდენცია შეიძინა. ეს ის ელიტური კლასის უბანია, რომელიც

ბრიტანეთის მულტიმილიონერ ფეხბურთის ვარსკვლავებსა და ყველა იმ მდიდარ ადამიანს იზიდავს, რომლებმაც აღარ იციან, ფული როგორ დახარჯონ. ილჰამ ალიევის პრეზიდენტის ხელფასი 228 ათასი დოლარის ეკვივალენტია, რაც პალმში ყველაზე პატარა მინის ნაკვეთის შესაძენდაც კი არ კმარა.

პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა აზერ გასიმოვმა უარი თქვა, დუბაიში რეზიდენციების შესყიდვის თაობაზე კომენტარი გაეკეთებინა: „სათქმელი არაფერი მაქვს. ვწყვეტ თქვენთან საუბარს. ნახვამდის“, – თქვა მან სატელეფონო საუბარში. გასიმოვმა უპასუხოდ დატოვა შემდეგ ფაქსით, მეილითა და მობილური ტელეფონით გაგზავნილი შეტყობინებებიც.

აზერბაიჯანი, რომელიც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა, ნავთობისა და გაზის მდიდარი მარაგითაა დაჯილდოებული, მაგრამ მდიდრულ დედაქალაქის გარეთ მდებარე რეგიონებში სიღატაკე სუფევს, კორუფცია კი მთელი ქვეყნისთვის მწვავე პრობლემაა. დუბაის შემთხვევა, რომლის შესახებ პირველად ახლა გახდა ცნობილი, შესაძლოა, იმის იშვიათ, კონკრეტულ თვალსაზრისობადა იქცეს, თუ რა რაოდენობის კაპიტალი დააგროვა ქვეყნის მმართველმა ელიტამ და როგორ გადაძალეს მათ ამ სიმდიდრის ნაწილი საზღვარგარეთ.



მომხრე

ავთანდილ გველებიანი

სამაუწყებლო კომპანია „გურიას“

ალმასრულებელი დირექტორი

პრეზიდენტის ინიციატივა ნამდვილად დროული იყო. ამ ვალის გამო, ჩვენი ტელეკომპანია დიდხანს გაჩერებული იყო. სამაუწყებლო კომპანია „გურიას“ ვალი ოთხმოცდაათიან წლებში დაუგროვდა. ამის მიზეზი ის მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონი გახდა, რომელიც ამ წლებში რეგიონებში იყო. სამოქალაქო ომისა და საყოველთაო განუკითხაობის პირობებში, რამდენჯერმე გაგვეჭურდეს კიდევ. გარდა ამისა, ტელეკომპანიებს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ბიზნესსტრუქტურას, იმდენი სახის და იმდენად მაღალი გადასახადები ეკისრებოდათ, რომ ფაქტობრივად შეუძლებელი იყო იმ მნიერი შემოსავლებით მედიას თან ეარსება და თან გადასახადი ეხადა. მაგალითად, საშემოსავლო გადასახადი 31 პროცენტი იყო, არსებობდა სოციალური გადასახადი, ასევე საგზაო გადასახადი და კიდევ უამრავი სახის გადასახადი, რომელთა მნიშვნელობა არც კი ვიცოდით. 2004 წლიდან საგადასახადო სისტემა გამარტივდა. ბევრი საერთოდ აღარ არსებობს, საშემოსავლო გადასახადი კი 20 პროცენტამდე შემცირდება.

ეს ვალები ახრჩობს რეგიონულ ტელევიზიას. 90-იან წლებში დაგროვილი ჩვენი ტელეკომპანიის დავალიანება, თავისი საურავებით 100 ათას ლარს აჭარბებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოვახდინეთ ამ ვალის რესტრუქტურირებაცია, ანუ 2009 წლის იანვრიდან 2011 წლის იანვრამდე ეს დავალიანება გაიყინა, და ჩვენ შეგვიძლია ყველა გადასახადი თავისუფლად ვიხადოთ, მაინც დიდი თანხაა იმისათვის, რომ რომელიმე რეგიონულმა პატარა ტელეკომპანიამ ოდესმე მოახერხოს მისი დაფარვა. გრანტები რომ არ გვექონდეს, მხოლოდ რეკლამებით ვერ ვიარსებებდით.

როგორც რამდენიმე წლის წინ ბიზნესი გათავისუფლდა ამნისტიით, ისევე უნდა გათავისუფლდეს მედია, მით უმეტეს მაშინ, როცა ეს ვალები დაფარული არ არის.

ისედაც მნიერი ფინანსური შემოსავლების პირობებში პრეზიდენტის ეს ინიციატივა რეგიონებში მედიის განვითარებას შეუწყობს ხელს. მედიის განვითარება კი დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების წინაპირობაა. ცენტრალურ არხებზე ნაკლებად ჩანს, თუ რა აწუხებს რეგიონში მოსახლეობას. ისინი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში აშუქებენ რეგიონებს – თუ რაიმე კურიოზი ან სტიქიური უბედურება მოხდა, ან ტრაგედია დატრიალდა, ან ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი ჩამოვიდა. იმას, თუ რა აწუხებს ადგილობრივ მოსახლეობას, მხოლოდ ჩვენ ვაშუქებთ.

რაც შეეხება იმ ადამიანების დასჯას, ვისაც წვლილი მიუძღვის ჩვენი ვალების ხელოვნურად დაგროვებაში, ეს შეიძლება კარგი იდეაა, მაგრამ, იმდენი დრო გავიდა, რომ მათთვის პასუხის მოთხოვნა ალბათ არარეალურია. ჩვენ რომ 92 წელს ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას დაველოდოთ, მაშინ ტელევიზია გაჩერდება.

რადგან სახელმწიფოსადმი დავალიანებაზეა საუბარი, სახელმწიფო თავად გაარკვევს, ვის ჰქონდა ეს ვალები



ხაზუნად მოხანშენი ინისიასიჰვა ხაბიონა ფინანსუხი აზნი

დაკისრებული სამართლიანად და ვის – უსამართლოდ. შესაბამისად, არა მგონია სახელმწიფომ თავი დაიზარალოს და ისეთ მედიას ჩამოაწიროს ვალები, რომელთაც მართლა ეკუთვნით ამის გადახდა.

რაც შეეხება მედიაზე ზენოლას, გაჩნდა აზრი, რომ ამ ინიციატივის შემდეგ რეგიონული ტელევიზიები „ვალში“ აღმოჩნდებიან სახელმწიფოსთან, და წინასაარჩევნოდ მმართველი პარტია ამას გამოიყენებს. მე მგონი, ადამიანს თუკი ვალი აქვს, იმ ადამიანზე ზენოლა უფრო ადვილია. ხელისუფლებას შეეძლო ეს ვალები დაეტოვებინა და ზენოლის უფრო მეტი მექანიზმი ექნებოდა.

ჩემი აზრით, ეს არის იმ ტალღის ნაწილი, რომელსაც მივეყვართ დემოკრატიის განვითარებისკენ და მედიის გათავისუფლებისკენ. მას შემდეგ, რაც ვალები ჩამოგვეწერება, უფრო თავისუფლად შევძლებთ ჩვენი ფუნქციების განხორციელებას და, ფინანსური პრობლემების გარეშე, რეგიონული მედია წელში გაიმართება. **■**



ფოტო: ლანსე ნინიშვილი

ინიცია ჰეზიდანის დი ტაქოზანიების სხვის შესახებ?



მონინალმდევე

ია მამალაძე

საქართველოს რეგიონული მედიის
ასოციაციის თავმჯდომარე

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია გამომცემლებს აერთიანებს, ჩვენ ვიყავით ინიციატორი აქციებისა, რომლითაც აჭარაში მაუნყებელ ტელეკომპანია „25-ე არხს“ დაუჭირეთ მხარი. ჩვენ ამ ტელეკომპანიის ვალებს და ამ ვალების საფუძველზე მოსალოდნელ შედეგებს ვაპროტესტებდით. თუმცა ჩემი პოზიცია ასეთია: თუ არ შევისწავლით დავალიანების წარმოშობის ისტორიას და არ დაისჯებიან მედიაორგანიზაციების ფინანსური წნეხით დამორგუნველი საჯარო პირები, მუდმივად ახალი ამნისტიის მოლოდინში ვიქნებით. თუ ჩვენ ასეთ ერთჯერად გადაწყვეტილებებს მივეჩვიეთ, ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ ნებისმიერი ტელეკომპანიის მფლობელი დააგროვებს ვალებს და დაელოდება მორიგ ამნისტიას არჩევნების წინ.

დარწმუნებული ვარ, ვალების ერთჯერადი ჩამონერა ვერაფერს შეცვლის (სხვათა შორის, პრეზიდენტის ვებგვერდზე განთავსებულ საპარლამენტო მოხსენების ტექსტში რეგიონულ ტელეკომპანიებთან ერთად ეროვნული მაუნყებლებიც არიან მოხსენიებული, მაგრამ პრეზიდენტმა მხოლოდ რეგიონული მაუნყებლები ახსენა!).

ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, რომ ეს გადაწყვეტილება პრეზიდენტმა საკითხის ღრმად შესწავლისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციით მიიღო – ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემის ირგვლივ არსებობს რეკომენდაციებიცა და ჩაღრმავების აუცილებლობაც, მაგრამ ეს საკითხები გადაუჭრელი რჩება. ამასთან, ამგვარ ერთჯერად აქტებს ხშირად რიტორიკისთვის იყენებენ. მაინტერესებს, მოჰყვება თუ არა ამ ამნისტიას, მაგალითად, გურიაში მაუნყებელი ტელეკომპანია „მადის“ ხელმძღვანელის გათავისუფლება, რომელიც, ოფიციალური ვერსიით, სწორედ 100 ათასი ლარის დავალიანების, არაოფიციალური ვერსიით კი, „მაესტროს“ ეთერში ჩართვის მცდელობის გამო დაიჭირეს?

საგადასახადო ამნისტია ვერ შეცვლის ტელეკომპანიებზე ზენოლის იმ მეთოდოლოგიას, რაც უკვე არსებობდა. ხელისუფლებისთვის ეს ვალები ზენოლის მხოლოდ ერთ-ერთი მექანიზმი იყო. ძალიან კარგია, რომ ამისგან ტელეკომპანიები გათავისუფლებიან, მაგრამ არსებობს სხვა ხერხებიც. თუნდაც „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ არაძირეული, მაგრამ ფაქტზე დამყარებული კვლევის შედეგად საექვოდაა მიჩნეული მედიამფლობელების ვინაობის დამალვა, ტელეკომპანიების მფლობელების გავლენები და მათი დამოკიდებულება მმართველი პოლიტიკური პარტიისადმი.

თუ სახელმწიფოს მედიის განვითარების სურვილი აქვს, უამრავი მეთოდი არსებობს ამის განსახორციელებლად, მათ შორის – ბიზნესგარემოს გაუმჯობესება. არადა, 2007 წელს, როცა ბექდური მედიის საგადასახადო შეღავათების ვადა ამოიწურა, ხელისუფლებამ ამ შეღავათების გაგრძელების არც ერთი არგუმენტი არ ჩათვალა საკმარისად. სხვათა შორის, აქვე უნდა ითქვას, რომ მაშინ მხოლოდ პრესისთვის შეღავათების დაწესება ასევე ცალმხრივი იყო და ხელისუფლება ამის ახსნას პრესის უმნიშვნელო და ტელეკომპანიების მაღალი შემოსავლებით ხსნიდა. არც მაშინ და არც დღეს ხელისუფლებას საზოგადოებისთვის არ მიუწოდებია მყარი არგუმენტები, თუ რატომ, რა ეკონომიკური და შინაარსობრივი ეფექტის მისაღებად ამბობდა უარს პრესისთვის დაწესებულ შეღავათებზე, ან რა უდევს საფუძვლად დღევანდელ ამნისტიას. ამიტომ ჩნდება ეჭვი, რომ პრესა მაშინ დაუმორჩილებლობისთვის დაისაჯა, ხოლო დღეს ტელეკომპანიები ლოიალობისთვის დაჯილდოვდნენ. პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადება ძალიან ბუნდოვანია და მან საზოგადოებას უნდა მიანოდოს უფრო მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება ეს ამნისტირება.

ჩემი აზრით, როცა საუბარია ტელეკომპანიების დამოუკიდებლობის ხარისხზე და მათ განსაკუთრებულ კონფორმიზმზე, საკმარისი არაა სახელისუფლებო წრეებთან მფლობელთა ნათესაური ან მეგობრული კავშირები ვეძებოთ; ისევე როგორც ბექდური მედიის შემთხვევაში, ელექტრონულ მედიასეგმენტში კვლევები კონტენტის შესასწავლად უნდა ტარდებოდეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნები ამა თუ იმ მედიაორგანიზაციის თავისუფლების ხარისხის შესახებ. **■**

ქაბახონ ბახიანი ფონ ჰაბსბურგის



საქართველოს ახალი ელჩი გერმანიაში ქართველებს და, განსაკუთრებით, ხელისუფლების წევრებს გერმანიასთან ახლებური ურთიერთობების გააზრებაში უნდა დაეხმაროს.

მარკ მალენი

ეს არის ჩემი მოსაზრებები გერმანიაში საქართველოს ახალი ელჩის, გაბრიელა ფონ ჰაბსბურგის მიმართ. მათ, ვინც ჯერ კიდევ არ იცის, ვეტყვოდი, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ჩვეული თამამი ნაბიჯი გადადგა და ქალბატონი ჰაბსბურგი ბერლინში საქართველოს წარმომადგენლად დანიშნა. ამით დააფასა მისი ხანგრძლივი კავშირები საქართველოსთან და გერმანიის შესანიშნავი ცოდნა. მე არ ვარ გერმანიის ან საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი, და დარწმუნებული ვარ, ქალბატონმა ჰაბსბურგმა ამ საკითხებზე იმაზე მეტი იცის, ვიდრე მე ოდესმე ვისწავლი. ამიტომ, ისე ვერ გავკადნიერდები, რომ რჩევა მივცე, მაგრამ დახმარებას კი ვთხოვ.

ვიმედოვნებ, რომ იგი დაეხმარება ქართველებს და, განსაკუთრებით, ხელისუფლების წევრებს გერმანიასთან ურთიერთობების გააზრებაში.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ შეწყდეს ლაპარაკი მეორე მსოფლიო ომის დასაწყისზე, „დაშოშინების პოლიტიკაზე“, პოლონეთის დაპყრობასა ან 1938 წლის მიუნხენის კონფერენციაზე. ამ თემებს ზოგიერთი ქართველი ისე ატრიალებს ჰაერში, რომ გერმანელები ძალიან შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს; უფრო უარესიც, გერმანელები იმდენად თავაზიანები არიან, რომ შეურაცხყოფას ხმამაღლა არ გამოხატავენ, ჩუმად ბრაზდებიან და მათთვის მიუღებელი სიტყვების გაგონების შემდეგ აღარაფერი ესმით.

გერმანიის მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გავლილი გზა – ომის წაგების საკუთარი თავის სასარგებლოდ გამოყენება – მთელი მსოფლიოსთვის სამაგალითოა. გერმანიამ მსოფლიოს აჩვენა, რომ ომის წაგება, თუ სწორად იქნება გამოყენებული, ერისთვის, საბოლოოდ, დადებითი კარმის მომტანია. საქართველოს ომების წაგების დიდი ისტორია აქვს, მაგრამ საკუთარი თავის გაანალიზებისა და მასზე სწავლის გამოცდილება – ნაკლები. ამიტომ, საქართველოს არც ისეთი ძლიერი პოზიცია აქვს, რომ გერმანია განსაჯოს.

ხანდახან, ქართველები იმდენად გაერთობიან ხოლმე გვიანი 1930-იანი წლების ცენტრალურ ევროპასა და თანამედროვე კავკა-

სიას შორის პარალელების გავლებით, რომ ჰგონიათ, გერმანიას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ენიჭება და ეს რუსეთთან მიმართებაში საქართველოს მხარდაჭერით უნდა გამოიხატოს. სინამდვილეში, ეს მოსაზრება მცდარია. ჰაბსბურგების მმართველობა დაახლოებით 90 წლის წინ დასრულდა დიდი ომით, რომელიც თავიდან პატარა ევროპულ ქვეყანაში მცირე შეტაკებებით დაიწყო. მათ არც ეს დაეინყებიათ.



ჯორჯ ბუში და გაბრიელა ფონ ჰაბსბურგი

ზოგიერთი თბილისური დისკუსიის დროს შეიძლება გეფიქრა, რომ ბერლინის ნახევარი მოსახლეობა კრემლისგან ფინანსდება. უდავოდ უამრავი ფული მიედინება გაზბრომიდან და რუსეთიდან გერმანიაში, ღიად თუ ფარულად, ისევე, როგორც ვაშინგტონიდან – თბილისში. მიუხედავად ამისა, ზოგიერთები თბილისში ოდნავ ჩქარობენ, როდესაც ყველას, ვინც სიტუაციის გააზრების მათ ვერსიას არ ეთანხმება, რუსეთის აგენტებად მოიხსენიებენ. ეს არ უწყობს ხელს ურთიერთგაგებას.

საქართველომ უკეთ უნდა გაიგოს ის, თუ როგორ აღიქვამს გერმანია საკუთარ როლს მსოფლიოში. მას აქვს ამერიკისგან განსხვავებული ისტორია და გეოგრაფია, იგი თავის როლსაც შესაბამისად ხედავს. მაგალითად, მთელი მსოფლიო ელოდება, თუ როგორ გადაარჩენს გერმანია საბერძნეთის ეკონომიკას, რომ არაფერი ვთქვათ ესპანეთის, იტალიის და პორტუგალიის ეკონომიკებზე. რა კავშირშია ეს გერმანიის მიერ საკუთარი როლის აღქმასთან? როგორ იქცნენ გერმანელები ევროპის პრობლემების მომგვარებლებად? არის თუ არა ეს ის, რადაც მათ უნდათ, რომ იქცნენ?

აყვავებული, დემოკრატიული, დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველო გერმანიის ინტერესებში შედის, მაგრამ ჩვენი ვალია, რომ შევქმნათ მაგალითი, იმის ნაცვლად, რომ მათ საგნების ჩვენეული აღქმის გაზიარება ვაიძულოთ. ეს მო-

■ საქართველოს ომების წაგების დიდი ისტორია აქვს, მაგრამ საკუთარი თავის გაანალიზებისა და მასზე სწავლის გამოცდილება – ნაკლები. ამიტომ, საქართველოს არც ისეთი ძლიერი პოზიცია აქვს, რომ გერმანია განსაჯოს.

საზრება უკეთ უნდა გავაანალიზოთ. საქართველოს ახალ ელჩს შეუძლია, რომ სწორედ ამაში დაგვეხმაროს. იმედი ვიქონიოთ, რომ იგი ისეთივე მონდომებით დაელაპარაკება საქართველოს, როგორც გერმანიას. **■**



■ წეროვანის დასახლება, იანვარი 2010

ფოტო: ლეონ სოსოლოვიჩი

ქვეყნის საფასუხი

დევენილებს ახალი ენერგოპოლიტიკის შესახებ
სრული ინფორმაცია არ მიაწოდეს.

ქეთლინ რაინი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“



ახალ დასახლებებში იძულებით გადაადგილებულ პირთა ნაწილს ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის გარეშე უწევს ცხოვრება. მათ ვერ შეძლეს სამი თვის განმავლობაში, 2009 წლის ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით დაგროვილი ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდა.

სამმა ოჯახმა გვითხრა, რომ მათთვის მოულოდნელი იყო, როდესაც ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდა მოსთხოვეს. 3 თვის განმავლობაში ამ ოჯახების მიერ დაგროვილი ელექტროენერჯის გადასახადები (სახელმწიფო სუბსიდირების გარდა) 170

ლარიდან 500 და 850 ლარამდე მერყეობდა. არადა, ახალ საცხოვრებელ კოტეჯში მცხოვრებ დევნილთა ოთხსულიან ოჯახს ყოველთვიური შემწეობის სახით 102 ლარი აქვს გამოყოფილი, ხოლო მათი დანარჩენი შემოსავალი მეტად მწირია.

2010 წლის იანვრამდე იძულებით გადაადგილებული პირების ახალ ნაკადს დევნილობის პერიოდში ბუნებრივ აირსა და ელექტროენერჯიაში არც ერთი თეთრი არ გადაუხდია (მათთვის ცხინვალიდან მოწოდებული ენერჯის სუბსიდირება ომამდეც ხდებოდა). ომის შემდეგ მათ მიერ დახარჯული ბუნებრივი აირისა და ელექტროენერჯის საფასურს სრულად

ანაზღაურებდა სახელმწიფო ფონდების სახსრები და საერთაშორისო დონორების მიერ გამოყოფილი გრანტები. მაგრამ გადახდის ასეთი სქემა დროებითი იყო.

1 ოქტომბრიდან ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ წარმოადგინა ახალი პროგრამა, რომელიც ენერგოსუბსიდირების იმავე მოდელს ეყრდნობოდა, რასაც 1990-იან წლებში იძულებით გადაადგილებულ პირთა პირველი ნაკადის შეღავათებით უზრუნველყოფა: ახალ საცხოვრებელ კოტეჯებში მცხოვრები ოჯახები ყოველთვიურად იღებენ 100 ლარის ოდენობის უფასო ბუნებრივ აირს და ოჯახის თითოეულ წევრზე გა-

მოყოფილ 100 კილოვატ საათ უფასო ელექტროენერგიას, რომელიც ერთ პიროვნებაზე დაახლოებით 12.98 ლარის ეკვივალენტია. შესაბამისად, ოთხსულიანი ოჯახი იღებს 100 ლარის ოდენობის უფასო ბუნებრივ აირს და 51,92 ლარის ოდენობის უფასო ელექტროენერგიას.

დევნილებს ახალი პოლიტიკის შესახებ სრული ინფორმაცია არ მიაწოდეს. წეროვანის დასახლებაში მცხოვრებმა ერთმა ქალბატონმა აგვისხნა, რომ მის ოჯახს მოხმარებული ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის საფასურის ქვითრები პირველად 2009 წლის დეკემბერში მოუვიდა. ამ დროისათვის მათ უკვე საკმაო რაოდენობის დავალიანება ჰქონდათ დაგროვილი. ოქტომბერსა და ნოემბერში ისინი თავისუფლად მოიხმარდნენ მონოდებულ ენერგიას, რადგან უფასო ეკონათ.

იძულებით გადაადგილებულ პირებს რომ რაღაც ეტაპიდან დახარჯული

ბერ-დეკემბრისათვის, ჯამში, 170 ლარის ოდენობით ელექტროენერგიისა და 45 ლარის ოდენობით ბუნებრივი აირის საფასურის გადახდა მოუხნია. წეროვანის დასახლება გაზის გამათბობლებით არის აღჭურვილი, რის გამოც, საერთო ენერგოდანახარჯი იქ შედარებით მცირეა, ვიდრე ელექტროენერგიაზე მომუშავე გამათბობლებით აღჭურვილ კარაღეთსა და წმინდანწყალზე.

„რომ გვცოდნოდა, რომ გადახდა მოგვინევდა, ყველა საძინებელ ოთახში გამათბობელს არ ვამუშავებდით“, – გვითხრა ხურვალეთში მცხოვრებმა კიდევ ერთმა იძულებით გადაადგილებულმა პირმა, რომელიც ასევე ვერ იხდის მოხმარებული ელექტროენერგიის დავალიანებას.

კარაღეთის გვერდით მდებარე წმინდანწყლის დასახლებაში მცხოვრები კიდევ ერთი ოჯახის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის

მოდგომაზე დაინყო, სავარაუდოა, რომ ეს გეგმა მხოლოდ მომავალი ზამთრისთვის ამუშავდება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით გაჩენილი ყველაზე საჭირობო კითხვა – რამდენად დროულად მოხდა მოხმარებული ენერგიის საფასურის გადახდის ვალდებულების შესახებ დევნილთა ინფორმირება – ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა.

ასევე არ ვიცით, რამდენად მასშტაბურია პრობლემა – რამდენი ოჯახი დაზარალდა ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის გამო? რაკი ოჯახთა უმეტესობამ გადაიხდა მოხმარებული ენერგიის საფასური, ეს გვაფიქრებინებს, რომ უმრავლესობამ გაითავისა დაკისრებული პასუხისმგებლობა და შეძლო საკუთარი დავალიანების დაფარვა.

■ კითხვა, რამდენად დროულად მოხდა მოხმარებული ენერგიის საფასურის გადახდის ვალდებულების შესახებ დევნილთა ინფორმირება, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა.

ენერგიის საფასურის გადახდა მინც მოუწევდათ, 2009 წლის გაზაფხულზე გახდა ცნობილი, როდესაც ყველა კოტეჯში ინდივიდუალური ელექტროენერგიის მრიცხველები დაამონტაჟეს. თუმცა მრიცხველების დამონტაჟებიდან 6 თვის შემდეგ, 2009 წლის ოქტომბრამდე იძულებით გადაადგილებულ პირებს არანაირი ქვითარი არ მისვლიათ და ელექტროენერგიაც და ბუნებრივი აირიც შეფერხების გარეშე მიწოდებოდა.

წეროვანის დასახლებაში ჭორები ენერგოსუბსიდირების პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების შესახებ დეკემბრამდე გავრცელდა, მაგრამ ჩვენ მიერ გამოკითხულ ქალბატონს ზუსტად არ ახსოვდა, ვინ და როდის გააფრთხილა მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ. თავიდან არავის უნდოდა გავრცელებული ჭორების დაჯერება და გადასახადების ქვითრები რომ მიუვიდათ, უმრავლესობამ გადახდაზე უარი განაცხადა. გადაუხდლობის გამო კი, დევნილებს ენერგიის მიწოდება შეუწყვიტეს, რის შემდეგაც უმეტესობამ დავალიანების დაფარვა ამჯობინა; დღემდე წეროვანის დასახლებაში ელექტროენერგიის გარეშე მხოლოდ რამდენიმე ოჯახია დარჩენილი.

ორსულიან ოჯახს ოქტომბერ-ნოემ-

ბრის დავალიანება, სამთავრობო სუბსიდიების გამოკლებით, 850 ლარს აღწევს.

ჩვენი მონაცემებით, ენერგოკომპანიებმა სცადეს, დავალიანების მქონე აბონენტებისთვის შეემუშავებინათ გეგმა, რომლის მიხედვითაც, მათ დაგროვილი დავალიანების ეტაპობრივად, მომავალი რამდენიმე თვის განმავლობაში გადახდის ნება დართეს, თუმცა ამ შეთავაზების დეტალები ჩვენითვის კვლავაც უცნობია.

ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის წინაშე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ ახლახან ჩატარებულ პრეზენტაციაზე არც ერთ დამსწრეს (მათ შორის – არც ერთ ოპოზიციური პარტიის წევრს) ელექტროენერგიის გადასახადების შესახებ კითხვა არ დაუსვამს.

არსებობს რამდენიმე დაუდასტურებული შეთავაზება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მხრიდან, რაც ზაფხულის პერიოდში გამოყოფილი ენერგოსუბსიდიების ზამთრის პერიოდისათვის დაზოგვას ითვალისწინებს. თუმცა იმის შესახებ, თუ როგორ წარმართება ეს პროცესი, ინფორმაციას არ ვფლობთ. ვინაიდან სახელმწიფოს მიერ ენერგიის სუბსიდირება 2009 წლის შე-

სხვადასხვა საცხოვრებელი დასახლება სხვადასხვა ენერგიის წყაროზეა დამოკიდებული. ზოგი (მაგალითად, წეროვანი) გაზგამათბობლებითაა აღჭურვილი, ზოგი (მაგალითად, კარაღეთი) – ელექტროგამათბობლებით, სხვები კი – შემის ლუმლებით (მაგალითად, სკრა და ხურვალეთი). სავარაუდოდ, იმ კოტეჯების მაცხოვრებლები, რომლებიც მხოლოდ ელექტროენერგიაზე არიან დამოკიდებული, გამათბობლებით სარგებლობენ, და გადახდისას ყველაზე არახელსაყრელ სიტუაციაში აღმოჩნდებიან, ხოლო იმ დევნილების მდგომარეობა, რომლებიც უფასო შემას ლებულობენ, უკეთესია.

დევნილების შეღავათებით უზრუნველყოფისთვის შექმნილი ენერგოსუბსიდირების მოდელის მიხედვით, ბუნებრივი აირის სუბსიდირებას გაცილებით მეტი თანხა მოხმარდა, ვიდრე ელექტროენერგიის დაფინანსებას.

შექმნილი სიტუაცია კოტეჯების მშენებლობის ხარისხსა და დიზაინთან დაკავშირებულ პრობლემებსაც ააშკარავებს. იატაკზე არსებული ნაპრალები და შიდა კედლების ნესტიანობა გვაფიქრებინებს, რომ კოტეჯები ნაკლებად ენერგოეკონომიურია. ■

ახალი წიგნი



ფასი 12.00

გამოჩენილი ჩეხი მოღვაწის, წარსულში ორი სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტის, ვაცლავ ჰაველის ბოლო - 2006 წელს გამოცემული წიგნის ქართული თარგმანი.

წიგნი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, თუმცა ვერ თავსდება კლასიკური ავტობიოგრაფიული ჟანრის ფარგლებში, რაც სრულებითაც არ არის შემთხვევითი, ვ. ჰაველის მრავალმხრივი შემოქმედება ყოველთვის გამოირჩეოდა ორიგინალურობითა და მრავალმხრივობით. წიგნი ეხება ვ. ჰაველის მოღვაწეობას ხავერდოვანი რევოლუციიდან (1989) მეორე ვადით პრეზიდენტობის დასრულებამდე (2003), ანუ სოციალისტური ქვეყნის დემოკრატიზაციისა და ღია საზოგადოების მშენებლობის ხანას.

ავტორი საუბრობს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს, მისი აზრით, პრეზიდენტის ინსტიტუტი, ურთიერთობა მთავრობასა და პრეზიდენტს შორის, პარტიებისა და ფართო საზოგადოების როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფოს როლი მსოფლიოში, ანუ როგორი უნდა იყოს იდეალური დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება, მსოფლიო წესრიგი; თუ როგორ იბრძოდა ამ შეხედულებების ცხოვრებაში გასატარებლად თავის სამშობლოში და მოგვიანებით - საერთაშორისო პოლიტიკურ სარბიულზე და რა დაბრკოლებებს აწყდებოდა ამ რთულ გზაზე.



ფოტო: ლევან ხარაძე/სტრატეგია

■ ირაკლი ალასანიას ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს, ვერის საკალათბურთო დარბაზი, თბილისი, 4 მარტი 2010

დაბვიანებული სტახტი

„ალიანსმა“ ოპოზიციიდან პირველმა დაასახელა მერობის კანდიდატი, თუმცა ყველაზე ბოლოს, ნიკა ივანიშვილთან ერთად ჩაერთო საარჩევნო კამპანიაში.

მაია ნიკლაური

ირაკლი ალასანიას მცდელობის მიუხედავად, „ალიანსის“ და პრაიმერისტების პოზიციები ერთმანეთს ვერ დაემთხვა: პოლიტიკოსები ვერც ერთიანი კანდიდატის შერჩევის წესზე შეთანხმდნენ და არც „ალიანსის“ კანდიდატურას დაუჭირეს მხარი. საბოლოოდ ალასანიამ ისე დააგვიანა საარჩევნო კამპანიის დაწყება, რომ 4 მარტს, წინასაარჩევნო სტარტზე მერობის ახლად შექმნილ ოპოზიციურ კანდიდატთან, ნიკა ივანიშვილთან ერთად აღმოჩნდა.

„დროის დაკარგვა აღარ შეგვიძლია, კიდევ ერთი თვე ვერ დაველოდებით შეთანხმებას. ჩვენ ჩავერთეთ ბრძოლაში და კარი ყოველთვის ღია იქნება სხვა პოლიტიკური ძალისთვის, ვისაც უნდა, რომ ჩვენი გამარჯვების მონაწილე გახდეს“, – განაცხადა „ალიანსის“ ლიდერმა „ქართული აკადემიის“ მიწვევით გამართულ შეხვედრაზე.

ალასანია ძველებურად მემარჯვენეთან და რესპუბლიკელებთან ერთად გამოჩნდა. თითქოს ჭადრაკის სასახლის ყრილობით გამოწვეული უთანხმოება არც კი ყოფილა. თუმცა, მასთან არ იყო სოზარ სუბარი – „ალიანსის“ საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი. სხვა პარტიებთან შედარებით, „ალიანსის“ უპირატესობა სწორედ ის იყო, რომ მას

ორი ძლიერი და თანასწორი ლიდერი ჰყავდა: ერთი მერობის კანდიდატი და მეორე – საკრებულოს თავმჯდომარეობის.

ალასანიას სარისკო ნაბიჯის მერე, რომელიც მან, სავარაუდოდ, წინასაარჩევნო პოზიციის გაუმჯობესებისთვის გადადგა, სიტუაცია მის სასარგებლოდ არ შეცვლილა. ლიდერმა წინასაარჩევნო კამპანიის პირველი დღის დიდი ნაწილი თავის მართლებას დაუთმო: „ჩემი ნაბიჯი მოლაპარაკებებისკენ ზოგმა შეცდომად შეაფასა. შესაძლოა, ამ ნაბიჯით მხარდამჭერების გაბრაზებაც დავიმსახურე. მე ამ შენიშვნებს ვიღებ, თუმცა ვფიქრობ, რომ კარი ყველასთვის უნდა გამეღო“.

ბოლო პოლიტიკური სვლის შემდეგ „ალიანსის“ ლიდერი, ოპოზიციის ვერა, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციების „ერთიანი“ კანდიდატი გახდა.

„ლიდერი უნდა გამოავლინონ ამომრჩევლებმა“, – ამბობენ ზურაბ ნოლაიდელი და პრაიმერისტები, რომლებიც ცდილობდნენ, რომ „ალიანსის“ გვერდის ავლით, ალასანია მათ გუნდში ყოფილიყო. ამ არშემდგარი პოლიტიკური გარიგების ორივე მხარე დღეს იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ წაგებული არ არის.

„ის არ არის ასოცირებული მარცხ-

თან“, „განათლებულია, დახვეწილიც“, – ამტკიცებდნენ დარბაზში მსხდომი მხარდამჭერები. „როცა სხვა ოპოზიციონერი კანდიდატები დარწმუნდებიან, რომ დამოუკიდებლად ვერ მოახერხებენ გამარჯვებას, მათაც უნდა დაუჭირონ მხარი ირაკლის“, – ამბობს „ქართული აკადემიის“ წევრი ნუკრი ქანთარია.

ალასანია დაკარგული დროის ანაზღაურებას ცდილობს. „ალიანსის“ ლიდერმა ვერის საკალათბურთო დარბაზის მოედანზე საათ-ნახევარი გაატარა. მხარდამჭერების კითხვებს პასუხობდა. კითხვა კი, დარბაზში გაუსაძლისი სიცივის მიუხედავად, ბევრი იყო. იმ დროს, როცა ალასანია ერთიანი კანდიდატად ოფიციალურად დაასახელეს, დარბაზი ფეხზე ადგა და ამ ინფორმაციას ხანგრძლივი ტაშით შეხვდა. „ქართული აკადემიისგან“ მან საჩუქრად რაგბის ბურთი და დავალება მიიღო – ლელო მერის კაბინეტში უნდა დადოს.

ზუსტად ერთი საათით ადრე მტკვრის მეორე სანაპიროზე, ერთ-ერთი ფეშენებელური სასტუმროს კომფორტულ საკონფერენციო დარბაზში მერობის კიდევ ერთი ოპოზიციური კანდიდატისა და მისი მხარდამჭერების შეხვედრა გაიმართა.

როგორც თავად ამბობდნენ, სტუ-

მრების უმრავლესობა „ნიკას ახლო-ბელი“ იყო. პრეზენტაციის დასაწყისი დამსწრე საზოგადოებას ზარის სამჯერ დარეკვით ამცნეს. ზარი ხალიჩებით მოფენილ სცენაზე საგანგებოდ დაიდგა. როგორც იქ აღინიშნა, ის „სინმინდისა და გამარჯვების“ და, ასევე, ნიკა ივანიშვილის პოლიტიკური გუნდის სიმბოლოა.

ნიკა ივანიშვილის პოლიტიკური კარიერა „ვარდების რევოლუციამდე“ დაიწყო. კახა თარგამაძის მინისტრობის დროს იგი შს სამინისტროს საგზაო დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა, „მრენველებშიც“ იყო. დღეს ახალ პოლიტიკურ პარტიას – „სახალხო დემოკრატებს“ ლიდერობს. უკვე გადაწყვეტილია, რომ ივანიშვილი თბილისის მერობისთვის იბრძოლებს. ცნობილია მისი პარტიული სიის პირველი 10 წევრიც.

„ბრძოლაში შევდივართ ქვეყნის და ქალაქის გადარჩენისთვის. არავის წინააღმდეგ არ ვიბრძვით. ვიქნებით მებრძოლები ჩვენი ქალაქის საკეთილდღეოდ იმ ადამიანების გვერდით, ვისაც ძალიან მაგრად უყვარს ჩვენი თბილისი“, – განაცხადა ივანიშვილმა.

ის ერთადერთი პოლიტიკოსია ახლად შექმნილ პარტიაში. ბიზნესმენთა ფედერაციის ხელმძღვანელი გიორგი ისაკაძე, ფეხბურთელები – რეზი და არჩილ არველაძეები, „რუსთავი 2“-ის

ყოფილი დირექტორი ნიკა ტაბატაძე, პირველი არხის ყოფილი ხელმძღვანელი ლევან ყუბანეიშვილი, ასევე ივანიშვილის კლასელი, კახა თარგამაძის დროინდელი შს სამინისტროს პრესმდივანი და ამჟამად სასულიერო პირი, მამა იოანე ხელაია – პრეზენტაციაზე მეგობრის მხარდასაჭერად მივიდნენ. გარდა ნიკა ივანიშვილის „ახლობლობისა“, „შერატონ მეტეხი პალასში“ შეკრებილებს ისიც აერთიანებდათ, რომ უმრავლესობა, მერობის კანდიდატის ჩათვლით, მამა იოანეს მრევლია.

„არ ვიცი, რას აპირებს ნიკა. ვერ გეტყვით, რა უნდა პოლიტიკაში, მაგრამ ის არის ჩემი დიდი ხნის მეგობარი, კარგი ადამიანი. ამიტომაც აქ მხოლოდ სტუმრის და მეგობრის სტატუსით ვარ“, – თქვა ნიკა ტაბატაძემ პრეზენტაციის დაწყებამდე.

ნიკა ივანიშვილისთვის შთაგონების წყარო 2009 წლის აქციები გახდა. ამ

■ „არ ვიცი, რას აპირებს ნიკა. ვერ გეტყვით, რა უნდა პოლიტიკაში, მაგრამ ის არის ჩემი დიდი ხნის მეგობარი, კარგი ადამიანი. ამიტომაც აქ მხოლოდ სტუმრის და მეგობრის სტატუსით ვარ“.

მოვლენების შემდეგ მან პოლიტიკაში დაბრუნება მტკიცედ გადაწყვიტა. ერთადერთი მიზნით – „ქუჩის“ ოპოზიციის მიერ დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად.

თავის მთავარ კონკურენტს – გიგი უგულავას ივანიშვილი არც ძალიან აკრიტიკებს და არც ძალიან აქეზებს: „თბილისში ბევრი რამე გაკეთდა, მაგრამ უფრო ბევრია უკეთესად გასაკეთებელი“.

ივანიშვილის საარჩევნო სლოგანია – „თბილისი ჩემი სახლია“. იგი პირველია ოპოზიციურ კანდიდატებს შორის, რომელმაც საარჩევნო კამპანია დაიწყო. სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბი „დინამოს“ თავმჯდომარის გარუჯული ღიმილი, თბილისურ აივანზე მეგობრებთან ერთად ჩაის სმის დროს თუ ოჯახურ წრეში გადაღებული ფოტოები, უკვე რამდენიმე კვირაა, თბილისის ქუჩებშია გამოფენილი.

ვერის პარკში ღიმილითა და ირონიით აფასებენ იმას, რაც „შერატონში“ მოხდა. „ახალი მემარჯვენეებს“ ერთ-ერთმა ლიდერმა, დავით საგანელიძემ ივანიშვილის პარტიის პრეზენტაციის ამსახველი კადრები ტელევიზიით ნახა. „იქ იყვნენ ადამიანები, რომლებსაც დღესაც კარგი ურთიერთობა აქვთ ხელისუფლებასთან. როგორ აღმოჩნდნენ უცებ ოპოზიციაში, გაუგებარია. სამწუხაროდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს პოლიტიკური ძალა ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს და შეეცდება, ალასანიას ასეულობით ხმა წაართვას“, – ამბობს საგანელიძე.

„ლიბერალი“ წინა ნომერში, ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით, წერდა, რომ ივანიშვილს თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა ხელისუფლების წარმომადგენლებმა შესთავაზეს. გარიგების მიხედვით, მან არჩევნებში ოპოზიციას ხმების ნაწილი უნდა წაართვას, სანაცვლოდ კი, საკრებულოში მისი პარტია რამდენიმე ადგილს მიიღებს.

„ალიანსის“ ლიდერისა და „სახალხო დემოკრატების“ თავმჯდომარის წინასაარჩევნო პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისელებთან შეხვედრებია. საარჩევნო მესიჯების მოსახლეობამდე მიტანის გარდა, ალასანიას იმის მტკიცება მოუწევს, რომ შეცდომებს აღარ დაუშვებს. ნიკა ივანიშვილი კი შეეცდება, ამომრჩეველი დაარწმუნოს, რომ მისთვის მიცემული ხმები ოპოზიციის ყულაბაში აღმოჩნდება და არა – ხელისუფლების. ■



■ ნიკა ივანიშვილის პარტიის პრეზენტაცია სასტუმრო „მეტეხში“, თბილისი, 4 მარტი 2010

ფოტო: ლევან ხაჩიძე

ბურჯანაძის ვიზიტი მოსკოვში

შანსაჲი უმაღლეს დონეზე

კრემლი საქართველოში საკუთარ ლიდერს ეძებს.

ოლგა ალიონოვა, მოსკოვი, გაზეთ „კომერსანტის“ მიმომხილველი, სპეციალურად „ლიბერალისთვის“

ნინო ბურჯანაძე და ვლადიმირ პუტინი ერთმანეთს რომ აუცილებლად შეხვდებოდნენ, ეს მოსალოდნელი იყო. კრემლი, დიდი ხანია, ცდილობს მოაგვაროს ურთიერთობები იმ ქართველ ლიდერებთან, რომლებიც სააკაშვილს მხარს არ უჭერენ, რომლებიც ქართულ პოლიტიკურ არენაზე რაღაცას წარმოადგენენ, და რომლებსაც კრემლთან მოლაპარაკებების არ რცხვენიათ. ასეთები კი, კრემლისთვის სამწუხაროდ, საქართველოში ცოტანი არიან. და მაინც, ეს კრემლის პრინციპული პოზიცია გახლავთ.

კრემლმა საქართველოში ფავორიტების ძებნა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დაიწყო და მოძებნა ისეთები, რომლებსაც დღევანდელ საქართველოსთან საერთო არაფერი აქვთ – იგორ გიორგაძე, მიხეილ ხუბუტია, ალექსანდრე ებრალიძე. კრემლის ყველა მცდელობა, რომ ეს ადამიანები ქართველ ლიდერებად ექცია, კრახით დასრულდა. საქართველოში კრემლის ნებისმიერი ფავორიტის რეიტინგი უკიდურესად დაბალია.

არადა, კრემლს რაღაც არ უნდა დაუჯდეს, სჭირდება ქართველი ლიდერის პოვნა, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის გარკვეული პროცენტი მაინც უჭერს მხარს. არ აქვს მნიშვნელობა – რამდენი პროცენტი. მთავარია, დასავლეთისთვის შეიძლებოდეს იმის თქმა, რომ ამ ლიდერს საქართველოში ემხრობიან. საზოგადოებრივი აზრის საზომები კი ყოველთვის შეიძლება ეჭვქვეშ დააყენო, ან სოციოლოგები დაადანაშაულო ანგაჟირებულობაში.

ერთმა რუსმა პოლიტიკოსმა მითხრა: „უკრაინის ბოლო მაგალითით დავამტკიცეთ, რომ ერთი ლიდერის დაბლოკვა და ორი სხვა ლიდერის მხარდაჭერა ჭკვიანური პოლიტიკაა, რომელსაც სწორედ ის შედეგები მო-



ნინო ბურჯანაძის და ვლადიმირ პუტინის შეხვედრა მოსკოვში, 4 მარტი 2010

ჰყვა, რასაც მოველოდით“. მისი აზრით, იუშჩენკოს ბედი სწორედ კრემლის პრინციპულმა პოზიციამ გადაწყვიტა – რუსებმა იუშჩენკოსთან საუბარი კატეგორიულად არ ისურვეს და განაცხადეს, რომ მზად იყვნენ ყველა სხვა კანდიდატთან სალაპარაკოდ. შედეგად იუშჩენკომ ხმათა მხოლოდ 5 პროცენტით მიიღო.

– ჰო მაგრამ, რუსეთს უკრაინის ტერიტორიები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არ უღიარებია, – შევენიშნაღმდეგე მე, – ამიტომაც იქ რუსეთისადმი სხვა დამოკიდებულება აქვთ, ვიდრე საქართველოში.

– ეს დაკარგული ტერიტორიებიც ხომ სააკაშვილის პოლიტიკის შედეგია! – გულწრფელად გაოცდა პოლიტიკოსი. მან თქვა ის, რისი გამეორებაც სშირად უყვართ რუსეთის ტელევიზიაში და ამის უკვე ბევრს თვითონაც სჯერა.

სწორედ ამ ტალღაზე აპირებდნენ

მიუხედავად, მოსკოვში მიემგზავრება საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გადასარჩენად.

ამასთან, მას თავი ღირსეულად უჭირავს – პუტინს იულია ტიმოშენკოსავით არ ეკეკლუცება და არ კისკისებს. ის საერთოდ არ იღიმის და რუსეთის პრემიერს ხელს ისე უწვდის, თითქოს მასთან მისალმება უაღრესად არ სიამოვნებს, მაგრამ რა ქნას – მოვალეობა აიძულებს. ერთი სიტყვით, თამარ მეფეა.

ვლადიმირ პუტინი კი, პირიქით, გულისხმიერია, ფართოდ, თითქოს გულწრფელადაც იღიმება. იგი ყურნალისტებს ეუბნება, რომ ქალბატონი ნინო დიდი ხანია არ უნახავს და ძალიან ახარებს მისი მოსკოვში ნახვა. შეხვედრის დასაწყისშივე იკვეთება საუბრის ტონი: პუტინი მიანიშნებს, რომ ბურჯანაძე მისთვის უცხო არაა, შინაურია, ის იმავე ნომენკლატურული სისტემი-

იმის ხაზგასმაც, რომ კრემლი სააკაშვილთან დიალოგს აღარ აპირებს; სიმპათია ქართველი ხალხისადმი, რომელიც მეტს და უკეთესს იმსახურებს; ყველა პოლიტიკურ ძალასთან ურთიერთობისთვის მზადყოფნა, გარდა სააკაშვილისა; და დიდი პოლიტიკური ავანსი ქალბატონ ბურჯანაძეს. ანუ კრემლი ქართველ ხალხს განუმარტავს: გინდათ გახსნილი საზღვრები, უფიზო რეჟიმი, რუსული ბაზრები და ყველაფერი დანარჩენი? – ის ლიდერები აირჩიეთ, ვისთან საუბრისთვისაც ჩვენ ვართ მზად. სწორედ ამიტომ, საკუთარი კეთილი ნების სადემონსტრაციოდ, პუტინმა განსაკუთრებულად აღნიშნა ზემო ლარსზე გამშვები პუნქტის გახსნა.

მერე რა, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობებისთვის ლარსის გახსნა სიცარიელეში გადადგმული ნაბიჯია, რადგან იქ მოქალაქეებს ვიზებს არ

■ შეხვედრის დასაწყისშივე იკვეთება საუბრის ტონი: პუტინი მიანიშნებს, რომ ბურჯანაძე მისთვის უცხო არაა, შინაურია, ის იმავე ნომენკლატურული სისტემიდანაა, საიდანაც თავად პუტინი. მათ საერთო ნაცნობები და მოგონებები აკავშირებთ.

რუსები იმ ქართველი ოპოზიციონერების მომართვას, რომლებიც მოსკოვში ჩასვლას გაბედავდნენ. პირველმა ზურაბ ნოლაიდელმა გარისკა, და მერე – ნინო ბურჯანაძემაც. მისმა მოსკოვში ჩასვლისა და პუტინთან პირადად შეხვედრის გადაწყვეტილებამ გამაკვირვა. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეზე უკეთ არავინ იცის ქართული საზოგადოების განწყობა. წესით, მას უნდა გაეთვალა, რომ ამ შეხვედრის შემდეგ საქართველოში მონსტრად და მოლალატედ შერაცხავენ.

ნუთუ თავმოყვარე ქართველმა დღეს შეიძლება ხელი გაუწოდოს იმ ადამიანებს, ვინც საქართველოს ტერიტორიაზე ტანკები შეიყვანა? ამის შემდეგ საქართველოში როგორღა უნდა იცხოვროს? მაგრამ, აქ მუშაობს სწორედ კრემლის ცნობილი თეზისი: ტანკები, ბომბები და ომი სააკაშვილის პოლიტიკის შედეგია.

სწორედ ამას იმეორებს გამუდმებით საქართველოში ნინო ბურჯანაძე. იგი 2008 წლის აგვისტოს მოვლენების პასუხისმგებლობას სააკაშვილს აკისრებს და, აფხაზეთისა და ოსეთის აღიარებისთვის რუსეთის მკვეთრად გაკიცხვის

დანაა, საიდანაც თავად პუტინი. მათ საერთო ნაცნობები და მოგონებები აკავშირებთ.

ერთი სიტყვით, პუტინი მიგვანიშნებს: „მე და ბურჯანაძე შევძლებთ მოლაპარაკებას“. მალე საკვანძო და ყველაზე მნიშვნელოვანი განცხადებაც კეთდება: „ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ იმ ადამიანებზე დაყრდნობით, რომლებსაც რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა უნდათ, შევძლებთ ჩვენს ურთიერთობაში კრიზისამდე არსებული დონე აღვადგინოთ, მომავალში კი უფრო განვავითაროთ. სამუხსაროდ, საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელებს შორის არიან ადამიანები, რომლებთანაც ჩვენ ვერ შევძელით ურთიერთობის დამყარება. მეტიც, მათი პოლიტიკის შედეგად მოხდა ტრაგედია, რომელსაც ნელინად-ნახევრის წინ შევეჯახეთ. მიუხედავად ამისა, ჩვენ მზად ვართ, განვავითაროთ ურთიერთობა ყველა პოლიტიკურ ძალასთან, მთელ სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთოდ ქართველ ხალხთან“.

სწორედ ამ ფრაზის გამო ჩავიდა ნინო ბურჯანაძე მოსკოვში. ამ წინადადებაში ყველაფერია – სააკაშვილის გაკიცხვაც, რომელმაც ომი გააჩაღა;

მისცემენ, და ქართული პროდუქცია კვლავაც აკრძალული იქნება; არც ისაა მნიშვნელოვანი, რომ ეს საგუშაგო საქართველოსთვის კი არა, რუსეთიდან პრაქტიკულად იზოლირებული სომხეთისთვის გახსნეს, ტვირთის ტრანზიტის მიზნით. მნიშვნელოვანი ისაა, რომ პუტინმა საზღვრების გახსნაზე დაიწყო ლაპარაკი. და ამ საკითხის გადაჭრა მან ქალბატონ ნინოსთან დააკავშირა.

ბევრმა რუსულმა მედიასაშუალებამ სიხარულით აუბა მხარი ამ მაღალი დონის შანტაჟს. პუტინისა და ბურჯანაძის შეხვედრა ორი დღის განმავლობაში არ გამქრალა ტელეეკრანებიდან და გაზეთის ფურცლებიდან. ეს არა მარტო და არა იმდენად რუსი მაყურებლის დასახად გაკეთდა, რამდენადაც დასავლეთისთვის იმის დასამტკიცებლად, რომ კრემლი მზადაა დიალოგისთვის. დასავლეთის ფაქტორი კი მოსკოვში განსაკუთრებულად ფასობს მას მერე, რაც ამ ფაქტორის წყალობით გადარჩა უკრაინაში ვიქტორ იანუკოვიჩის გამარჯვება – მხოლოდ დასავლეთის ქვეყნების მიერ უკრაინის არჩევნების დემოკრატიულ და კეთილსინდისიერ არჩევნებად შეფასებამ განაპირობა, რომ იანუკოვიჩი


სულ რაღაც სამი პროცენტის სხვაობით გახდა პრეზიდენტი.

კრემლის დღევანდელი პოლიტიკა გაცილებით ჭკვიანური და გაქნილია, ვიდრე ის, რომელსაც რამდენიმე წლის წინ ვადევნებდით თვალს და რომლის პოლიტიკური პროდუქტი იგორ გიორგაძე აღმოჩნდა.

უკრაინაში მიღწეული წარმატებით ფრთაშესხმული კრემლი საქართველოს მოედანზე აქტიური თამაშის დაწყებას აპირებს. რუსი პოლიტიკელოგების აზრით, საქართველოში უკრაინული სცენარის განმეორება სავსებით შესაძლებელია. მართალია, ბურჯანაძე და ნოლაიდელი ქართულ საზოგადოებაში დიდი პოპულარობით არ სარგებლობენ, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა, რომელმაც შეიძლება მათსასარ გებლოდიმუმ აოს.

რუს პოლიტიკოსებს მხოლოდ ერთი რამ არ ესმით – განსხვავება იუშჩენკო-სა და სააკაშვილს შორის. ვიქტორ იუშჩენკოს 5-პროცენტის რეიტინგი იმდენად კრემლის „დამსახურება“ არ არის, რამდენადაც იუშჩენკოს არაეფექტურობის. უკრაინის საზოგადოებას გაუჭირდება მის მიერ მიღწეული ერთი დადებითი შედეგის დასახელებაც კი.

რაც შეეხება სააკაშვილსა და მის გუნდს, აქ საქმე სხვაგვარადაა. დიახ, აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი რუსეთმა აღიარა – მაგრამ ეს ტერიტორიები არც მანამდე, სააკაშვილამდე დიდი ხნით ადრე, არ ექვემდებარებოდნენ საქართველოს იურისდიქციას.

სამაგიეროდ, სააკაშვილის მხარესაა გატარებული და დაწყებული რეფორმები, ახალი შენობები, სახლები, გზები, კორუფციასთან ბრძოლა. სააკაშვილის სასარგებლოდ მეტყველებს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის, მათ შორის რუსეთში მცხოვრებთა მიერ სიამაყით ნათქვამი სიტყვები, რომ საქართველოში პოლიცია ქრთამს არ იღებს. ეს ის რეალური დივიდენდებია, რაც სააკაშვილის ელექტორალურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს. და როდესაც მისი საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადა ამოიწურება, ძალიან დიდი ძალისხმევა იქნება საჭირო იმისათვის, რომ მის ადგილზე მისივე გუნდის წევრი, რეფორმებისა და დასავლეთში ინტეგრაციის კურსის გამტარებელი კი არ მოვიდეს, არამედ – ვინმე სხვა, შორეული წარსულიდან. იმ წარსულიდან, როდესაც რუსეთთან საზღვრები გახსნილი იყო, მაგრამ არ იყო კანონი. 

ყოველკვირული „ლიბერალი“ 1 მარტიდან



ლიბერალი

24 ნომერი (ექვსი თვე) - 60 ლარი
48 ნომერი (1 წელი) - 120 ლარი

PDF ვერსია

24 ნომერი ნახევარი წელი - 35 ლარი
48 ნომერი (1 წელი) - 70 ლარი

შურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:

23 37 31, (899) 48 62 41

ან მოგვანოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტით: info@liberali.ge



შურნალისტური გამოძიება

იყიდება!

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ საინფორმაციო პროგრამებში სიუჟეტები იყიდება.

ეკა ჭითანავა

B | S | T The Black Sea Trust
for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

სტატია დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების German Marshal Fund-ის პროექტის The Black Sea Trust-ის მიერ. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს German Marshal Fund-ის, The Black Sea Trust-ის და მისი პარტნიორების შეხედულებებს.

დახლებზე გამოტანილი ძხვეულის ვარგისიანობის დასადგენად შურნალისტმა ექსპერიმენტი ჩაატარა: ცხრა ფირმის ძხვი ანალიზისთვის ლაბორატორიაში წაიღო. ცხრა ძხვიდან ექვსი უხარისხო აღმოჩნდა, სამი – სტანდარტების შესაბამისი.

ამ ექსპერიმენტის მიხედვით გადაღებული სიუჟეტი „რუსთავი 2“-ზე, „კურიერ პოსტსკრიპტუმის“ ეთერში 2009 წლის 5 დეკემბერს გავიდა. თუმცა, ეთერს მიღმა დარჩა უხარისხო პროდუქციის ჩამონათვალი და სამი

„გამარჯვებული“ ძხვიდან მხოლოდ ერთი დაასახელეს.

რა მოხდა ამის შემდეგ? მეორე დღეს სოციალურ ქსელში, კონკრეტულად კი თბილისის ფორუმზე, გამოქვეყნდა ასეთი ციტატა: „გუმინ ძხვის საყიდლად მაღაზიაში შევედი და გამყიდველს ვკითხე, – კარგი ძხვი რომელი გაქვთ-მეთქი. როგორ, გუმინ „კურიერს“ არ უყურეო? – მიპასუხა, – ლაბორატორიებმა დაადასტურეს, რომ „მითანა“ ყველას ჯობია, ჩვენც მთელი დღეა, მაგ ძხვს ვყიდითო“.

იქვე იყო მეორე „უკმაყოფილო“ ციტატა: „ჯობდა, სხვა კომპანიებიც დაეთვალთვალებინათ და დასკვნა ჩვენ გამოგვეტანა, ეს იქნებოდა ნამდვილი ექსპერიმენტი და არა სარეკლამო სიუჟეტი“.

„პოსტსკრიპტუმმა“ კომპანია „მითანას“ ისე გაუკეთა სარეკლამო სიუჟეტი, რომ ეს არსად მიუთითებია.

რა დაშავდა შეფარული რეკლამის გაშვებით? დაირღვა თითოეული მომხმარებლის უფლება, რომლებსაც ტელევიზიით გადაცემული ახალი ამ-



ბების სანდოობაში ეჭვი არ ეპარებათ. ასეთი კი, ბოლო მედიაკვლევის მიხედვით, მოსახლეობის 64 პროცენტია. ეკრანთან მოკალათებულ მაყურებელს გაუჩნდა ილუზია, რომ ერთი კონკრეტული ფირმა ყველა დანარჩენს ჯობს. არადა, სხვა ხარისხიანი ძეხვეულის შესახებ მას არაფერი უთხრეს და ყველაზე მთავარი დაუმალეს – თუ რომელი ფირმის პროდუქციაა ჯანმრთელობისთვის საშიში.

„როცა ასეთი კონიუნქტურა არსებობს, გასაკვირი არაა, რომ ბიზნესი მას იყენებს. უბრალოდ, ეს ეთიკის საკითხია. მედიამ არ უნდა მისცეს ბიზნესს ამის უფლება. რა მნიშვნელობა აქვს დამკვეთი ვინ იქნება – ძეხვის მწარმოებელი კომპანია, თუ პოლიტიკური პარტია? ახალ ამბებს იმიტომ ვუყუარებ, რომ არ უნდა ვიფიქრო, სად მატყუებენ, სად არის ჩადებული ნელი მოქმედების ნაღმი“, – ასე აფასებს შეფარულ სარეკლამო სიუჟეტს ჟურნალისტი ზვიად ქორციე.

„პოსტსკრიპტუმისთვის“ დაკვეთი-

ლი სიუჟეტები ყველაზე ძვირადღირებულია „რუსთავი 2“-ის ეთერში. 3000 ამერიკული დოლარი – ეს თანხა მხოლოდ ადგილობრივი სიუჟეტის მომზადების ხარჯებს ითვალისწინებს. იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა ჟურნალისტის საზღვარგარეთ გამგზავრება, დამატებით თანხაზე შეთანხმება ინდივიდუალურად ხდება.

თუმცა, „მითანას“ შემთხვევაში, სიუჟეტის ავტორი, გადაცემის პროდიუსერი და არხის გაყიდვების მენეჯერი ერთმანეთის საპირისპიროს ამტკიცებენ.

ავტორი, ანა ასათიანი, არ უარყოფს, რომ სიუჟეტი დაკვეთილი იყო. „ბევრად კარგად ვიგრძნობდი თავს, თუ ენერგობა, რომ ჩვენება სარეკლამოა, – ამბობს ასათიანი და იხსენებს, – ძალიან გამიჭირდა ამ სიუჟეტზე მუშაობა, რადგან კომპანიის შესახებ მშრალი ინფორმაცია მქონდა და არ ვიცოდი, თემა საინტერესო როგორ გამეხადა“. საბოლოოდ, ექსპერიმენტის ჩატარების იდეაც სწორედ დაკვეთილი

მესიჯის ლამაზად შეფუთვის აუცილებლობამ განაპირობა და არა მომხმარებლის ინტერესებმა.

„სიუჟეტი არ იყო სარეკლამო, ჩვენ შევისწავლეთ ბაზარი!“ – ამტკიცებს „პოსტსკრიპტუმის“ პროდიუსერი ეკა სარია. მისი თქმით, მართალია, „პოსტსკრიპტუმში“ დაკვეთილი სიუჟეტები გადის, მაგრამ ეს ორმხრივი დაინტერესების შედეგად ხდება და არა მხოლოდ ფულის სანაცვლოდ.

გაყიდვების სამსახურის უფროსი კოტე ბათმანიდი მიიჩნევს, რომ „რუსთავი 2“ არაფერს იგონებს და დამკვეთ კომპანიას ზუსტად ისე წარმოაჩენს, როგორც ის სინამდვილეშია. ფულის სანაცვლოდ „რეალური ინფორმაციის“ გადაცემა კი, მისი აზრით, რეკლამა არაა.

ამ პასუხიდან გამოდის, რომ „რუსთავი 2“ ფულს სიმართლის თქმაში იღებს.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი თამარ კორძაია ამბობს, რომ სიუჟეტის სარეკლამო

შინაარსის შემთხვევაში, იგი საინფორმაციო ნაწილისგან მკაფიოდ უნდა გამოიყოს. „შესაძლოა, იყოს წარწერა, რომელიც მაყურებელს კეთილსინდისიერად შეატყობინებს, რომ დამკვეთი კონკრეტული ფირმა“, – აღნიშნავს კორძაია.

თუმცა ამას ბათმანიდი სრულიად ზედმეტად მიიჩნევს: „ეს არის საეთერო ჭუჭყი, რომელიც ეთერში არ უნდა გავიდეს“.

„მითანას“ მსგავსი სიუჟეტები „პოსტსკრიპტუმში“ სისტემატურად გადის. ინგლისური ენის შესწავლის მეთოდის, შოკოლადის ქარხნის თუ სავაჭრო ცენტრ „პოპულის“ შესახებ

სიუჟეტების მომზადება ამ ფირმებისთვის მომხმარებლებამდე ხმის მიწვდენად სტანდარტულ რეკლამაზე უფრო ეფექტური ხერხია: სიუჟეტის სახით გასულ რეკლამას მაყურებელი ისე იღებს, როგორც ობიექტურ და მიუკერძოებელ ინფორმაციას. რეკლამის ყურებისას კი მან იცის, რომ ინფორმაცია შეიძლება შელამაზებულიც იყოს. სარეკლამო რგოლის ეფექტის ისიც ამცირებს, რომ ამ დროს მაყურებელი ხშირად სხვა არხზე რთავს ტელევიზორს.

28 ნოემბერს „რუსთავი 2“-ზე პოპულის „პოპ არტ ბარათის“ შესახებ გასული ხუთწუთიანი სიუჟეტის უმეტესი

ნაწილი სარეკლამო განცხადებებით იყო სავსე. პროდუქტის რეკლამას კი სიუჟეტში ჟურნალისტი ნინო არაზაშვილიც ეწეოდა.

იურისტ სანდრო ბარამიძის თქმით, „პოპული“ სიუჟეტის სპონსორიც რომ იყოს, ეს ჟურნალისტებს ვერ გაამართლებს, რადგან კანონით დაუშვებელია, სოციალურ საკითხებზე მომზადებულ რეპორტაჟებს სპონსორი ჰყავდეს. „კურიერ პოსტსკრიპტუმში“ კი სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებს აშუქებს“, – აღნიშნავს ბარამიძე.


ხშირად სარეკლამო კამპანია უფრო მასშტაბურია, ვიდრე ერთი კონკრეტული პროდუქტის რეკლამირება. ჟურნალისტი ზვიად ქორიძე იმ რეპორტაჟებს იხსენებს, რომლებიც არხმა „ავერსს“ მიუძღვნა. ეს იმ დროს დაემთხვა, როცა ბექდურ მედიაში გაჩნდა სტატიები, რომ „ავერსი“ მონოპოლისტია. „რუსთავი 2“-მა ჯერ „ავერსის“ პროდუქტისა და მომსახურების შესახებ სიახლეები გააცნო მაყურებელს, ბოლოს კი „პოსტსკრიპტუმში“ კომპანიის დამფუძნებელს, პაატა კურტიანიძეს მიუძღვნა დამაგვირგვინებელი სიუჟეტი – უყურეთ, აი, ეს არის მომავლის ბიზნესმენი“, – აღნიშნავს ქორიძე.

„პოსტსკრიპტუმში“ ერთადერთი გადაცემა არაა, რომელსაც „რუსთავი 2“ ყიდის. დილის გადაცემაში სიუჟეტის მომზადება ან სტუმრის მოწვევა – 800 დოლარი, პრესის მიმოხილვა კი 500 დოლარი ჯდება. „ბიზნეს კურიერში“ სიუჟეტი 1000 დოლარი ღირს.

დამკვეთთან უშუალოდ სარეკლამო სააგენტო „მედია ჰაუსი“ ურთიერთობს – ისევე, როგორც სტანდარტული რეკლამის შემთხვევაში. იგი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-სა და კონკრეტულ კომპანიას შორის შუამავალია. შემოსავლის 10 პროცენტი იმ სარეკლამო სააგენტოს რჩება, რომელიც შემკვეთი კომპანიის დავალებით სიუჟეტს უკვეთავს, თანხის დანარჩენი ნაწილი კი ტელევიზიის ანგარიშზე ირიცხება.

„მედია ჰაუსის“ მენეჯერი ნინო ჭიჭილეიშვილი აღიარებს, რომ რეკლამა მაყურებელს ფარულად მიენოდება. „დილის ეთერში შეიძლება მოიწვიონ სტუმარი, რეალურად კი ეს სარეკლამო აქცია იყოს, მაგრამ მაყურებელი ამას ვერ მიხვდება“, – განმარტავს იგი.

„მედია ჰაუსის“ მსგავსად, სააგენტო „თარ მედიაც“ შუამავლის როლს ასრულებს და სარეკლამო შეკვეთებს ტელეკომპანია „იმედისთვის“ იღებს.



მედია ჰაუსი
media house

ფასიანი სიუჟეტები რუსთავი 2-ის ეთერში

აღნიშნული სიუჟეტების შესახებ ინფორმაციის მიღება უნდა განხორციელდეს ეთერში გახვდამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე და წინასწარ უნდა შეთანხმდეს გადაცემის პროდიუსერთან. იმ შემთხვევაში თუ თემა მიუღებელია პროდიუსერთათვის გადაცემის ფორმატიდან გამომდინარე, მისი გაშუქება შესაძლოა არ მოხდეს მიუხედავად დამკვეთის მზადყოფნისა გადაიხადოს შესაბამისი თანხა

გადაცემაში
"დილა მშვიდობისა საქართველო"

1. კადრ-სინქრონი – 700\$
2. სიუჟეტი – 800\$
3. სტუმრის მოწვევა სტუდიაში – 800\$
4. პირდაპირი ჩართვები (1 დღე) – 900\$
5. საიტის განხილვა ინტერნეტის მიმოხილვის ჩართვაში – 500\$
6. პრესის განხილვა ქირიას ჩართვაში – 500\$

გადაცემაში
"ბიზნესკურიერი"

1. სიუჟეტი – 1000\$

გადაცემაში
"კს"

1. სიუჟეტი (ქრონოშეტრავი – თემატიკიდან გამომდინარე) – 3000\$*

* აღნიშნული თანხა გულისხმობს ადგილობრივი სიუჟეტის მომზადების ღირებულებას. საზღვარგარეთ ან რეგიონში ჟურნალისტების გამგზავრების შემთხვევაში დამატებითი ხარჯების და სიუჟეტის ღირებულების შეთანხმება ხდება ცალკე მოლაპარაკების საფუძველზე.

სააგენტოს თანამშრომელი ქეთი ვა-
ძაძე სარეკლამო აგენტთან საუბარში
აცხადებს, რომ შეკვეთილი სიუჟეტი
საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა-
ში“ – 1500 დოლარი, ხოლო დილის გა-
დაცემაში 500 დოლარი ღირს.

„თარ მედიას“ გენერალური დირე-
ქტორის მოადგილე ზურაბ გუმბარი-
ძე „ლიბერალთან“ საუბარში კატე-
გორიულად უარყოფს ახალ ამბებში
ასეთი ტიპის სიუჟეტების მოხვედრის
შესაძლებლობას. „რა სარეკლამო? –
გაკვირვებული მპასუხობს, – ახალ ამ-
ბებში ეს არ შეიძლება. არ ვიცი, სხვა-
გან რა ხდება, მაგრამ „ქრონიკაში“ ფა-
სიან სიუჟეტებს არ აკეთებენ“.

ბრივად საინტერესო მასალა ჩამოე-
ტანათ.

„როცა კენიაში დაჩი გრძელიშვილი
გავაგზავნეთ, ფინანსურად „ეკოფუდი“
დაგვეხმარა, ჟურნალისტმა კი სანა-
ცვლოდ „ეკოფუდის“ მანონი წაიღო და
ადგილობრივ რძის ნაწარმს შეადარა“,
– აღნიშნავს ვეფხვაძე.

მისი თქმით, „ეს დილემაა და, სა-
რეკლამო ბაზრის სიმწირის გამო, პრო-
დიუსერები იძულებულნი არიან, მორა-
დიურ კომპრომისზე წავიდნენ“.

„დროების“ ეს „მიგნება“ მალე
კონკურენტმა არხმაც აიტაცა. არა-
პირდაპირი რეკლამის ფორმები და-
ხვეწეს და სარეკლამო შემკვეთებს

თუმცა, ვიდეო რგოლებს არა ჟურნა-
ლისტები, არამედ თავად კომპანიის
თანამშრომლები ამზადებენ და ტელე-
ვიზიებს უფასოდ გადასცემენ. რელი-
ზი კომპანიისთვის უფასო რეკლამა,
ხოლო არხისთვის ინფორმაციის მო-
პოვების იოლი გზაა. რეპორტაჟების
დროს ხშირად ვიდეო რელიზების წყა-
რო არაა მითითებული და მაცურებელი
მათ ახალი ამბებისგან ვერ განასხვა-
ვებს.

ამერიკაში ამ საკითხთან დაკავში-
რებით დებატები იმდენად გამწვავდა,
რომ რამდენიმე წლის წინ საქმეში თე-
ორი სახლიც ჩაერთო. მაშინ ჯორჯ
ბუშმა ადგილობრივ არხებს კატეგო-

■ „პოსტსკრიპტუმი“ ერთადერთი გადაცემა არაა, რომელსაც „რუსთავი 2“ ყიდის.

დილის გადაცემაში სიუჟეტის მომზადება ან სტუმრის მონწევა – 800 დოლარი,

პრესის მიმოხილვა კი 500 დოლარი ჯდება. „ბიზნეს კურიერში“ სიუჟეტი 1000 დოლარი ღირს.

თუმცა შემდეგ, როდესაც მას ჟურ-
ნალისტის ნაცვლად სარეკლამო აგენ-
ტი ურეკავს, გუმბარიძე აბსოლუტუ-
რად იდენტურ კითხვაზე – რა ღირს
ქრონიკაში დაკვეთილი სიუჟეტის
მომზადება – ყოყმანის გარეშე პასუ-
ხობს, – „1500 დოლარი“. ნიშუადა კი
ნ თებერვალს „ქრონიკაში“ კლუბ „თუ
საიდის“ შესახებ გასულ სიუჟეტს ასა-
ხელებს.

სიუჟეტის ავტორი „თუ საიდში“
დაგეგმილ კონცერტს აანონსებს და
მაცურებელს ნოდიკო ტატიშვილისა და
სალომე ბაკურაძის კონცერტზე ეპა-
ტიყება. სასცენო გარემო, მომღერლე-
ბისა და ორგანიზატორების ფრაზები
– ყველაფერი ისეთია, თითქოს ჟურ-
ნალისტი საკუთარ, დამოუკიდებლად
მოპოვებულ საინტერესო ახალ ამბავს
გვიყვება.

ანალიტიკურ გადაცემებში სა-
რეკლამო სიუჟეტები „პოსტსკრიპტუ-
მამდე“ სწორედ „იმედში“, სატელევი-
ზიო ჟურნალ „დროებაში“ გამოჩნდა.
ამჟამად პარლამენტის ვიცე-სპიკერი
და წარსულში „დროების“ მთავარი
პროდიუსერი, ლევან ვეფხვაძე დღეს
სიამაყით ამბობს, რომ სოციალური
სიუჟეტებისთვის სპონსორების პო-
ვნის იდეაც მას ეკუთვნის. ვეფხვაძე
ამბობს, რომ სპონსორების დაფი-
ნანსებას იყენებდნენ იმისთვის, რომ
საზღვარგარეთ მივლინებისას ვიზუა-
ლურად შთამბეჭდავი და შინაარსო-

რეკლამირებისთვის ახალი სივრცე და
დრო შესთავაზეს.

იმის გამო, რომ რეკლამა ინფორ-
მაციისგან მაქსიმალურად გაიმიჯნოს,
ბრიტანეთში, გერმანიასა თუ ამერიკა-
ში საინფორმაციო გამოშვება თითქმის
ურეკლამოდ გადის. რეკლამა გხვდება
დასაწყისში და სპორტის ამბების წინ.
თუკი ამინდის პროგნოზი გაყიდულია,
ანუ სპონსორი ჰყავს, ისიც ცალკე გა-
დის, – აღნიშნავს ზვიად ქორიძე.

ახალი ამბების გამოშვებაში პროდუ-
ქციის ან მომსახურების რეკლამირება
საქართველოშიც იკრძალება მაუნყე-
ბლობის შესახებ კანონით. თუმცა,
ქართული ტელეკომპანიები ამ კანონ-
საც არღვევენ. მსგავსი საკითხების
მოგვარება კომუნიკაციების ეროვნულ
კომისიას ევალება. თუმცა, რაიმე სა-
ჩივრის საჯარო განხილვის შემთხვევას
ვერავინ იხსენებს.

„საოცრებაა! – აღშფოთებას ვერ მა-
ლავს ამერიკაში კენტის უნივერსიტე-
ტის პროფესორი და მედია ტრენერი
კარლ აიდსუფი, – და ამას აკეთებენ
ჟურნალისტები, რომლებიც საინფორ-
მაციო გამოშვებაში მუშაობენ. ეს ყვე-
ლაფერი საშინლად არაეთიკურია“, –
აცხადებს ის.

ამერიკის შეერთებული შტატების
ფედერალურმა კომისიამ 2006 წელს
„ვიდეო რელიზების“ საშუალებით
„ყალბი ახალი ამბების“ გავრცელების-
თვის 77 მაუნყებელი დაადანაშაულა.

რიულად მოსთხოვა ვიდეო რელიზების
ეთერში გაშვებისას წყაროს დასახე-
ლება. „მაცურებელმა უნდა იცოდეს,
რას უყურებს, თქვენ მათ ეს უნდა
უთხრათ!“ – განაცხადა ამერიკის პრე-
ზიდენტმა.

„ჩვენსა და თქვენ შორის ის სხვაო-
ბაა, რომ ჩვენ ამაზე ვმსჯელობთ და
ამას ვაკრიტიკებთ, – ამბობს აიდსუფი,
– თქვენთან კი შესაბამისი ორგანი-
ზაციები დუმან“.

სწორედ მედიის თვითრეგულირების
გაძლიერების მიზნით შეიქმნა ჟურნა-
ლისტური ეთიკის ქარტია, რომელსაც
2009 წლის 4 დეკემბერს მედიის 140-
მა წარმომადგენელმა მოაწერა ხელი.
ქარტიის მიზანია ქვეყანაში ჟურნა-
ლისტური სტანდარტების ამაღლება.
ჟურნალისტი ია ანთაძე ამბობს, რომ
„რუსთავი 2“ და „იმედი“ ქარტიას არ
გაემიჯნენ, მაგრამ ჯერჯერობით არც
უერთდებიან. ანთაძის თქმით, საბჭოს
განხილვის საგანი შეიძლება სარეკლა-
მო სიუჟეტებიც გახდეს, თუკი საბჭოს
წევრები ამაზე შეთანხმდებიან.

მოქალაქეების და მათი უფლებების
დამცველ ორგანიზაციათა პასიურობა
კი დაინტერესებულ პირებს მედიაზე
ეკონომიკური ბერკეტებით ზემოქმე-
დების საშუალებას აძლევს. ამით
იზრდება საფრთხე, რომ ასეთივე
რეკლამის დამკვეთები, ძეხვის მწარ-
მოებლების გარდა, პოლიტიკოსებიც
გახდებიან. ■

სახსტავშილის საქმე

ანაფოხიანი ფეოდალი

ოფიციალურად, სოლომონ სახსტავშილმა საკუთარი მიწის ნაკვეთი ნეკრესის ეპარქიას აჩუქა. ფაქტები კი იმაზე მიუთითებს, რომ, ეპარქიის წინამძღვრის დავალებით, ადგილობრივმა ჩინოვნიკებმა და პროკურატურამ ქონება მას შანტაჟის გზით წაართვეს.

გელა მთივლიშვილი, სპეციალურად სტუდია „მონიტორისათვის“



ფოტო გელა მთივლიშვილი



ჟურნალისტური გამოძიება განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

სოლომონ ხახუტაშვილმა 2008 წლის 17 აპრილს აუქციონზე იყიდა სოფელ შილდაში, ნეკრესის სამონასტრო კომპლექსის ასასვლელთან მდებარე ერთი პეტარი საძოვარი მიწის ნაკვეთი. სახელმწიფოს მიწის ნაკვეთი 90 ლარად ჰქონდა შეფასებული.

ხახუტაშვილმა მიწის ნაკვეთის საფასური ნერილობითი შეტყობინების მიღებიდან ერთ თვეში გადაიხადა, რის გამოც, მიწის პრივატიზების წესის შესახებ კანონის თანახმად, მას საფასური გაუნახვერდა.

2008 წლის 24 აპრილს სოლომონ ხა-

ხუტაშვილმა მიწის ნაკვეთი საკუთრებად დაირეგისტრირა.

ხახუტაშვილები ამ ნაკვეთს აუქციონის წესით შესყიდვამდეც ფლობდნენ, ოღონდ იჯარით.

სოლომონ ხახუტაშვილსა და ყვარლის რაიონის გამგეობას შორის 2000 წელს დადებული იჯარის ხელშეკრულება პირველად 2008 წლის იანვარში გახდა სადავო.

საქმის მასალების მიხედვით, მუნიციპალიტეტის გამგეობამ ხახუტაშვილთან დადებული საიჯარო ხელშეკრულება გადასახადის გადაუხდელობის მიზეზით

გააუქმა, რაც ხახუტაშვილმა რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრა. სასამართლოს მთავარ სხდომაზე ხახუტაშვილმა გადასახადის სრულად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარადგინა. მოსამართლე ოლია სეფიაშვილმა 2008 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით, ხახუტაშვილის სარჩელი დააკმაყოფილა და მიწის ნაკვეთი მის სარგებლობაში დააბრუნა. მხარეებს სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებიათ და ის კანონიერ ძალაშია შესული.

მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით ხახუტაშვილებს პრობლემა მეორედ 2009 წლის დეკემბერში შეექმნათ.

„2009 წლის 24 დეკემბერს სახლში სოფლის გამგებელმა რამაზ ლამაზოშვილმა მოგვაკითხა. გვითხრა, – ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა ლომიძე გიბარებთო. საკრებულოში მე და ჩემი მეუღლე წავედით. ლომიძემ მიგვითხრა, რომ მიწა, რომელიც 2008 წელს ვიყიდეთ, უსასყიდლოდ უნდა დაგვეთმო. თუ არ დათმობთ, მაინც წაგართმევენ და დავას თუ დაინწყებთ, რაც გირგვლიანის ოჯახს დამართეს, იგივე დაგემართებათო. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ვკითხეთ, თუ ვინ იყო მიწის ნაკვეთით დაინტერესებული, რომ მას მოვლაპარაკებოდით. ლომიძემ დაინტერესებული პირის ვინაობა არ გვითხრა. ჩვენ კი მიწის უსასყიდლოდ დათმობაზე უარი ვთქვით“, – აღნიშნავს სოლომონ ხახუტაშვილის მეუღლე მანანა ხახუტაშვილი.

ზაზა ლომიძე, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: „ნეკრესისა და ჰერეთის ეპისკოპოსთან ახლო ურთიერთობა მაქვს. მეუფე სერგიმ მითხრა, – ნეკრესის შესასვლელთან მდებარე ნაკვეთი ეპარქიას სჭირდებაო. მონასტრის შესასვლელში მუზეუმის, ავტოსადგომის, სატრაპეზოს მშენებლობა დაგეგმილი და ეს ადგილი ამისთვის გვინდაო. მეც დავბარე ხახუტაშვილები და ვთხოვე, რომ ნაკვეთი დაეთმოთ, რაზეც უარი თქვეს. მე მათ არ დავმუქრებოვარ“.

მას შემდეგ, რაც ხახუტაშვილებმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს მიწის ნაკვეთის დათმობაზე უარი უთხრეს, მათ ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი ლევან გამსახურდია შეხვდათ. „გამგებელმა შემოგვითვალა, – ეგ მიწა დათმეთ და ნაკვეთს სადმე სხვაგან მოგცემთო. ქალიშვილის დასაქმებასაც დავგპირდა, მაგრამ არ



სოლომონ ხახუტაშვილის ყოფილი მიწის ნაკვეთი, სოფელი შილდა, მარტი 2010

დავთანხმდით“, – ჰყვება მანანა ხახუტაშვილი.

ლევან გამსახურდია, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი: „ეკლესიას უნდოდა ეგ ნაკვეთი. ტურიზმი უნდა განვითარდეს. ხახუტაშვილებს მართლაც ვუთხარი, რომ ნეკრესის შესასვლელთან მდებარე ნაკვეთის დათმობის სანაცვლოდ, მინის ფართობს სხვაგან გამოვუძებნიდი, მაგრამ იუარეს. მათ მეტად აღარ შეგხვედრივარ“.

ნეკრესისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა სერგიმ (ჩეკურიძე) ჩვენთან საუბარში დაადასტურა, რომ სოლომონ ხახუტაშვილის საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთით ნამდვილად ეპარქია იყო დაინტერესებული. მეუფეს თქმით, ნაკვეთის გადაცემის სანაცვლოდ, ხახუტაშვილს ის გარკვეულ თანხასაც სთავაზობდა, თუმცა ფასზე ვერ შეთანხმდნენ.

ამის შემდეგ საქმეში კახეთის საოლქო პროკურატურა ჩაერთო.

სოლომონ ხახუტაშვილი: „2010 წლის 8 იანვარს კახეთის საოლქო პროკურატურაში დავგვიბარეს. პროკურორის პირველი მოადგილე ვაჟა მალრაძე და გამომძიებელი ილია ჯანგულაშვილი

თი (საძოვარი) 45 ლარად. როგორც გამომძიებით დადგინდა, 2000 წლის 10 ნოემბრით დათარიღებული ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, სოლომონ ხახუტაშვილი ზემოაღნიშნულ მინის ნაკვეთს ფლობდა, უკანონოა და კანონმდებლობის უხეში დარღვევით არის გაფორმებული; კერძოდ, იმ დროისთვის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მას შემდეგ რაც მინის იჯარით გამცემი მუდმივმოქმედი კომისია განიხილა და მოქალაქეზე მინის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხს, აღნიშნული გადაწყვეტილება სხდომაზე რაიონულ გამგეობას უნდა დაემტკიცებინა და მოქალაქესთან მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გაფორმებულიყო ხელშეკრულება მინის ნაკვეთის იჯარით გადაცემის შესახებ. ამ შემთხვევაში, კანონის ეს მოთხოვნა უხეშად დაირღვა – რაიონულმა გამგეობამ ხახუტაშვილისთვის მინის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხი 2000 წლის 16 ნოემბერს განიხილა, მაშინ, როდესაც 2000 წლის 10 ნოემბერს, ანუ 6 დღით ადრე, მასთან უკვე გაფორმებული იყო უკანონო ხელშეკრულება.

ამასთან, გამომძიებით დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული დარღვევის და-

ხელშეკრულებასაც გამგეობა ადგენს, მე მხოლოდ ხელი მოვანერე“.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტის თამარ კორძაიას თქმით, კახეთის საოლქო პროკურატურას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლება არ ჰქონდა. „ხახუტაშვილებმა მინის ნაკვეთი პრივატიზაციის შესახებ კანონმდებლობის დაცვით იყიდეს, ანუ მათ ადმინისტრაციულ ორგანოსთან ჰქონდათ ურთიერთობა. ადმინისტრაციულმა ორგანომ გასცა დოკუმენტი (პრივატიზაციის ხელშეკრულება), რომელიც ადასტურებდა, რომ მინა კერძო პირის საკუთრებაში გადავიდა. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტი უკანონო აღმოჩნდა, კანონმდებელი, კერძო პირის ინტერესების დაცვის მიზნით, ადგენს კანონიერი ნდობის პრინციპს, რომლის თანახმად, ასეთი აქტების გაუქმება პრაქტიკულად შეუძლებელია, თუკი არ ილახება სხვა პირთა კანონიერი ინტერესები. ხახუტაშვილების საქმეში აშკარად ჩანს, რომ სხვა პირების ინტერესები მათთვის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის დროს არ შეზღუდულა. რაც შეეხება უშუალოდ ხანდაზმულობის ვა-

■ მას შემდეგ, რაც ხახუტაშვილებმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს მინის ნაკვეთის დათმობაზე უარი უთხრეს, მათ ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი ლევან გამსახურდია შეხვდათ.

შეგვხვდნენ. მალრაძემ ფასი გვკითხა. ვუთხარით, რომ ნაკვეთს 10 000 დოლარად გავყიდდით. მინის ნაკვეთი 45 ლარად იყიდეთ და 10 000 დოლარად გაყიდვა გინდათ? თქვენთან ლაპარაკი არ შეიძლება, ამ საქმეს ჩვენ მივხედავით“, – გვითხრა მალრაძემ“.

2010 წლის 11 იანვარს კახეთის საოლქო პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამხარეო სამმართველოს მუშაკების მიმართ გამოძიება მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ნიშნების გამოკვეთით დაიწყო. ოფიციალური ცნობით, საქმის აღძვრას საფუძვლად ოპერატიული ინფორმაცია დაედო.

„სოლომონ ხახუტაშვილმა ყვარლის რაიონის სოფელ შილდის ტერიტორიაზე 2008 წლის 17 აპრილს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამმართველოს მეშვეობით შეიძინა ერთი ჰექტარი მინის ნაკვე-

საფარავად 2008 წლის აპრილში ქონების მართვის სამმართველოში სოლომონ ხახუტაშვილმა ზემოაღნიშნული ხელშეკრულების გაყალბებული პირი წარადგინა. გადასწორებული იყო ხელშეკრულების გაფორმების თარიღი – თითქოს ხელშეკრულება გაფორმდა 2000 წლის დეკემბრის თვეში“, – განაცხადეს საქართველოს პროკურატურაში.

სოლომონ ხახუტაშვილი: „ხელშეკრულება მე არ გამიყალბებია. დოკუმენტში რომაული ციფრებით დაწერილ 11-ს ერთი ხაზი პროკურატურაში თვითონ დაამატეს, და მეთერთმეტე თვე მეთორმეტედ ანუ დეკემბრად გადააკეთეს. ამით სურდათ ჩემი ბრალეულობა გამოეკვეთათ. ხელშეკრულების სხვა პირებში ყველგან 10 ნოემბერია აღნიშნული. იჯარის ხელშეკრულება 2000 წელს დარღვევითაც რომ გაფორმდებოდა, მე რა შუაში ვარ, თუ მათ მოგვიანებით დაამტკიცეს სხდომაზე. მინის ნაკვეთს იჯარით გამგეობა გასცემს,

დებს, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის ნიშნები არ იკვეთება, მაგრამ რომც იკვეთებოდეს, გასულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ვადა“, – აღნიშნავს კორძაია.

იმის დასაზუსტებლად, თუ როდის იმსჯელა ყვარლის რაიონის გამგეობამ სოლომონ ხახუტაშვილისთვის მინის ნაკვეთის იჯარით გაცემაზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან 2000 წლის 16 ნოემბრის სხდომის ოქმი მოვითხოვეთ. 2010 წლის 26 იანვარს ყვარლის გამგეობიდან გვაცნობეს, რომ დოკუმენტაცია კახეთის საოლქო პროკურატურამ 2010 წლის 11 იანვარს ამოიღო.

სოლომონ ხახუტაშვილის საქმესთან დაკავშირებით დოკუმენტაციის ასლები გამოვითხოვეთ სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამხარეო სამმართველოდანაც. სამმართველოს უფროსმა კობა ბურკიაშვილმა 2010 წლის 29 იანვრის ნერილით გვაც-

ნობა, რომ დოკუმენტაცია ამოღებულა კახეთის საოლქო პროკურატურის მიერ 2010 წლის 11 იანვარს – 13 საათსა და 55 წუთზე, თელავის რაიონული სასამართლოს 11 იანვრის ბრძანებულებით.

გამოდის, რომ 2010 წლის 11 იანვარს კახეთის საოლქო პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა, გამოძიებამ იმავე დღეს გაარკვია დეტალები, რა დოკუმენტები უნდა მოეთხოვათ, იმავე დღეს პროკურატურამ მოამზადა შუამდგომლობა და მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს. მოსამართლემ მაშინვე განიხილა შუამდგომლობა, დააკმაყოფილა და გადაწყვეტილებაც გამოიტანა. ამასთან ერთად, გამოძიებულმა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამხარეო სამმართველოსა და ყვარლის გამგეობაში მისვლა და დოკუმენტაციის ამოღება 13:55 საათამდე მოასწრო.

იმისათვის, რომ დაგვედგინა, ყვარლის რაიონის გამგეობამ 2000 წლის 16 ნოემბრის სხდომაზე რა საკითხებზე იმსჯელა, 2010 წლის 26 იანვარს ყვარლის რაიონულ სასამართლოში იმ საქმის მასალების გაცნობა მოვითხოვეთ, სადაც სოლომონ ხახუტაშვილი ყვარლის გამგეობისგან საიჯარო ხელშეკრულების გაუქმების შესახებ დადგენილების ბათილად ცნობას ითხოვდა. სასამართლოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა – ნანული ტუხაშვილმა ჩვენი განცხადება სასამართლოს თავმჯდომარეს ოლია სფეფაშვილს გააცნო. დაახლოებით ორსაათიანი ლოდინის შემდეგ ტუხაშვილმა მასალების გაცნობაზე უარი გვითხრა: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მიხედვით, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. ამავე კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, საჯარო დანებსებულება ვალდებულია, არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის

ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ პირის თანხმობის გარეშე. აქედან გამომდინარე, თუ საქმის მასალები შეიცავს მონაცემებს პროცესის მონაწილის ჯანმრთელობის, მისი ფინანსური მდგომარეობის ან სხვა კერძო საკითხების შესახებ, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გაცეს აღნიშნული მასალები ერთდროულად ორივე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე“, – ნათქვამია მოსამართლის წერილში.

თამარ კორძია, იურისტი: „სასამართლოს გადაწყვეტილება საქმის მასალების გასაიდუმლოების შესახებ არ შეესაბამება ინფორმაციის თავისუფლების საკანონმდებლო მოთხოვნებს, რადგან ინფორმაციის გასაიდუმლოება დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ მოხდა. მნიშვნელოვანია, რომ საქმე უკვე დასრულებულია და, მით უფრო, საქმეში ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო. შესაბამისად, ასეთი საქმეების მიმართ არსებობს საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი და იგი ღია უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის“.

28 იანვარს სოლომონ ხახუტაშვილის მეუღლე მანანა ხახუტაშვილი დაგვიკავშირდა და გვთხოვა, მათ საქმესთან დაკავშირებით მუშაობა შეგვეწყვიტა: „შემოგვითვალეს და დაგვემუქრენ, დოკუმენტის გაყალბებისთვის თქვენ მეუღლეს დავიჭერთ თუ ჟურნალისტებს საქმეს არ ჩამოაცილებთ“.

ზაქარია ბუთიაშვილი, ხოლომონ ხახუტაშვილის ადვოკატი: „11 იანვრიდან 30 იანვრის ჩათვლით კახეთის საოლქო პროკურატურაში სამჯერ დამიბარეს. საოლქო პროკურორის მოადგილეს აინტერესებდა პასუხი, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა პოზიცია ხომ არ შეცვალა და მინის ნაკვეთს ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქიას ნებით ხომ არ გადასცემდა. თუ ეს მოხდებოდა, პროკურორი მბირდებოდა, რომ, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, საქმეზე გამოძიება შეწყდებოდა. სამჯერვე უარი ვუთხარი“.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყვარლის სარეგისტრაციო სამსახურის ინფორმაციით, 2010 წლის 9 თებერვალს სოლომონ ხახუტაშვილმა სადავო მინის ნაკვეთი საქართველოს საპატრიარქოს ნეკრესის ეპარქიას აჩუქა. მინის ნაკვეთი ეპარქიის წარმომადგენელ ოლია ჯაფარშვილის სახელზე გადაფორმდა. □



■ ნეკრესისა და ჰერეთის ეპისკოპოსი სერგი

■ ნეკრესისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა სერგიმ (ჩეკურიშვილი) ჩვენთან საუბარში დაადასტურა, რომ სოლომონ ხახუტაშვილის საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთით ნამდვილად ეპარქია იყო დაინტერესებული. მეუფეს თქმით, ნაკვეთის გადაცემის სანაცვლოდ, ხახუტაშვილს ის გარკვეულ თანხასაც სთავაზობდა, თუმცა ფასზე ვერ შეთანხმდნენ. ამის შემდეგ საქმეში კახეთის საოლქო პროკურატურა ჩაერთო.

ჰამაიბიხი ეხნეთში მახსო დახუნდა

როცა ჰამარბერგი ცხინვალშია, ერგნეთთან ხალხმრავლობაა.

გოგა აფციაური, ერგნეთი



ფოტო გოგა აფციაური

ერგნეთის საგუშაგო, თებერვალი 2010

თებერვლის ბოლო შაბათს ერგნეთის საგუშაგოსთან უჩვეულო ხალხმრავლობა იყო.

აგვისტოს ომის შემდეგ სოფლის გასასვლელთან ერთბაშად ამდენი ადამიანი აღარ შეკრებილა.

მიუხედავად სუსხიანი ქარისა, ეს ადამიანები მანქანებში ვერ ჩერდებოდნენ და ქართული პოლიციური საგუშაგოდან ცხინვალისკენ გასასვლელ გზას თვალს არ აცილებდნენ. ნაწილი ჩაფიქრებული იყო, ნაწილი ნერვიულობისგან ბოლთას სცემდა.

ერგნეთის საგუშაგოზე მომლოდინე ადამიანები ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს თომას ჰამარბერგს ელოდნენ, რომელიც დილის 11 სა-

ათზე ცხინვალში შევიდა.

აქ იყვნენ ექვსი ლამისყანელი შეშისმჭრელის ოჯახის წევრები; კირბალელი ბიძა-ძმისშვილის, ვაჟა და ბექა თაყაძეების ნათესავები; სამხედრო მოსამსახურის ზვიად კობლაძის ძმაც. ეს ადამიანები ცხინვალის ციხეში იმყოფებიან. ყველა მათგანს ბრალად საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა ედება და ოსური მხარე მათ განთავისუფლებას არ აპირებს.

ერგნეთის საგუშაგოსთან იდგა რამდენიმე ქალი, რომლებმაც არ იციან ცოცხლები არიან თუ არა მათი შვილები. ზაზა ბირთველიშვილის, ოთარ სუხიტაშვილის და გია რომელაშვილის ოჯახის წევრებს 2008 წლის 8 აგვისტოს

„ღმერთო, ნეტა მოჰყავდეს ჩვენი შვილები“, – ჩურჩულებდნენ ქალები. ცხინვალში 10-საათიანი ვიზიტის შემდეგ ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი ერგნეთში მარტო დაბრუნდა.

შემდეგ შვილების შესახებ აღარაფერი გაუგიათ. იმ დღეს გორის სატანკო ბატალიონის 406-ე ტანკის ეკიპაჟის წევრებმა მშობლებს შეატყობინეს, რომ ცხინვალში იმყოფებოდნენ. იმ დღიდან

მათი კვალი იკარგება.

„ამ უცხოელ კაცს გვინდა შევხვდეთ. იქნებ მაგან გვიშველოს. აქამდე თავდაცვის სამინისტროში დავდიოდით, მაგრამ იქ ვერაფერს გვეუბნებოდნენ. რა ვქნათ, რა?“ – მოთქვამდნენ დაკარგულთა დედები.

კასპის რაიონის სოფელ ლამისყანის მახლობლად ტყეში შემის მოსაჭრელად გასული 6 ადგილობრივი მაცხოვრებელი ოსებმა და რუსებმა გასული წლის 31 აგვისტოს დააკავეს და მას შემდეგ ცხინვალის ციხეში იმყოფებიან.

„ნ თვეა, არაფერი მსმენია ჩემს შვილზე. ვიცი, რომ ოსი დედებიც ეძებენ თურმე თავიანთ შვილებს. მათაც უნდა დავეხმაროთ, მოვუძებნოთ, მათაც ხომ ჩვენსავით გაზარდეს შვილები... ახლა ჰამარბერგის გადმოსვლას ველოდებით. რომ მიდიოდა, გვითხრა, ნუ გეშინიათო“, – ამბობს ლამისყანელი ჯამლეტ ჯამრიშვილის დედა, მანანა ბენიშვილი.

თებერვლის სუსხიან დღეს ერგნეთში შეკრებილებისთვის დრო ძალიან ნელა გადიოდა. ისინი მაინც იცდიდნენ და ცხინვალისგან გამომავალ გზას გაჰყურებდნენ.

დალამდა. ცხინვალში, რომელიც ამ ადგილიდან ხელისგულივით მოჩანს, ნელ-ნელა ინთებოდა შუქი. გაჩახჩახდა ცხინვალის ჩრდილო ნაწილიც – მთაზე განთავსებული რუსული ჯარის მეოთხე ბაზა.

ჩაბნელებული დარჩა როგორც ქართული პოლიციის, ისე ოსური და რუსული ე.წ. სასაზღვრო საგუშაგო. მოულოდნელად ოსურ საგუშაგოსთან მანქანების შუქი გამოჩნდა. ყველამ ერთდროულად ბეტონის ფილებისკენ გაიწია.

ჟურნალისტებმა მიკროფონები ჩართეს, ოპერატორებმა – კამერები. „ღმერთო, ნეტა მოჰყავდეს ჩვენი შვილები“, – ჩურჩულდნენ ქალები.

ცხინვალში 10-საათიანი ვიზიტის შემდეგ ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი ერგნეთში მარტო დაბრუნდა. მან თქვა, რომ ცხინვალში არ აღმოჩნდა პასუხისმგებელი ოფიციალური პირი, რომელთანაც დაკავებულების შესახებ მოლაპარაკებას გამართავდა.

„ჩვენ რა გვეშველება?“ – ჰკითხეს შეკრებილებმა. „მე რაც შემიძლია, ვაკეთებ“, – მიუგო ჰამარბერგმა მშობლებს.

რამდენიმე ქალი ატირდა. ხალხი კიდევ ცოტა ხანს დარჩა საგუშაგოსთან და თანდათან დაიშალა. **■**

კონფლიქტის ზონა

აბსოლუტური ჩისი

ცხინვალის ხელისუფლება აცხადებს, რომ არც ერთ ქართველ პატიმარს აღარ გაათავისუფლებს. ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი თომას ჰამარბერგი ამბობს, რომ ვითარება „აბსოლუტურ ჩისში“ მოექცა.

ოლესია ვართანიანი

ჰამარბერგის ორი ექსპერტი, უკვე ორი კვირაა, უგზო-უკვლოდ დაკარგული ქართველებისა და ოსების საქმეებს იკვლევს.

მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგები მარტის ბოლოს გახდება ცნობილი. გაირკვევა, თუ რა ეტაპზეა უგზო-უკვლოდ დაკარგული ოსების ძიების პროცესი, რითაც უკვე ნახევარ წელზე მეტია, საქართველოს პროკურატურაა დაკავებული.

ექსპერტებმა ასევე უნდა გაარკვიონ, რა ბედი ეწია 37 ქართველს, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაიკარგნენ.

ჰამარბერგს იმედი აქვს, რომ ექსპერტების ანგარიში ცხინვალსა და თბილისს შორის პატიმართა განთავისუფლების თაობაზე მოლაპარაკებების განახლებას შეუწყობს ხელს.

ეს პროცესი გასული წლის ზაფხულში საგრძნობლად შეფერხდა, შემოდგომაზე კი ცხინვალსა და თბილისს შორის მოლაპარაკებები საერთოდ შეწყდა.

ამ დროისთვის ცხინვალის იზოლატორში 13 ქართველი იმყოფება.

საქართველოს ციხეებში კი, ცხინვალის ინფორმაციით, დაახლოებით 35 ოსი ეროვნების ადამიანი ჰყავთ დაკავებული.

„ჩემი აზრით, სიტუაცია უფრო მეტად შევიდა ჩისში, ვიდრე ოდესმე ყოფილა ომის შემდეგ“, – თქვა ჰამარბერგმა გასულ შაბათ-კვირას, საქართველოში თავისი ბოლო ვიზიტის დროს. „ისინი [პატიმრები] მხარეთა ურთიერთდაპირისპირების მძევლები გახდნენ, არსებული პოლიტიკური სიტუაციის მსხვერპლად იქცნენ“.

ქართული მხარე და ჰამარბერგი ცხინვალის სიიდან შვიდ ადამიანს

უგზო-უკვლოდ დაკარგულად მოიხსენიებენ. ცხინვალში კი ამის არ სჯერათ. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ოსი ეროვნების ეს შვიდი ადამიანი ქართველ სამართალდამცავებს ჰყავთ.

ბორის ჩოჩიევს, რომელიც სამხრეთი ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელია პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში, ამ შვიდი ოსის გათავისუფლება „პირველი რიგის საქმედ“ მიაჩნია.



■ თომას ჰამარბერგი

ფოტო: ალექსანდრე შუბაძე

შაბათს, როცა ჰამარბერგი ცხინვალში პირველად ჩავიდა, ჩოჩიევი ქალაქში არ იმყოფებოდა. ჩოჩიევმა კომისარი მეორე დღეს მიიწვია. როგორც თავად ამბობს, ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ქართულ ტელეარხებს უყურა.

„დავინახე, რომ იმ დამნაშავეთა ნათესავები, რომლებიც ჩვენს ციხეებში სხედან, ელოდნენ, რომ ის [ჰამარბერგი] კიდევ ვინმეს ჩაუყვანდათ“, – აღშფოთებით განაცხადა ჩოჩიევმა ცხინვალის ტელევიზიის ეთერით.

მან თქვა, რომ არც საქართველოს ხელისუფლებას და არც ოსეთში მყოფი პატიმრების ნათესავებს, უფლება არ აქვთ, ვინმეს განთავისუფლება მოითხოვონ.

„და დღეს ჩვენ მას [ჰამარბერგს] განვუცხადეთ, რომ საკმარისია ჩვენი მხრიდან გადადგმული კეთილი ნების ნაბიჯები; დაპატიმრებულთა ნათესავებმა უნდა იცოდნენ, რომ ვიდრე საქართველოს ხელისუფლება ჩვენს მოქალაქეებს არ გადმოგვცემს, მეტს აღარავის გავათავისუფლებთ“, – თქვა ჩოჩიევმა.

ამ უგზო-უკვლოდ დაკარგული ოსების საქმე, უკვე დიდი ხანია, საქართველოსა და ოსეთის ხელისუფლებებს შორის პოლიტიკური ვაჭრობის საგნად იქცა.

განსაკუთრებით გახმაურებულია ხაჩიროვის, ხუგაევის და პლიევის გაუჩინარების საქმეები. ისინი 2008 წლის შემოდგომაზე დაიკარგნენ. ცხინვალში ამბობენ, რომ ბოლოს ეს ადამიანები ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე სოფლების – კორკუსასა და ხელრუას მიდამოებში ნახეს. ეს ის პერიოდი იყო, როცა ე.წ. ბუფერულ ზონებს რუსი სამხედროები ტოვებდნენ და სოფლებში ჯერ არ იყო შესული ქართული პატრული. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა საკუთარ სახლებში ბრუნდებოდა. დღემდე გაურკვეველია, რას აკეთებდნენ ხაჩიროვი, ხუგაევი და პლიევი ამ სოფლებში. იმ მომენტისთვის ერთ-ერთი მათგანი არასრულწლოვანი იყო, მეორე კი ცხინვალის „ომონის“ თანამშრომელი.

საქართველოს შსს-ში ვარაუდობენ, რომ ისინი ამ სოფლებში მაროდორობის მიზნით ჩავიდნენ, და შესაძლოა, მათ ამ საქმიანობის დროს შინ დაბრუნებულმა ქართველმა სახლის პატრონმა მიუსწრო და მოკლა.

ხაჩიროვის, ხუგაევის და პლიევის

დაკარგვიდან რამდენიმე თვეში მათ ნათესავებს ხელში ჩაუვარდათ მობილური ტელეფონით გადაღებული ვიდეოკადრები, სადაც ჩანს, რომ მათ სცემენ სამხედრო ფორმიანები, რომელთა სახეებიც არ ჩანს.

ცხინვალელ ჩინოვნიკთა შეფასებით, მოძალადეები ქართველი სამხედროები ან პოლიციელები იყვნენ.

ჩანანერი ზაფხულის დასაწყისში გაჩნდა. ამის შემდეგ დაიწყო ადმინისტრაციულ საზღვარზე დაგეგმილი მოლაპარაკებების ჩაშლა.

„შეიძლება ითქვას, რომ გამოძიება ადგილიდან არ იძვრის“, – ამბობს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, თინათინ ბურჯალიანი. მისი თქმით, ერთადერთი, რისი გარკვევაც აქამდე მოხერხდა, ისაა, რომ ეს სამი ოსი მოქალაქე ქართველ სამართალდამცავებს არ დაუკავებიათ.

ოჯახის წევრები ვარაუდობენ, რომ ერთ-ერთი ადამიანი, რომელიც ვიდეოჩანანერზე მათ შვილებს სცემს, გორელი პოლიციელია. მათ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს ამ ადამიანის სახელი და გვარიც უთხრეს და მისი დასჯა მოსთხოვეს.

ადმინისტრაციულ საზღვართან მიმდინარე შეხვედრებზე საქართველოს შსს-ს ოფიციალური წარმომადგენელი შოთა უტიაშვილი ამბობს, რომ დაკარგულთა ნათესავები ცდებიან. მისი თქმით, ჩატარდა შიდა გამოძიება და ვიდეოზე ჩანერილი ხმა იმ ადამიანის ხმას შეადარეს, რომელზეც დაკარგულთა ნათესავებს ჰქონდათ ეჭვი. „ექსპერიმენტმა უჩვენა, რომ ეს სხვა ადამიანია“, – განაცხადა მან.

უტიაშვილის თქმით, ქართული მხარე ცხინვალის ხელისუფლებას სთავაზობს, ქართველი გამოძიებლები ადმინისტრაციული საზღვრის იქით მხარეს შეუშვან, რომ იქაც შეძლონ ადამიანების დაკითხვა და ახალი ფაქტების გამოვლენა. ამ წინადადებაზე ცხინვალმა უარი თქვა.

ევროსაბჭოს კომისარი ჰამარბერგი იმედოვნებს, რომ მსგავსი საკითხების გადაჭრას მისი ექსპერტები მოახერხებენ.

იმ საბუთში, სადაც ექსპერტების უფლებამოსილება განწერილი, აღნიშნულია, რომ მათ ძიების ყველა საბუთზე მიუწვდებათ ხელი. ასევე, ექსპერტები თავად შეძლებენ დაკარგულთა ნათესავების დაკითხვას და პოტენციური მოწმეების გამოვლენას. **■**

აფხაზეთი

ახალი მინისტრთა ხაზინა

ახალი მინისტრთა კაბინეტი მოწმობს, რომ აფხაზეთში უფრო ხიან რადიკალურ რეფორმებსა და რეკოლუციურ ცვლილებებს.

ინალ ხაშიგი, სოხუმი

აფხაზეთის ახალი პრემიერ-მინისტრის – სერგეი შამბას მთავრობის ფორმირება დასრულებულია. წინასწარ გაკეთებული განცხადებები არ გამართლდა – შეპირებული განახლებული მინისტრთა კაბინეტის ნაცვლად, შამბას მთავრობა არც სტრუქტურით და არც პერსონალიტეტით თითქმის არაფრით განსხვავდება იმ კაბინეტისგან, რომელსაც გასული ხუთი წლის მანძილზე ამჟამინდელი ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრ ანჭვაბი ხელმძღვანელობდა.

სახელისუფლებო წყაროები ირწმუნებიან, რომ მინისტრთა კაბინეტის რესტრუქტურის გეგმა მართლაც არსებობდა. ეს გეგმა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაკვეთით, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიმუშავეს, თუმცა პროექტი იმდენად რეკოლუციური აღმოჩნდა, რომ მასზე პრაქტიკულად ყველა გავლენიანმა მოთამაშემ უარი თქვა – ალექსანდრ ანჭვაბიდან და სერგეი შამბადან დანყებულნი, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებით დამთავრებული.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ალექო გვარამიას მიერ მომზადებული პროექტის მიხედვით, რადენიმე სამინისტრო და სახელმწიფო კომიტეტი (კერძოდ, საგადასახადო სამსახური, სახელმწიფო საბაჟო, კურორტებისა და ტურიზმის სახელმწი-



სერგეი შამბა

ფო კომიტეტები, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სხვ.) გამსხვილდებოდა და დაექვემდებარებოდა ეკონომიკის სამინისტროს.

თუ გავითვალისწინებთ ამ უწყებების მნიშვნელობას, გამოდის, რომ გვარამიას პროექტის მიხედვით, ჩამოყალიბდებოდა ძლიერი სამინისტრო, რომელსაც პარალელური მთავრობის ფუნქციები ექნებოდა. იმ პირობებში კი, როცა სახეზეა ალექსანდრ ანქვაბსა და სერგეი შამბას შორის გაჩაღებული ფარული ბრძოლა, ამგვარი უწყების არსებობა დამატებით საფრთხეს ქმნის.

თუ არ ჩავთვლით პრო-სახელისუფლებო პარტიის „ედინაია აფხაზიას“ ლიდერს დაურ თარბას, რომელიც ვიცე-პრემიერად დაინიშნა და საგარეო უწყების ახალ ხელმძღვანელს – მაქსიმ ლვინჯიას, რომელიც მანამდე საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე იყო, რეალურად ერთადერთი ახალი სახე მთავრობაში – ასლან ბჟანიას. აფხაზეთში ნაკლებად ცნობილი მოსკოველი ბიზნესმენი სახელმწიფო უშიშროების სამსახურს უხელმძღვანელებს.

ბჟანიას საბჭოთა „კა გე ბე“-ს ორწლიანი კურსი აქვს გავლილი. სპეცსამსახურში მან ორ წელიწადს იმუშავა – 90-იანების დასაწყისში. შემდეგ მრავალი წლის მანძილზე მოსკოვში კომერციულ საქმიანობას ეწეოდა, და მხოლოდ გასულ წელს დაინიშნა სრულიად ფორმალურ თანამდებობაზე

■ სოსუმში საუბრობენ იმაზე, რომ ხუთი წლის შემდეგ, როცა ბალაფშის მეორე საპრეზიდენტო ვადა ამოიწურება, იგი თავის მემკვიდრედ ან ალექსანდრ ანქვაბს ან სერგეი შამბას გამოაცხადებს.

– რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთის რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველად ეკონომიკის საკითხებში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქმე სპეცსამსახურის თანამშრომელს ეხება, რომელთა ოფიციალური ბიოგრაფია ხშირად რეალურს სულაც არ ემთხვევა, გამორიცხვად არ არის, რომ კომერციის ნიღაბს ამოფარებული ბჟანია მთელი ამ წლების მანძილზე საიდუმლო მისიას ასრულებდა. ამას ამბობს წყარო ხელისუფლებაში, რომელსაც არ სურს საკუთარი ვინაობის გამხელა. ბჟანიას ბიოგრაფიაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალია, რომელიც ასევე ხსნის მის დანიშნას საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ბჟანია პრეზიდენტ ბალაფშის ნათესავია.

ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ახალი მთავრობა, რომელიც თითქმის

არაფრით განსხვავდება ძველისგან, ალექსანდრ ანქვაბისთვის განუული კომპენსაციაა.

სერგეი ბალაფშმა პრემიერ-მინისტრის სავარძელი სერგეი შამბას ანდო, და არა პირველ ვიცე-პრემიერს – ლეონიდ ლაკერბაიას, რომელიც ანქვაბის კანდიდატურა იყო.

მართალია, შამბამ პრემიერ-მინისტრის სავარძლისთვის ბრძოლაში აჯობა ანქვაბს, მაგრამ თუ გადავხედავთ მინისტრთა კაბინეტს, შამბას ეს წარმატება სრულიად ნივლეირებულია. ერთადერთი საკადრო გადაწყვეტილება, რომლის ლობირებაც მან შეძლო, საგარეო საქმეთა მინისტრად მისი ყოფილი მოადგილის, მაქსიმ ლვინჯიას დანიშვნაა.

სოსუმში საუბრობენ იმაზე, რომ ხუთი წლის შემდეგ, როცა ბალაფშის მეორე საპრეზიდენტო ვადა ამოიწურება, იგი თავის მემკვიდრედ ან ალექსანდრ ანქვაბს ან სერგეი შამბას გამოაცხადებს. მანამდე კი, ხუთი წლის მანძილზე, პრემიერ-მინისტრსა და ვიცე-პრეზიდენტს მემკვიდრის სტატუსისთვის მძიმე ბრძოლა მოუწევთ.

ბალაფშის პრეზიდენტობის ვადა 2015 წელს იწურება. ამ დროისთვის რუსეთი, რომელიც სოჭის ოლიმპიადისთვის ემზადება, უკვე მოასწრებს რესპუბლიკაში მილიარდობით რუბლის ინვესტიციის ჩადებას, და ამ მომენტისთვის აფხაზეთს სჭირდება ისეთი პრეზიდენტი, რომელიც ამ ინვესტიციებს გონივრულად გამოიყენებს. ბატონი ანქვაბი ცნობილია როგორც მკაცრი ხელმძღვანელი, მეურნე, რომელსაც ამ ამოცანის შესრულება კარგად შეუძლია.

თუმცა, პრობლემა ისაა, რომ ხისტი ანქვაბის კანდიდატურა ბევრად უფრო ნაკლებად მისაღებია კრემლისთვის, ვიდრე შედარებით რბილი შამბასი. საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს შესანიშნავი კავშირები აქვს – მოსკოვსა და კრემლში იგი ბალაფშზე არანაკლები სიხშირით დაიარება. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ მოსკოვის რეკომენდაცია იყო შამბას პრემიერ-მინისტრად დანიშვნა.

მოსკოვს, რომელიც სოჭის ოლიმპიადამდე აფხაზეთში სოლიდური ინვესტიციების ჩადებას გეგმავს, სოსუმში ხისტი პრემიერი არ სჭირდება. ■

სტატიაში გამოყენებული ტერმინოლოგია და გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არა „ლიბერალს“.

რედაქციისგან:

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ინალ ხაშიგის სტატია ობიექტურად არ აფასებს ვლადისლავ არძინბას როლს არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ ქართველების ისტორიაში. ასევე ვაცნობიერებთ იმას, რომ არძინბას ამ კუთხით შეფასება მტკიცენული იქნება ქართველებისთვის და განსაკუთრებით მათთვის, ვინც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს ახლობელი დაკარგა. თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც ვებეჭდვით ამ სტატიას, რადგან მიგვაჩნია, რომ ქართულმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, როგორ აფასებს აფხაზური საზოგადოება 90-იანი წლების მოვლენებს და ვლადისლავ არძინბას – ადამიანს, რომელმაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტში ერთ-ერთი ყველაზე საბედისწერო როლი შეასრულა.

აფხაზეთი

ბახდაისვანა აფხაზი ათათუხი

ინალ ხაშიგი, სოხუმი



4 მარტს მოსკოვში, ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში, გარდაიცვალა აფხაზეთის პირველი პრეზიდენტი, აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფუძემდებელი ვლადისლავ არძინბა.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ის მძიმედ იყო ავად.

აფხაზეთის ფარგლებს გარეთ ვლადისლავ არძინბას როლს რესპუბლიკის ისტორიაში არაერთგვაროვნად აფასებენ. თავად აფხაზეთში კი მის მიმართ დამოკიდებულება სრულიად ცალსახაა. აფხაზეთის ყველა მოქალაქემ, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებებისა, არძინბას სიკვდილი პირად ტრაგედიად მიიჩნია.

აფხაზეთის ახლანდელმა პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა, რომლის გაპრეზიდენტებაც 2004 წელს ძალიან არ უნდოდა არძინბას, ხალხისადმი სპეციალურ მიმართვაში

განაცხადა, რომ აფხაზეთმა არძინბას სახით ერის ლიდერი დაკარგა. ამ მომენტში ბალაფში გულწრფელი იყო.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არძინბა სრულიად ჩამოშორდა პოლიტიკას. ამის შემდეგ აფხაზეთში თანდათან დაიწყეს მისი ისტორიული როლის გაცნობიერება. დღეს აფხაზი ხალხისთვის ვლადისლავ არძინბა დიდი პოლიტიკოსია, რომელმაც მათ დამოუკიდებლობა მოუტანა. მართალია, რუსეთში ბევრს სურს ნარმოაჩინოს ისე, თითქოს აფხაზეთი დამოუკიდებელი 2008 წლის აგვისტოში გახდა, მაგრამ სინამდვილეში ეს 1993 წლის სექტემბერში მოხდა, როდესაც აფხაზეთმა საქართველოსთან სისხლისმღვრელ ომში გაიმარჯვა. მაშინ რესპუბლიკის პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა იყო.

აფხაზი ხალხისთვის ის სიცოცხლეშივე

იქცა აფხაზ ათათურქად, აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის მამამთავრად.

სულ რაღაც ოცი წლის წინ კი მეცნიერებიდან მოსული დამწყები პოლიტიკოსის ავანტიურისტული პროექტის – „დამოუკიდებელი აფხაზეთის“ არავის სჯეროდა.

აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსი, რომელიც, მისი კოლეგების შეფასებით, იმ დროისთვის უკვე მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ხეთოლოგი გახლდათ, აფხაზურ პოლიტიკაში შემთხვევით გამოჩნდა და კომუნისტური ნომენკლატურის ფონზე, თეთრ ყვავს უფრო ჰგავდა. ასეთი მიზანდასახული და პრინციპული პოლიტიკოსი აფხაზეთს არც მაშინ ჰყოლია და არც დღეს ჰყავს. 1992 წლის 14 აგვისტოს, როდესაც ქართული ჯარი უკვე სოხუმის ცენტრში იდგა, არძინბა რომ არ ყოფილიყო, საეჭვოა, ვინმე სხვას ისეთივე თავგანწირული ნაბიჯი გადაეგდა და თავისი ხალხისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობისკენ მოეწოდებინა.

არძინბამ მშვიდობის დროსაც გაიმარჯვა. სწორედ ომისშემდგომი პერიოდი იყო მისთვის ყველაზე რთული. გამარჯვების ეიფორია, როგორც წესი, სწრაფად მთავრდება. მშერი, სრულიად დასახიჩრებული ქვეყანა, რომლის წინააღმდეგაც დაირაზმა, მათ შორის, ელცინის რუსეთიც, რომელმაც აფხაზეთს მძიმე ეკონომიკური ბლოკადა მოუწყო (რესპუბლიკაში უზრალო ანტიობიოტიკების შეტანაც კი შეუძლებელი იყო) – ეს ყველაფერი აფხაზების დამოუკიდებლობისადმი სწრაფვის გვერდითი მოვლენები გახლდათ.

დატოვებული ანდერძის თანახმად, არძინბას ალბათ მდინარე გუმისტას ნაპირზე დაკრძალავენ, იქ, სადაც ომის დროს ფრონტის ხაზი გადიოდა. ხელისუფლებას კი სურს პირველი პრეზიდენტი სოხუმის ცენტრში, დიდების პარკში დასაფლავოს – იქ, სადაც საქართველო-აფხაზეთის ომში დაღუპული ჯარისკაცები განისვენებენ.

ქართულ-აფხაზური ომის დროინდელი არძინბას ფოტოები დღეს სოხუმის ყველა ცენტრალურ ქუჩას და აფხაზეთის მთავარ ტრასას ამშვენებს. სამხედრო ფორმაში ჩაცმული არძინბას ბილბორდები მას შემდეგ გაჩნდა, რაც ხელისუფლებაში სერგეი ბაღაფში მოვიდა. ამით აფხაზეთის მეორე პრეზიდენტმა თავის ოპონენტებს უთხრა, რომ მიუხედავად წყენისა, ვლადისლავ არძინბას დამსახურებები ქვეყნის წინაშე მისთვის წმიდათაწმიდაა და რომ აფხაზეთის ყველა შემდგომმა პრეზიდენტმა, რომელი პოლიტიკური ბანაკიდანაც უნდა იყოს იგი, არძინბას საქმე უნდა გააგრძელოს. **□**

სტატიაში გამოყენებული ტერმინოლოგია და გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არა „ლიბერალს“.

ბიზნესი

აქტიურობა აქტიურობა სტილიზაცია



თუ იხი და მოქმედებ - მიადნავ!

გამონერისთვის დაგვიკავშირდით:
ტელეფონი: (995 32) 22 37 68
ელ-ფოსტა: subscribe@bs-magazine.com



საზოგადოება

იძულებითი ქვედმოქება

სახელმწიფო რიგით სახელმწიფო მოხელეებს საჯარო სკოლებისთვის მოგონილ
საქველმოქმედო პროგრამაში მონაწილეობას არ ავალდებულებს, თუმცა აიძულებს.

ნინო რობაქიძე

ფოტო: სრულა ბაღვაში



მისიელ სააკაშვილის შეხვედრა პირველი ექსპერიმენტული სკოლის პედაგოგებთან, 3 თებერვალი 2010

„ხელფასის ასაღებად მისულმა აღმოვაჩინე, რომ 50 ლარით ნაკლებს ავიღებდი. რომ ვიკითხე, – რატომ-მეთქი, – მიპასუხეს, – ხელფასიდან ჩამოჭრილი თანხით მასწავლებლებს ვეხმარებითო. მერე იქვე მომანერინეს ხელი განცხადებაზეც, რითაც ჩემს თანხმობას ვადასტურებდი“, – აცხადებს ფინანსთა სამინისტროს მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელი, რომელსაც ეს „ქველმოქმედება“ სავალდებულო ეგონა.

განათლების სამინისტროში კი განმარტავენ, რომ სკოლების დახმარების პროგრამა ნებაყოფლობითია და ხელფასიდან თანხის გადარიცხვამდე თითოეულმა სახელმწიფო მოხელემ დაწერა განცხადება, რომ მას სურვილი აქვს, საკუთარ სკოლას დაეხმაროს. თანხაც მის მიერ მითითებულ სკოლაში მხოლოდ ამ განცხადების საფუძველზე ირიცხება.

ჩვენი რესპონდენტი არც 50 ლარზე და არც დაგვიანებულ თანხმობაზე პრეტენზიას არ აცხადებს: „ფორმალურად სავალდებულოც რომ არ იყოს, პრეზიდენტის ინიციატივაა და როგორ გგონიათ, ვინმე არ გაითვალისწინებს? რამდენიმე დღის წინ ჩემს სამსახურში ახალი უფროსი მოვიდა და თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადებაზე მომანერინა ხელი. ჯერ არ ვიცი, აღმადგენენ თუ არა. 50 ლარის გამო პრობლემას ნამდვილად არ შევიქმნიდი“.

ხელფასიდან თანხა ჩამოჭრილი დახვდათ სხვა სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლებსაც, ისე, რომ წინასწარ პროგრამა ALUMNI-ს შესახებ არაფერი იცოდნენ. ერთ-ერთი სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელი ჰყვება: „ვიდრე სამსახურში მივიდოდი, ოთახში ჩვენი ხელმძღვანელი შევიდა და ჩემს კოლეგას დაუბარა, – რომ მოვა, გადაეცი, თავის სკოლაში 50 ლარი უნდა გადარიცხოსო. ჩემი თანამშრომლების ნაწილმა თანხა მართლაც საკუთარი ხელით გადარიცხა. ჩვენს ერთ-ერთ განყოფილებაში იდო საქართველოს საჯარო სკოლების საბანკო ანგარიშების ნომრები, ამოიწერეს თავიანთი სკოლის რეკვიზიტები, ბანკში წავიდნენ და ფული გადარიცხეს. არ ვიცი, ამას მომავალი თვის ხელფასზეც გვთხოვენ თუ არა“.

ALUMNI-ის პროგრამა, სკოლების „ბრენდინგის“ იდეასთან ერთად, განათლების ახალი მინისტრის ერთ-ერთი პირველი ინიციატივა იყო. მისი პირველი ვარიანტის მიხედვით, საკუთარ სკოლებს წარმატებული ადამიანები უნდა დახმარებოდნენ. „სკოლებში წარმატებულ კურსდამთავრებულთა კლუბები შეიქმნა“.

ნება, რათა ბავშვები პირადად შეხვდნენ წარმატებულ ადამიანებს. პროექტის მიზანია, ბავშვებმა ცოცხალი მაგალითებით ირწმუნონ, რომ წარმატება მხოლოდ შრომითა და სწავლითაა შესაძლებელი“, – აცხადებდნენ სამინისტროში.

შაშკინი სამაგალითოდ პირველად თავად დაეხმარა საკუთარ სკოლას. მის მიერ გადარიცხული თანხით 52-ე საჯარო სკოლაში გარემონტდა და აღიჭურვა ის საკლასო ოთახი, რომელშიც 11 წლის წინ დიმიტრი შაშკინი იჯდა. „მე დღეს მაქვს შესაძლებლობა, ჩემს სკოლას დაეხმარო, რომელთანაც ძალიან ბევრი თბილი მოგონება მაკავშირებს და ამ სახით მინდა გამოვთქვა მადლობა იმ სკოლის მიმართ, რომელშიც თერთმეტი წელი გავატარე“, – განაცხადა შაშკინმა 26 იანვარს 52-ე საჯარო სკოლაში სტუმრობისას.

შემდეგი მაგალითი სახელმწიფო მოხელეებს მიხილ სააკაშვილმა მისცა. მან პრეზიდენტის ერთი თვის ხელფასი, 4720 ლარი პირველ ექსპერიმენტულ და 51-ე საჯარო სკოლებს გაუყო. წარმატებულ საქმისგან გათვლილი პროექტიც სახელმწიფო უწყებების ყველა რიგით თანამშრომელზე სწორედ ამ მაგალითის შემდეგ გავრცელდა.

■ „რამდენიმე დღის წინ ჩემს სამსახურში ახალი უფროსი მოვიდა და თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადებაზე მომანერხა ხელი. ჯერ არ ვიცი, აღმადგენენ თუ არა. 50 ლარის გამო პრობლემას ნამდვილად არ შევიქმნიდი“.

„მე მინდა, რომ ჩემი ხელფასი იმ ორ სკოლას შორის გავყოთ და გადავრიცხოთ, რომელშიც მე ვსწავლობდი. და მინდა, რომ ყველა სახელმწიფო მოხელეს, და ასეთი არის ასი ათასზე მეტი, მოვუნდოდ დაჟინებით, თუ ისინი თვლიან, რომ რალაცას მიადნიეს და ამაში სკოლამ თავის წვლილი შეიტანა, გადარიცხონ მათთვის თანხა. თუმცა, თუ ასე არ თვლიან, ვერაფერს ვერ დააძალებს მათ“, – განაცხადა პრეზიდენტმა 3 თებერვალს, პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში ვიზიტისას.

„დაჟინებული მონოდება“ რიგ სახელმწიფო უწყებებში „დაძალებად“ იქცა. იურიდიულად, თითოეული ადამიანს, რომლებსაც ხელფასი მათი ნებართვის გარეშე დაუქვითეს, სრული უფლება აქვს, უნებართვოდ დაკავებული თანხის გამო სასამართლოში იჩივლოს.

პრეზიდენტის ინიციატივა მაშინვე დადებითად შეაფასა 3 თებერვალს პირველ სკოლაში შეკრებილმა საზოგადოებამ –

პრეზიდენტის ყოფილმა მასწავლებლებმა და პირველმა დამრიგებელმა: „ძალიან მნიშვნელოვანია ის, რაც თუნდაც დღეს გაკეთდა – სკოლისთვისაც, მასწავლებლებისთვისაც და მოსწავლეებისთვისაც. ეს სულ სხვა მხარდაჭერაა!“ – განაცხადა I ექსპერიმენტული სკოლის პედაგოგმა ნინელი თათარაშვილმა.

თუმცა რიგითი საჯარო სკოლების ის მასწავლებლები, რომლებსაც არ გამოართლათ და არც პრეზიდენტისთვის უსწავლებიათ და არც მინისტრები ალუზრდიათ, ამ დახმარების გამო თავს უხერხულად გრძობენ: „მასწავლებლის ხელფასი რეალურად ძალიან დაბალია და არაფერში მყოფნის, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ სამინისტროს რომელიმე თანამშრომელს დახმარება ეთხოვო? თუმცა ხალხს ისე უჭირს, თუ მართლა დაარიგეს დახმარებები მასწავლებლებზე, არავინ იკითხავს, საიდან მოდის ეს დახმარება და უარს არავინ იტყვის“, – გვითხრა ისინი რაიონის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მასწავლებელმა.

მასწავლებლები მეცამეტე ხელფასის მსგავს ერთჯერად დახმარებებს სახელმწიფოსგან დროდადრო სულ იღებენ. სწორედ ასეთი დახმარება იყო ბოლოს

დენტის მონოდების შემდეგ სახელმწიფო მოხელეების ნახევარმა მინიმუმ 50 ლარი რომ გაიღოს, გამოვა, რომ ALUMNI ორ ნახევარ მილიონ ლარს შეაგროვებს.

„პრეზიდენტის სკოლის“, პირველი ექსპერიმენტულის დირექტორი ზაზა გრიგალაშვილი მათი სკოლის ანგარიშზე ჩარიცხულ თანხას არ ასახელებს, თუმცა აფასებს. „ეს სოლიდური თანხაა, რომელსაც სკოლის ადმინისტრაცია და სამეურვეო საბჭო ერთობლივი შეთანხმების შემდეგ გაანაწილებს. თუ გადაწყდა, რომ პედაგოგებსაც დავეხმარებით, მაშინ მასწავლებლებს სტაჟის, დამსახურებისა და მიღწეული წარმატებების მიხედვით შევარჩევთ“, – აცხადებს გრიგალაშვილი და იმედს გამოთქვამს, რომ პროექტი სხვა სკოლებისთვისაც წარმატებული იქნება.

თუმცა საქართველოს ყველა სკოლა ამ დახმარებით თანაბრად მინც ვერ ისარგებლებს. განსაკუთრებით დაიჩაგრებიან მცირეკონტინგენტის სკოლები და ისეთებიც, რომელთა კურსდამთავრებულთა რიგებში წარმატებული ადამიანები არ არიან – მაგალითად, ხარაგაულის რაიონის მალაღმთიანი სოფლის მარელისის დაწყებითი სკოლა, სადაც 20-მდე ბავშვი სწავლობს.

100-ლარიანი ვაუჩერი კომუნალური გადასახადების დასაფარად და 160-ლარიანი ვაუჩერი, რომლითაც პედაგოგები სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის უნდა მოემზადონ.

გამოცემელი და კერძო სკოლის დირექტორი ბაკურ სულაკაური მიიჩნევს, რომ ნებისმიერი სახის დახმარება, რომელიც სკოლის ფინანსურ მდგომარეობას გააუმჯობესებს, თავისთავად კარგია, თუმცა ერთჯერადი დახმარება მოტივაციის ასამაღლებლად გრძელვადიან პერსპექტივაში არაეფექტურია: „სკოლის პრობლემების გადასაჭრელად გაცილებით უფრო სისტემური მიდგომაა საჭირო“, – განმარტავს ბაკურ სულაკაური.

პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში პრეზიდენტის ვიზიტის შემდეგ გაიკვია, რომ ასი ათასზე მეტი სახელმწიფო მოხელედან, ისინი, ვისი ხელფასიც 1000 ლარზე ნაკლებია, სკოლებს 50 ლარს გადაურიცხავენ, ვისაც 1000 ლარზე მაღალი ხელფასი აქვს – 100 ლარს. პრეზი-

პროექტი ALUMNI განათლების სამინისტროს და პრეზიდენტის ინიციატივა რომ არ იყოს და სკოლები თავად ზრუნავდნენ კურსდამთავრებულთა კლუბების შექმნაზე, მაშინ პრობლემაც არ იქნებოდა. სკოლა, როგორც თვითმმართველი ერთეული, არაკომერციული მიზნებისთვის თანხების მოზიდვაში თავისუფალია და აქამდეც შეუძლო, სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარებაში მხარდაჭერა კურსდამთავრებულებისთვის ეთხოვა.

თუმცა, რადგან პროექტის ინიციატორი სახელმწიფოა, საჭიროა, ყველა სკოლა და პედაგოგი თანაბარ პირობებში ჩააყენონ. არჩევანი მისცენ მათაც, ვისაც პოტენციურად სკოლების დახმარება შეუძლია. ამიტომაც ის, რომ ALUMNI-ის ანგარიშები გამჭვირვალეა, სკოლებს კი თანხების დახარჯვა დამოუკიდებლად შეუძლიათ, სულაც არ გამოორიცხავს იმას, რომ, სხვა ერთჯერადი დახმარებების მსგავსად, ამ აქციასაც ერთჯერადი წინასაარჩევნო ხასიათი ექნება. ■



რეპორტაჟი ლარსიდან

ბახსნილი დახუხუდი საზღვარი

მარიკა ქოჩიაშვილი

■ ზემო ლარსის საკონტროლო-გამშვები პუნქტი, 1 მარტი 2010

დილის ექვსი საათია. ლარსისკენ მიმავალ გზაზე ბნელა და ადამიანის ჭაჭანება არ არის. უზარმაზარი მთების სილუეტების გარდა, არაფერი ჩანს. წლევანდელ თოვლს გზა გაუფუჭებია, მძლავრი მანქანას ორმოებს ძლივს არიდებს. ტრასაზე არავინ მოძრაობს. რამდენიმე გვირაბის გავლის შემდეგ ჰორიზონტზე სინათლე ჩნდება. ლამპიონები სულ უფრო ჩახჩახა და თვალისმომჭრელი ხდება.

ეს ზემო ლარსის საკონტროლო-გამშვები პუნქტია – ერთადერთი სახმელეთო გზა, რომელიც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლქვეშ არსებულ ტერიტორიას ჩრდილოელ მეზობელთან – რუსეთთან აკავშირებს.

პირველ მარტს, თითქმის ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, თბილისის დროით 7 საათსა და 00 წუთზე პოლიციის 15-მდე თანამშრომელი ერთ ხაზზე ჩამწკრივდა და გამოაცხადა, რომ ლარსის გამშვები პუნქტი გახსნილია.

თავის დროზე ლარსი რუსული მხარის გადანაცვტილებით ჩაიკეტა. ოფიციალურ მიზეზად სარემონტო სამუშაოები დასახელდა, თუმცა ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ ეს პოლიტიკური გადანაცვტილება იყო. სარემონტო სამუშაოები ქართულმა მხარემაც წამოიწყო. დღეს ლარსი თანამედროვე საკონტროლო-გამშვები პუნქტია, რომლის რემონტი 2 მილიონ 500 ათასი დოლარი დაჯდა. ეს სამუშაოები აშშ-მ დააფინანსა.

ცერემონიას, რომელმაც ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე ჩაიარა, ადგილობრივი მომსახურე პერსონალისა და რამდენიმე სამართალდამცავის გარდა, არავინ დასწრებია.

თუ არ ჩავთვლით ჟურნალისტებს, რომლებიც აქ ყველაზე მეტნი იყვნენ. ქართველი, რუსი, უცხოელი ჟურნალისტები დარიალის ხეობაში იმ იმედით მივიდნენ, რომ ლარსთან ჩამწკრივებული მანქანების კოლონას, გამშვებ პუნქტთან წარმოქმნილ საცობებს გადაიღებდნენ და საზღვრის გახსნით გახარებული ყაზბეგელების ინტერვიუებს ჩაინერდნენ, თუმცა ყველაფერი სხვაგვარად მოხდა.

დილის 12 საათამდე რუსეთ-საქართველოს საზღვრთან შლაგბაუმი არ აუწევიათ. საერთო ჯამში კი, პირველ დღეს საზღვარი სულ რამდენიმე მანქანამ გადაკვეთა.

უკვე აღარ მოქმედებს ის წესი, რომლის რაიონის მკვიდრნი რუსეთისკენ უვიზოდ მოძრაობდნენ. დღეს აქ ვიზის გარეშე მოსაზღვრე რაიონების მოსახლეობასაც აღარ უშვებენ. ვიზა კი ყაზბეგელმა თბილისში, შვეიცარიის საელჩოში უნდა აიღოს.

ლარსის გადმოკვეთა საზღვრის იქით დარჩენილი მოსახლეობისთვისაც შეზღუდულია. ამ მოვლენის გასაპროტესტებლად მათ ორშაბათს პატარა აქციაც მოაწყვეს. ისინი ითხოვდნენ, გამოაკლისი დაემუშავათ მათთვის, ვისაც საქართველოში მცხოვრებნიმონატრებული ნათესავების მონახულება სურთ.

თუმცა, ლარსის გახსნა აქ ბევრს მინც უხარია. ძირითადად მათ, ვისაც საქართველოს მოქალაქეობასთან ერთად, რუსული პასპორტიც აქვს. ასეთები კი ბევრნი არიან.

„დღესასწაულოვით მიხარია ამ გზის გახსნა. მე რუსეთის მოქალაქე ვარ და საქარ-

თველოს პასპორტიც ავიღე. ვლადიკავკაზი ჩვენთან უფრო ახლოა, ვიდრე თბილისი. სად 120 კილომეტრის გავლა და სად – 45-ის. ხან ბავშვები ხდებიან ავად, ხან გზებია ჩაკეტილი, ხან ექიმი გვინდა“, – ამბობს ვასო ბიძია.

ყაზბეგის ცენტრში, ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლთან ხალხმრავლობაა. ყაზბეგელები ახალ ამბავზე მსჯელობენ – ლარსის გახსნასთან დაკავშირებით აქ აზრთა სხვადასხვაობაა.

„17 წელი მაღაზია მქონდა, მაგრამ ბოლო წლებია, დავეკეტე. არანაირი შემოსავალი აღარ იყო. ხალხს ისე გაუჭირდა, სიგარეტსაც ვერ ყიდულობენ. სანამ საზღვარი ღია იყო, ყველანი უკეთ ვცხოვრობდით“, – ნონა სუჯაშვილი

„მოსახლეობისთვის რომ არ იხსნება ეს გზა, ყველამ კარგად ვიცით. მას მარტო სომხები გამოიყენებენ. მარტო ტრანზიტის რას გვიშვებს? ჩვენ თუ ვერ შევძელით საზღვრის გადაკვეთა, მაშინ რად გვიხარია ამ გზის გახსნა?“ – მეკითხება ერთი გოგონა, რომელიც არც ფოტოს მალეხინებს და არც სახელს მიმხელს.

აქ კარგად იციან, რომ საზღვრის გახსნა ძირითადად სომხეთის ინტერესებშია, რომელსაც რუსეთთან სახმელეთო კავშირი არ აქვს. შესაბამისად, ყველაზე მოკლე სატრანზიტო გზა ამ ორი ქვეყნის დასაკავშირებლად, „საქართველოს სამხედრო გზაა“. ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი დღეში დაახლოებით 7000 მგზავრს და 900-მდე სატვირთო მანქანას მოემსახურება. **□**

ჯანდაცვა

ხატომ ახ უნდა მოხვედეთ ხანომასიაში

საქართველოში რეანიმაციის ხარჯის დასაფარად მოსახლეობას ბინის გაყიდვა იქამდე მოუწევს, ვიდრე სადაზღვევო ლიმიტი არ გაიზრდება.

თამარ ფარადაშვილი



■ თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილება

საშუალო სტატისტიკური ქართველი რეანიმაციაში რომ მოხვდეს, მის ოჯახს ხარჯის დასაფარად, შესაძლოა, სახლის გაყიდვაც დასჭირდეს. რატომ არ ფარავს დაზღვევა ეფექტურად ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას?

34 წლის ალექო ცერცვაძის ბიძა 2 კვირის წინ ლაგოდეხში, წისქვილში ჩავარდა და მძიმედ დაშავდა. 8 ნეკნის მოტეხილობით და გახეული დიაფრაგმით, უგონო მდგომარეობაში ღუდუ-

შაურის საავადმყოფოში მოათავსეს. აქ ყოფნა რამდენ ხანს მოუწევს, უბედური შემთხვევიდან ორი კვირის თავზეც არავინ იცის. ალექო ცერცვაძეს კი ბიძის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ერთად გადასახადის დაფარვის საკითხიც აწუხებს. რეანიმაციაში გატარებული ყოველი დღე ოჯახს 1300 ლარი უჯდება.

რეანიმაციაში თითო დღის საფასური 700 ლარიდან იწყება და 1500 ლარამდე აღის. ყველაზე ძვირი პირ-

■ რეანიმაციაში თითო დღის საფასური 700 ლარიდან იწყება და 1500 ლარამდე აღის. ყველაზე ძვირი პირველი ორი კვირაა. პაციენტებს ამ დროს პირველ გამოკვლევებს უტარებენ. რეანიმაციის ღირებულება დღეში 1000 ლარს სცდება.

ველი ორი კვირაა, რადგან პაციენტებს ამ დროს პირველ გამოკვლევებს უტარებენ, რეანიმაციის ღირებულება კი დღეში 1000 ლარს სცდება. ამ მომსახურების სიძვირეს მხოლოდ დანადგარის მაღალი ფასი არ განაპირობებს. ამ თანხიდან იღებს ხელფასს მედპერსონალი და იფარება კლინიკის ინფრასტრუქტურის, ელექტროენერჯის, წყლის და სამემოსავლო გადასახადების ნაწილიც.

რეანიმაციის საფასურის გადახდის რამდენიმე გზა არსებობს: სახელმწიფო დაფინანსება სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის, რითაც რეანიმაციის ხარჯი სრულად იფარება, იქ გატარებული ნებისმიერი ვადის მიუხედავად. ინდივიდუალური დაზღვევა და საკუთარი სახსრებით დაფინანსება ოჯახის წევრის გადასარჩენად ბევრისთვის ქონების, ხშირად კი სახლის გაყიდვასაც ნიშნავს.

ალეკო ცერცვაძის ბიძა არც სოციალურად დაუცველ ფენას ეკუთვნის და არც დაზღვევა აქვს. „როცა კარგად ხარ, დაზღვევაზე არ ფიქრობ“, – ამბობს ალეკო ცერცვაძე. ამიტომ რეანიმაციის ხარჯებს ის ჯერჯერობით მეგობრების და ნათესავების დახმარებით ისტუმრებს.

ლუდუშაურის და რესპუბლიკური საავადმყოფოების გადაუდებელი მედიცინის განყოფილებაში აცხადებენ, რომ რეანიმაციის გადასახადის გადაუხდელობის გამო, პაციენტის მკურნალობაზე უარი არავისთვის უთქვამთ, მაგრამ საბოლოოდ ოჯახს თანხის გადახდა მაინც უწევს.

რეანიმაცია არც ერთ ქვეყანაში არ არის იაფი. უბრალოდ, განვითარებად ქვეყნებში რეანიმაციაში მოხვედრილი პაციენტების უმრავლესობას სახლის გაყიდვა არ უხდება, რადგან სასწრაფო გადაუდებელი დახმარების ხარჯს დაზღვევით ისტუმრებს.

საქართველოში დაახლოებით მილიონ-ნახევარი ადამიანია დაზღვეული. აქედან უმეტესობა – მილიონ 100 ათასი ადამიანი სახელმწიფოს მიერ დაზღვეული სოციალურად დაუცველი მოსახლეობაა. 300 ათასს კორპორატიული და ინდივიდუალური დაზღვევა აქვს. მთლიანად კი საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ ერთი მესამედია დაზღვეული. ამის ერთ-ერთი მიზეზია საქართველოში უმუშევრობის მაღალი დონე – ოფიციალური მონაცემებით, 2008 წელს მოსახლეობის 16.5% იყო უმუშევარი. ამიტომ მოსახლეო-

ბის დიდი ნაწილისთვის ყოველთვიურად დაზღვევის საფასურის გადახდა ძნელია. „დაზღვევა რისკის მართვას ნიშნავს. ჩვენ კი დღევანდელი პრობლემების მოგვარებით იმდენად ვართ დაკავებული, რომ ხვალინდელზე არ ვფიქრობთ“, – ამბობს საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის თავმჯდომარე დევი ხეჩინაშვილი.

თუმცა, რეანიმაციაში მოხვედრის შემთხვევაში, არც მხოლოდ დაზღვევა გამოსავალი, რადგან არსებული სადაზღვევო პაკეტებით რეანიმაციის მხოლოდ სამ კვირამდე ხარჯი იფარება.

სადაზღვეო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგი“ მომხმარებელს სთავაზობს ინდივიდუალური დაზღვევის პაკეტს „მედი“, სადაც გადაუდებელი ჰოსპიტალიზაცია შედის. მისი ღირებულება 10-დან 30 ლარამდეა და ამიტომ შეზღუდულია ლიმიტიც. 10 ლარის შემთხვევაში, ჰოსპიტალიზაციის ღირებულების 5000 ლარი იფარება, 30 ლარის გადახდის შემთხვევაში – 10000 ლარი, რაც რეანიმაციის მხოლოდ 10 დღეს ნიშნავს.

ასეთივე ვითარებაა სადაზღვეო კომპანია „ალდაგი ბი სი აი“-ს შემთხვევაშიც. სადაზღვეო პაკეტ „უნივერსალში“ შემავალი ჰოსპიტალიზაციის ლიმიტი 15000 ლარია. პაკეტის თვიური გადასახადი კი 60-70 ლარს შეადგენს. რეანიმაციაში მოხვედრის შიშით კი, მოსახლეობის დიდ ნაწილს ამ თანხის ყოველთვიურად გადახდა არ უღირს.

დევი ხეჩინაშვილის აზრით, უბედური შემთხვევის გამო, ჰოსპიტალიზაციის ლიმიტის გაზრდა ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტში შემავალი სხვა პროდუქტების დაფინანსების შემცირებით შეიძლება. ასეთი პროდუქტია, მაგალითად, მედიკამენტები, რომელსაც მომხმარებელი საკუთარი ჯიბითაც გადაიხდის. „სადაზღვევო კომპანიამ უნდა აუხსნას მომხმარებელს, რის სასარგებლოდ და რატომ გააკეთოს არჩევანი“, – ამბობს ხეჩინაშვილი.

თუმცა, „ალდაგი ბი სი აი“-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მაია ივჩენკო აცხადებს, რომ მათ პაკეტებში ძირითადი მოთხოვნა სწორედ მედიკამენტებზეა, „რადგან ეს ყველაზე მეტად სჭირდება მოსახლეობას. მცირეა შანსი, რომ რეანიმაცია ცხოვრებაში დაგჭირდეს და არ ფიქრობ, ვაითუ ასეთ შემთხვევაში

ეს ლიმიტი არ გეყოს“, – ამბობს ის. ჯანდაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსის, სოფიო ლებანიძის განმარტებით, მოქალაქეებს, რომლებსაც 5-ლარიანი დაზღვევა აქვთ, რეანიმაცია 5000 ლარით უფინანსდებათ. ეს თანხა რეანიმაციაში საშუალო დაყოვნების სტანდარტის (7 დღე) მიხედვით განისაზღვრა.

თუმცა, რა უნდა ქნას დაზღვეულმა იმ შემთხვევაში, თუკი შვიდ დღეზე მეტ ხანს სჭირდება რეანიმაცია, პასუხი არ არსებობს. 40 წლის ბექა ჟღენტის რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციაში, უკვე 8 თვეა, წევს. საავტომობილო ავარიის შედეგად მას ზურგის ტვინი დაუზიანდა. ცნობიერება დაუბრუნდა, მაგრამ სხეული პარალიზებული აქვს. მოშლილი აქვს ნერწყვის ყლაპვის ფუნქცია, რის გამოც, მისი აპარატიდან გამორთვა ჯერჯერობით შეუძლებელია. ოჯახმა ახლობლების დახმარებით 20.000 ლარის გადახდა მოახერხა, თუმცა, რამდენიმე თვეა, გადასახადს ვეღარ იხდის. ამ დროისთვის მათი დავალიანება დაახლოებით 60.000 ლარია.

ჟღენტის ოჯახმა დაფინანსების თხოვნით ჯანდაცვის სამინისტროს ინდივიდუალური განცხადებების განმხილველ კომისიასაც მიმართა, მაგრამ ჟღენტების განცხადება კომისიამ არ დააკმაყოფილა.

„ადამიანს რომ შეხედავ, ეტყობა, რომ უჭირს. ზოგჯერ დეპუტატი უწევს შუამდგომლობას“, – ასე აღწერს კომისიის წევრი ხათუნა ჩაჩავა იმ ფაქტორებს, რის საფუძველზეც, კომისია მოქალაქის დაფინანსების განწყვეტილებას იღებს. განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოქალაქეს 5000-8000 ლარი ერიცხება.

„სხვა, თქვენზე მეტად გაჭირვებულებიც არიანო, – გვითხრეს კომისიაში. რაც კი რამ ძვირფასი ჰქონდა, ყველაფერი გაყვიდეთ, ახლა მის ბინას ვყიდით და სრულად დაფარავს თუ არა ხარჯს, ესეც არ ვიცით“, – ამბობს ჟღენტის ნათესავი, 32 წლის თეა გიორგაძე.

ბექა ჟღენტის მსგავსად, საქართველოში რეანიმაციის ხარჯის დასაფარად მოსახლეობას ბინის გაყიდვა იქამდე მოუწევს, ვიდრე სადაზღვევო ლიმიტი არ გაიზრდება და, ამის პარალელურად, სახელმწიფო დაფინანსების პროგრამებიც უფრო თანმიმდევრული არ გახდება. **■**

ხობოხი უნდა იყოს თანამედროვე უუნანისსიხა

„ჟურნალისტი საზოგადოების ადვოკატია ძალაუფლების მქონე პირთა წინაშე. ისე, როგორც პროფესიონალ ადვოკატს მოეთხოვება, იგი გამართულად, პროფესიონალურად და კომპეტენტურად უნდა იცავდეს საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფი „სუბიექტის“ – საზოგადოების ინტერესებს“.

გიორგი ცხადაია

ინტერნეტმა ტრადიციულ ჟურნალისტიკას დიდი დარტყმა მიაყენა. ინფორმაცია გაცილებით უფრო საყოველთაო და ხელმისაწვდომი გახდა. ბლოგების, სოციალური ქსელების, ვიდეოების ასატვირთი ვებგვერდების გაჩენამ ხელი შეუწყო ადამიანებს, საჯაროდ გამოხატონ თავიანთი აზრი, ყოველგვარი იმ ტექნიკური შეზღუდვის გარეშე, რასაც აქამდე მათ მედია საშუალებების ცენტრალიზაცია უქმნიდა. ამ ყველაფერმა ინფორმაციის მოპოვებასა და გავრცელებაზე ჟურნალისტების მონოპოლია შეასუსტა.

ჩვენი ძირითადი მიზანია ამ კონტექსტში საქართველოს შემთხვევის განხილვა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ გამოქვეყნებული ბოლო ანგარიშის მიხედვით, ქართული დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი სწორედ ხელისუფლების მედიაბაზრის კონტროლს უკავშირდება.

რამდენად არის ხსნა ახალი მედიის პოტენციალსა და ახალი მედიის მიერ ინსპირირებულ ცვლილებებში. საინტერესოა, როგორ შეიცვლება ჟურნალისტიკის ხასიათი და რა მიმართებები ჩამოყალიბდება ჟურნალისტიკასა და დემოკრატიას შორის. გულისხმობს თუ არა ეს ცვლილებები ტრადიციული ჟურნალისტიკის მიერ საკუთარი თავის აღქმის შეცვლასაც?

აქამდე მიიჩნეოდა, რომ ჟურნალისტი ნეიტრალური და ობიექტური დამკვირვებელი უნდა იყოს (როგორც მეცნიერი), მისი ამოცანა კი განვითარებული მოვლენების გაშუქება, მათი



საზოგადოებისთვის მიწოდება და ინფორმირებაა. ჟურნალისტი იკავებდა მოკრძალებულ პოზიციას საზოგადოებასა და პოლიტიკოსებს შორის, ცდილობდა, საკუთარი საქმიანობა ინფორმაციის მოპოვებით, დამუშავებითა და გადაცემით შემოეფარგლა.

ამავე დროს, ჟურნალისტიკა ბიზნესი იყო და მისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ახალი ამბების მომგებიან გავრცელებასაც გულისხმობდა. ჟურნალისტი, არა როგორც მოქალაქე, საზოგადოების რიგით წევრად, არამედ ერთგვარ მენარმედ, ბიზნესმენად აღიქმებოდა. დემოკრატიის ნაკლები ტრადიციის

მქონე ქვეყნებში, ისეთში, როგორც საქართველო, სწორედ ჟურნალისტიკისადმი ამგვარი კომერციული მიდგომა გახდა იმის საფუძველი, რომ მედია საშუალებები ადვილად მოექცნენ სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ხელში. ძირითადად კი – ხელისუფლებამ „რუსთავი 2“-ისა და იმედის წარმატებული ბიზნესების ხელში ჩაგდებათ ნიუსების ინდუსტრიის თავისი ვიწრო მიზნებისთვის გამოყენება მოახერხა. იბადება კითხვა: ნუთუ ჟურნალისტიკა აქამდე მხოლოდ ეს იყო და სხვა არაფერი? მსგავსი ცენტრალიზაციის პირობებში, რატომ ინარჩუნებდნენ ჟურნალისტე-

ბი მოსაზრებას, რომ ისინი მხოლოდ ინფორმაციის მიმწოდებელი აგენტები არიან?

დასავლელი ჟურნალისტები დარწმუნდნენ ორ რამეში: პირველი, რომ ძველი ბიზნეს მოდელები ინტერნეტის ერაში ისე კარგად აღარ მუშაობს, როგორც ადრე, და მეორე, რომ ინფორმაცია დღეს გაცილებით უფრო იაფი ღირს, ვიდრე აქამდე. ფორუმებზე, სოციალურ ქსელებზე, მობილურებზე, ბლოგებზე განთავსებული ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება და მისი გადამონმებაც შედარებით იოლი გახდა.

ახალ რეალობაში ზოგიერთი გავლენიანი ბეჭდური გამოცემა, მაგალითად „ნიუსუიკი“, განსხვავებული სტრატეგიის დამუშავებას შეუდგა. განსაკუთრებული აქცენტი რედაქტორებისა და სარედაქციო სევეტების შევსებას დაეთმო. ჟურნალისტის სპეციფიკურ განათლებას თუ ზოგად განათლებას და მის პროფესიონალიზმს დღეს გაცილებით უფრო მეტი ყურადღება ენიჭება, ვიდრე აქამდე. თვალსაზრისების სემინტის გაზრდამ მოთხოვნა გააჩინა არგუმენტირებულ, თანმიმდევრულ და ინფორმირებულ სტატიებზე. ეს კი გულისხმობს ექსპერტული ცოდნის წილის გაზრდას ჟურნალისტურ საქმიანობაში. ინფორმაციის მოპოვების და გავრცელების, ახალი ამბების სემინტი კი, „ნიუსუიკის“ შემთხვევაში, შემცირდა. ამან, ძალაუფლებურად, ჟურნალისტიკა დააბრუნა იქ, სადაც მისი ადგილი უნდა ყოფილიყო: საზოგადოების ადვოკატი-

ოლიგარქების, მულტიმილიონერების და მულტიმილიარდერების, მსხვილი ბანკების, ენერჯოკომპანიების სამყაროა, სადაც ადამიანებს ისედაც აწუხებთ ჭარბი ინფორმაცია. უმეტეს შემთხვევებში, რთული ერთმანეთისგან გაარჩიო გართობა-შოუ და საკითხის სერიოზული განხილვა. ინფორმაცია მოედინება უპრეცედენტოდ ბევრი მასმედის არხიდან. ამგვარი „ხმაურისა და მძვინვარების“ ხანაში, ჟურნალისტის როლი სცილდება „ინფორმაციის გადამცემი აგენტის“ როლს, ჟურნალისტი ხდება პროცესის მონაწილე, იგი განმარტავს ინფორმაციას, აყალიბებს თანმიმდევრულად, მოაქვს საკუთარი არგუმენტები, უსვამს კითხვებს და ეძებს პასუხებს; მეტიც, ჟურნალისტი, შესაძლოა, ეძებდეს გამოსავალსაც, ნამოყენოს წინადადებები, იძლეოდეს რჩევებს, თუ რომელი გზა იქნება საზოგადოების კეთილდღეობისთვის უკეთესი. რა თვისებებს უნდა ფლობდეს ჟურნალისტი, რომელიც ამ ყველაფერს თავს მოაბამს?

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა (ეს ქართველ ჟურნალისტებს განსაკუთრებით ეხებთ) პროფესიული განათლების ნაკლებობაა. ძალიან ცოტაა ისეთი ჟურნალისტი, რომელსაც სპეციფიკურად ერთი სფერო აინტერესებდეს და ბოლომდე იკვლევდეს მას. საზოგადოებას აცნობს ამ სფეროს პრობლემებს, გადაჭრის შესაძლო გზებსა და სავარაუდო დამნაშავეებს.

ჟურნალისტების უმეტესობას მხო-

ბენ თავიანთ მოსაზრებებს. მათი ყურადღების მიპყრობა და დანტერესება მხოლოდ კვალიფიციური და ექსპერტული ჟურნალისტიკით შეიძლება.

დაბოლოს, მთავარი მიზეზი, რის გამოც სამოქალაქო, ადვოკატური (არ ვიცი, რამდენად ზუსტი სიტყვაა) ჟურნალისტიკა მედიის ახალი საუკუნის წამყვან ტენდენციად უნდა იქცეს. წარმატებული ჟურნალისტიკისთვის ორი მთავარი პირობის დაკმაყოფილებაა საჭირო: საზოგადოების ნდობის მოპოვება და პოლიტიკურ გადანყვეტილებებზე გავლენის მოხდენა. პირველ შემთხვევაში, ეს შეუძლებელია დამოუკიდებლობის და საზოგადოების ინტერესების გამომხატვის გარეშე, მეორე შემთხვევაში კი, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია საკითხის პროფესიონალური ცოდნა. რაც შეეხება პოლიტიკაზე გავლენის მოხდენას, პოლიტიკის მკეთებლებს (ე.წ. policy-maker-ებს) აინტერესებთ ისეთი ობიექტური და მიუკერძოებელი წინადადებები, რომლებიც არც ერთი პოლიტიკური ჯგუფის პირდაპირ ინტერესს არ წარმოადგენს. მაგალითად, ხელისუფლებაში ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებენ ოპოზიციის მხარდამჭერი მედია საშუალებების წინადადებებს და მიიჩნევენ, რომ სინამდვილეში ისინი გარკვეული პოლიტიკური ჯგუფის მოთხოვნებს გამოხატავენ და არა – საზოგადოების. იმისთვის, რომ საზოგადოების მოთხოვნები ხელისუფლებამდე მიიტანო, პირველ რიგში, ეს მოთხოვნები ლოგიკურად, თანმიმდევრულად და ფაქტების მოხმობით უნდა ჩამოაყალიბო.

ზემოთ მოცემული ერთ-ერთი პირობის დაუკმაყოფილებლობას მინც მიეყვართ ისეთი ტიპის ჟურნალისტიკასთან, რომელიც დღეს საქართველოში გვაქვს, ანუ მიკერძოებულ, დაბალი ხარისხის თვალსაზრისებთან ან ნიუსების ინდუსტრიასთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთადერთი გამოსავალია დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის ახლებური გააზრება. ჟურნალისტი საზოგადოების ადვოკატია ძალაუფლების მქონე პირთა წინაშე. ისე, როგორც პროფესიონალ ადვოკატს მოეთხოვება, იგი გამართულად, პროფესიონალურად და კომპეტენტურად უნდა იცავდეს საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფი „სუბიექტის“ – საზოგადოების ინტერესებს. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ვირტუალური სოციალური ქსელების, ბლოგების და ახალი მედიის სხვა საშუალებების ათვისება და განვითარება. **■**

■ წარმატებული ჟურნალისტიკისთვის ორი მთავარი პირობის დაკმაყოფილებაა საჭირო: საზოგადოების ნდობის მოპოვება და პოლიტიკურ გადანყვეტილებებზე გავლენის მოხდენა.

რებასთან. დამოუკიდებელი ჟურნალისტისთვის დღეს რამდენიმე ძირითადი არჩევანი არსებობს: რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის პიარი, ნიუსების მოპოვება ყოველგვარი კომენტარის და ანალიზის გარეშე, ან „პროფესიონალური ჟურნალისტიკა“. ეს უკანასკნელი, პირველ ყოვლისა, გულისხმობს იმას, რომ ჟურნალისტი ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების სპეციალისტიდან ერთგვარ ადვოკატად, საზოგადოების დამცველად უნდა გარდაიქმნას.

თანამედროვე რეალობა ძლიერი სახელმწიფოების და მათი ძალოვანი აპარატების, გავლენიანი კორპორაციების,


ლოდ პოლიტიკური ინტრიგები, სენსაციური ახალი ამბები და პოლიტიკური შოუების კეთება აინტერესებს. ესეც ერთ-ერთი ის პრობლემაა, რომელიც სამოქალაქო ჟურნალისტიკის გაძლიერებას ხელს უშლის. ამ აურზაურში, გაუთავებელ კინკლაობაში ყველას გვერდით რჩება საზოგადოების რეალური პრობლემები. ინტერნეტის გამოჩენამ, ყველაფერთან ერთად, იმასაც შეუწყო ხელი, რომ ჟურნალისტებს საზოგადოება უფრო ახლოდან დაანახა. თბილისის ფორუმზე ათასობით ადამიანი დარეგისტრირებული და ისინი ყოველდღიურად საჯაროდ აფიქსირე-

ბიკ ხოვანი, ტომ როზენსტილი

ჟურნალისტიკის ელემენტები

იმ უამრავი ნიგნიდან, რომელიც ახალი ამბების მოპოვებასა და მონოდების შესახებ დანერილა, „ჟურნალისტიკის ელემენტები“ ყველაზე უკეთ აღწერს თანამედროვე ჟურნალისტიკის ნაკლოვანებებს, უპირატესობებს და შესაძლებლობებს.

რუსუდან რუხაძე



XX საუკუნის დასაწყისში ამერიკული საროსკიპოების სტუმრები „სპილენძის ბილეთს“ ყიდულობდნენ და მონეტას თავიანთთვის სასურველ ქალს აძლევდნენ... 1919 წელს ამერიკაში ებტონ სინკლერის ნიგნი გამოიცა სახელწოდებით: „სპილენძის ბილეთი – ამერიკული ჟურნალისტიკა“. ავტორის მინიშნება ცალსახა იყო, ბრალდება საკმაოდ მძიმე – იგი მედიას საზოგადოებაზე მეტად კომერციული ინტერესების მსახურებაში ადანაშაულებდა. ეს იყო ის შემთხვევა, როდესაც სიტყვიერი სამდურავი მედიის მიმართ ნიგნად იქცა და ამით საზოგადოებაში ამ საკითხზე დისკუსიას ახალი ფორმა მიეცა.

მას მერე, თითქმის საუკუნის განმავლობაში არაერთი სტატია, ნიგნი თუ სატელევიზიო გადაცემა მიეძღვნა ზოგადად მედიის ფუნქციათა განსაზღ-

ვრას, იმ ეთიკურ ნორმებს, რომლებსაც ეს გილდია თავად აყალიბებს და, ხშირ შემთხვევაში, თავადვე არღვევს. ამის დასტურია ბილ კოვაჩისა და ტომ როზენსტილის ნიგნიც – „ჟურნალისტიკის ელემენტები“.

ნიგნის ავტორები სოლიდური გამოცდილების მქონე ჟურნალისტები არიან. ბილ კოვაჩი „ნიუ-იორკ ტაიმის“ ვაშინგტონის ბიუროს ხელმძღვანელობდა წლების მანძილზე, ასევე, „ატლანტა ჯორნალისა“ და „კონსტიტუშენის“ რედაქტორი გახლდათ. იგი იყო ჰარვარდის უნივერსიტეტის ნიშანის ჟურნალისტიკის ფონდის კურატორი. ამჟამად კი „დინტერესებულ ჟურნალისტთა კომიტეტს“ ხელმძღვანელობს.

ტომ როზენსტილი „ლოს ანჯელეს ტაიმის“ მედია კრიტიკოსად და „ნიუსვიკის“, მთავარ კორესპონდენტად მუშაობდა კონგრესში. დღეს კი იგი „ჟურნალისტიკის სრულყოფის პროექტის“ დირექტორია. ამ ავტორების ბიოგრაფია იმის დასტურია, რომ მედიის მათი ანალიზი საკმაოდ მრავალფეროვან პრაქტიკულ გამოცდილებას ეფუძნება.

„იმ უამრავი ნიგნიდან, რომლებიც ახალი ამბების მოპოვებასა და მინოდების შესახებ დანერილა, ეს ნიგნი ყველაზე უკეთ აღწერს თანამედროვე ჟურნალისტიკის ნაკლოვანებებს, უპირატესობებს და შესაძლებლობებს“, – წერს ტომ გოლდსტეინი, კოლუმბიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სკოლის დეკანი – იმ სკოლის, რომელიც, წლებია, პირველ ადგილზეა ჟურნალისტიკის საუნივერსიტეტო სკოლათა რეიტინგში. ციტატა ნამდვარებული აქვს ნიგნს სხვა დადებით შეფასებებთან ერთად, როგორც ნიგნის თანამედროვე სტრუქტურის აუცილებელი ელემენტი. მართალია, მსგავსი ამონარდები რეცენზიებიდან იმ კომერციულ მიზანს ემსახურება, რომ ნიგნი ბესტსე-

ლერად იქცეს, მაგრამ შეფასება მოუკერძოებელი და ზუსტია.

ნიგნის შესავალშივე ავტორები გვთავაზობენ იმ ძირითადი პრინციპების ჩამონათვალს, რომლებზეც მედია უნდა დააფუძნოს თავისი საქმიანობა. ეს ის პრინციპებია, რომელთა ჩამოყალიბებასაც მედია და საზოგადოებამ საუკუნეები მოანდომეს და სოციალური კონტრაქტიც ამ ორ ჯგუფს შორის სწორედ ამ პოსტულატების შესრულებას გულისხმობს.

1. ჟურნალისტიკა, უპირველეს ყოვლისა, სიმართლეს უნდა ემსახურებოდეს.
2. ჟურნალისტიკა, პირველ რიგში, მოქალაქეების ერთგული უნდა იყოს.
3. ჟურნალისტიკის არსი ინფორმაციის მუდმივი გადამოწმებაა.
4. ჟურნალისტიკა უნდა შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა მათგან, ვისაც აშუქებს.
5. ჟურნალისტი უნდა მოქმედებდეს როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელი მაკონტროლებელი
6. ჟურნალისტიკა ხალხს საჯარო კრიტიკის და მსჯელობის საშუალებას უნდა აძლევდეს.
7. ის, რაც მნიშვნელოვანია, ჟურნალისტიკა საინტერესოდ და ადეკვატურად უნდა გადმოსცეს.
8. ჟურნალისტიკა უნდა შეინარჩუნოს ინფორმაციის პროპორციულობა და ეს ინფორმაცია ყოველმხრივ უნდა გახადოს.
9. ჟურნალისტი პასუხს აგებს სინდისის წინაშე.

ის, რომ ჟურნალისტი სიმართლეს უნდა ემსახურებოდეს, ძნელად თუ გახდება დავის საგანი, თუმცა ხშირად საკამათოა თვით „სიმართლის“ ცნება. ერთხელ ამერიკაში „ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტი, ჯენეტ უკი გამოგონილი სტატიებისთვის პულიცე-

რის პრემიით დააჯილდოვეს; ტყუილ-მართლის გარჩევა მათაც ვერ შეძლეს, ვინც სიმართლის მსახურ ჟურნალისტებს ამ პრესტიჟული პრემიით აჯილდოებდა. თუმცა, ამერიკულმა ჟურნალისტებმა მაინც დაუფასა მისი კუკს გულწრფელი აღიარება. სანუკვარი პრიზის უკან დაბრუნებისას და მას მერე კიდევ არაერთხელ აღინიშნა ჟურნალისტის ღვაწლი – გამოგონილი აფროამერიკელი ბიჭუნას წყალობით, ჰერონის მომხმარებელი მცირეწლოვნების პრობლემის მედიაში წამოჭრა.

ეს შემთხვევა არ არის გამონაკლისი და მედიის მსგავსი სატყუარები (hoax) თუ „თეთრი ტყუილები“ არაერთხელ შეუთავაზებია საზოგადოებისთვის. ამის გათვალისწინებით, კიდევ უფრო რთულდება იმის მტკიცება, რომ ჟურნალისტიკა სიმართლეს ემსახურება, მაგრამ თვით მოსამართლეებიც, დადებული ფიცისა და მათთვის მინიჭებული ლიცენზიის მიუხედავად, ხშირად ვერ დაიკვეხნიან სიმართლის მსახურებით.

ასე რომ, ერთია დასახული მიზანი და იდეალი, და მეორეა ამბავი, ამბის შესახებ არსებული ფაქტები, მათი გამოკვეყნების მიზანშეწონილობა, საზოგადოების მზადყოფნა, მიიღოს სიმართლე და ა.შ...

რა უნდა ახსოვდეს პირველ რიგში ჟურნალისტს, რომელსაც შეზღუდულ დროში უნევს მუშაობა: დადგენილი ვადა და რედაქტორი, თუ მკითხველი და ის, რომ სააშკარაზე გამოტანამდე მან ბოლომდე უნდა გამოიძიოს სიმართლე.

უმეტეს შემთხვევაში, გარემოება არჩევანის გაკეთების საშუალებას არ იძლევა. ჟურნალისტი ძირითადად ყაბულდება იმ ფაქტებსა და იმ „სიმართლეს“, რაც მოცემული დროისთვის მის ხელთ არსებობს და ამზადებს სტატიას. სიმართლე კი, შესაძლოა, 10 წლის შემდეგ დადგინდეს. მსგავსი სიტუაციაში არაერთხელ აღმოჩენილიან ის ჟურნალისტები, რომლებიც სამართლის სფეროს აშუქებენ. მათ ხშირად არ იციან, მსხვერპლი მოკლეს თუ მოკვდა.

არც ჟურნალისტის დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით არსებობს მედიის წარმომადგენლებს შორის სრული პარამონია. მედიის დამოუკიდებლობის ცნება ყოველ საზოგადოებაში განვითარების საკუთარ გზას გადის. „ახალი დემოკრატიის პირობებში, დამოუკიდებელი მედიის არსებობის პირველი ეტაპი არის მისი სახელმწიფოს კუთვნილებისგან, კონტროლისა და უშუალო ჩარევისგან გათავისუფლება. აქედან გამომდინარე, ყველა არასამთავრობო გაზეთი ცდი-

ლობს, „დამოუკიდებელი“ ერქვას, – აღნიშნავს ტატიანა რეპკოვა 2001 წელს პარიზში გამოცემულ წიგნში „ახალი დროება“, და იქვე დასძენს, რომ „სიტყვა „დამოუკიდებელი“ არ ნიშნავს სრულ თვითმმართველს. როდესაც გაზეთს ამ განსაზღვრებით მოიხსენიებენ, განსაკუთრებით ახალი დემოკრატიის პირობებში, ეს იმას ნიშნავს, რომ გაზეთი დამოუკიდებელია მთავრობის კონტროლისაგან, რაც ერთობ ვიწრო განსაზღვრებაა“. და ეს მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ჟურნალისტური დამოუკიდებლობა წყაროებთან პიროვნული დისტანციის შენარჩუნებამდე მიდის.

სარედაქციო დამოუკიდებლობა არ ნიშნავს მაინცდამაინც იმას, რომ რედაქციები რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური და სქესობრივი უმცირესობების წარმომადგენლებისგან იყოს დაკომპლექტებული. ჟურნალისტური დამოუკიდებულობა იმ მრავალფეროვნების მიღება უფროა, რაც რეალობასთან მეტად ახლოს დგას, ვიდრე ადამიანების მიერ წარმოსახული სამყარო. „მე ყოველთვის ვგრძნობ თავს არაბად ამერიკაში და ამერიკელად არაბულ სამყაროში“, – წერს ანტონი შადილი, „ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტი, რომელიც 2003 წელს ომის გასაშუქებლად ერაყში გაემგზავრა, 2004 წელს კი საუკეთესო საერთაშორისო რეპორტიორის ნომინაციაზე წარდგენილმა პულიცერის პრემია მოიპოვა. ჟურნალისტის წარმატების საფუძველი სწორედ ისაა, რომ შეძლო ადამიანური ამბები მიუკერძოებლად მოეყოლა.

ცხრავე პრინციპი, რომლებზეც ავტორები საუბრობენ, დღემდე დისკუსიის საგანია – არა თავად პრინციპები, არამედ მათი ინტერპრეტაცია. ყველაზე საგულისხმო და მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ჟურნალისტი საბოლოოდ საკუთარი სინდისის წინაშე აგებს პასუხს. სხვა რამ მარეგულირებელი მექანიზმი, რომელიც ჟურნალისტთა საქმიანობას გარკვეულ პროფესიულ ჩარჩოში მოაქცევს, ჯერ არ უღია რება მედია საზოგადოებას. წიგნის ღირსებაა უდავოდ ისიც, რომ იგი მოიცავს იმ სამასი პროფესიონალის მოსაზრებათა ფართო სპექტრს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ავტორთა მიერ მონაწილე ფორუმებსა და დისკუსიებში. „ჩვენი მიზანი არ იყო იმაზე კამათის წამოწყება, თუ როგორი უნდა იყოს ჟურნალისტიკა. ჩვენი მიზანი იყო იმ საერთო ნიადაგის კონტურების მოხაზვა, რასაც უკვე ყვრდნობიან ჩვენი ჟურნალისტები“.

წიგნის უდავო ხარვეზია, რომ მასში საერთოდ არ არის გათვალისწინებული

ევროპული მედიის გამოცდილება, რომელიც ახალი ამბის გადმოცემას სპეციფიკურად განსხვავებულად უყურებს.

ჟურნალისტის დამოუკიდებულება ახალი ამბისადმი და მისი პირადი მოსაზრება დღემდე ფასობს ევროპაში და ეს არის ამერიკული მედიისგან მისი განმასხვავებელი ძირითადი ფაქტორი. ამდენად, წიგნის სათაურში „ჟურნალისტიკის ელემენტები“, სავარაუდოდ, ამერიკული მედიის პრინციპები იგულისხმება.

და კიდევ, „რაც უფრო მეტ კომერციულ წარმატებას აღწევს გაზეთი, მით უფრო ძლიერია იგი მორალურად, რაც უფრო ძლიერია, მით უფრო დამოუკიდებელია“, – წერდა ჯოზეფ პულიცერი, მაგრამ კომერციული წარმატების მიღწევამდე ყველა მედია საშუალებას მოუწევს იმ გზის გავლა, რის გამოც, შემდეგ ხშირად გაიმართლებს თავს.

სარედაქციო დამოუკიდებლობის უპირატესობის მინიჭება მხოლოდ მაღალრეიტინგული ელექტრონული მედიის და მაღალტირაჟიანი გაზეთების პრივილეგიაა. მაგალითად, იმ დღეს, როდესაც განსაკუთრებული მოვლენის გაშუქებას მეტი სივრცე სჭირდება გაზეთში, „ნიუ იორკ ტაიმსი“ უარს ამბობს რეკლამის განთავსებაზე. ეს მიდგომა დღემდე არ განსხვავდება ბიზნეს მიდგომისგან და იგი ცალსახად სარედაქციო მხარის პრივილეგიაზე არ მიუთითებს. გაზეთი არ ანბილებს ბაზრის მოლოდინს, და აწვდის იმას, რაც იმ დღეს გაცილებით მნიშვნელოვანია მკითხველისთვის, ვიდრე ფასდაკლება რომელიმე ფეხსაცმლის მაღაზიაში. თუმცა, მეორე დღეს გაზეთისგან პატივმიღებული მკითხველი გაცილებით მეტი სანდლობით გადაათვალიერებს სარეკლამო გვერდებს.

„გაზეთებს განვითარებისთვის ესაჭიროებათ საკუთარი ფინანსური წყარო, რომელიც, ძირითადად, რეკლამისა და ტირაჟის შემოსავლებზეა დამოკიდებული. ტირაჟიდან შემოსავალი თითქმის არც ერთ გაზეთს არ ჰყოფნის, თუმცა, ეს შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში რეკლამის გაყიდვა ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს.... გაზეთის შემოსავლის მთავარი წყარო რეკლამაა და არამარტო ახალი დემოკრატიის პირობებში“, – ამბობს ტატიანა რეპკოვა „ახალ დროებაში“. ამიტომაც დაპირისპირება სარედაქციო და ბიზნეს მხარეებს შორის კვლავაც გრძელდება... ეს უფრო ეპტონ სინკლერის ბრალდების უსუსურ პასუხად. ■

და სახით, ფხით მოსიახლეთა ავტორიტეტი ძალზე შეიძლება...



ქალაქში სეირნობის, „შენი ქალაქის აღმოჩენის“ კულტურა ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა; თბილისი გრძელი და მოსაწყენი სადღეგრძელოების საკუთრებად იქცა.

კახა თოლორდვა

ილფი და პეტროვის „ოქროს კერპის“ შესავალი თავის მეექვსე აზვაციის პირველი წინადადება საკმაოდ მოსახერხებელია თბილისელი მძღოლებისათვის იმის შესახებ, რომ თბილისელ ფეხით მოსიარულეებს პატივისცემით უნდა მოექცნენ. თავის მხრივ, ეს ფრაზა ალბათ კიდევ ერთხელ უნდა ახსენებდეს თბილისელ ფეხით მოსიარულეებს იმას, რომ ოდესღაც მათაც ჰქონდათ გარკვეული ავტორიტეტი. მეტიც, ჩამოსული სტუმრების უმეტესობა სწორედ ფეხით სიარულით აფასებდა ქალაქის პენს.

ქალაქში სეირნობის, „შენი ქალაქის აღმოჩენის“ კულტურა ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა; თბილისი გრძელი და მოსაწყენი სადღეგრძელოების საკუთრებად იქცა, თბილისელი ფეხით მოსიარულეების უმრავლესობა კი – უხალისო და დამფრთხალ სახეობად, მათ დღევანდელობაზე რომ არაფერი ვთქვათ.

ალბათ ეს გასაგებია. ვის უნდა ტროტუარებზე მიყრილი-მოყრილი მანქანების ლაბირინთებში იმ ერთადერთი მინოტავრის ძებნა, რომელიც უტიფარსახიანი „ნაშის“ სახით (ან უტიფარსახიანი „ჯიგიტის“ ან... რა მნიშვნელობა აქვს, რა სახით შეგეფეთება მინოტავრი?) შეიძლება მოგველინოს და „ბამპერი“ გაგკრას? არავის იზიდავს „ბამპერგაკრულის“ ტიტული! „ბამპერზე“ უფრო შეურაცხყოფელი კი შენი დანახვით სრულიად გაოგნებული უტიფარსახიანის შეკითხვაა: „შენ აქ რა გინდა?“ აკი ვთქვი, თბილისელ ფეხით მოსიარულეთა ავტორიტეტი ძალზედ შეილახა მეთქი...

რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, უტიფარსახიანების არგუმენტი გასაგებია: „რა-ვექნა-ძმაო/დაო-სად-გავაჩერო-თუ-რაიმე-პრეტენზია-გაქვს-მერიამო-ნადი“... და ასე შემდეგ. მერიამო (თუ სადმე სხვაგან) წასვლას აზრი არა აქვს, რადგანაც მათი პასუხიც წინასწარ იცი: „სამწუხაროდ, თბილისის ქუჩები გათვლილი არაა მოზღვავებული მანქანების რიცხვზე. ასე რომ, პრობლემის გადაწყვეტამდე“... და ასე შემდეგ.

რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, მე მათიც კარგად მესმის. ასე ყალიბდება მოჯადოებული წრის კლასიკური ვარიანტი, ხოლო სიტყვა „ტროტუარი“ ნელ-ნელა ნაკლებად ხმარებადი სიტყვების კატეგორიაში გადადის.

რა ვქნათ ქალაქში ფეხით სიარულის მოყვარულებმა? პირველი, რაც თავში მოგდის, ისაა, რომ უტიფარსახიანების არმის შეუერთდე და შეიგრძნო „ბამპერის“ გაკვრით მოგვრილი სიამოვნება. ამკარად ვარიანტია, არა? მაგრამ აქ ისმის კითხვა: „რა ვქნა, თუ მე უბრალოდ არ მსურს უტიფარსახიანთა არმიაში გადასვლა?“ ესაა შეკითხვა, რომელიც ახალი ბრძოლის დასაწყისად შეიძლება იქცეს მათთვის, ვისაც ქალაქში ფეხით მოსიარულეთათვის ავტორიტეტის დაბრუნება სურს.

წარმოიდგინეთ, აი ასეთი სურათი: ქალაქში მსუბუქი მღელვარება. ათასობით ადამიანი იპოდრომზე (ან ამ აქციისათვის სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე) შეკრებილი. ფეხით მოსია-



რულები ცდილობენ პრობლემის გადაჭრას ისე, რომ არ ითხოვენ პრეზიდენტის გადადგომას (ჰო, ზოგ ქვეყანაში ასეც ხდება ხოლმე). ფრიალებს დროშები წარწერით: „დაუბრუნეთ ტროტუარი ფეხით მოსიარულეებს!“ ან „ტროტუ-არი!“ აქციის ლიდერები დილოგს აბამენ მუნიციპალიტეტის და უტიფარსახიანების წარმომადგენლებთან. ყველაზე რადიკალური ნაბიჯი, რასაც ისინი დგამენ (მხოლოდ იმისთვის, რომ უტიფარსახიანებს თვალსაჩინოდ დაანახონ პრობლემა), სავალ ნაწილზე ნახევარსათიანი სეირნობაა (მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით!). შემდეგ კი... კარგი, გვეყოფა სისულელეებზე ოცნება!

არის მესამე ვარიანტიც, მეორეზე უფრო აბსურდული: ვიდრე მუნიციპალური სამსახურებს ამ პრობლემის გადაწყვეტის საშუალება მიეცემათ, ან ფეხით მოსიარულეები აქციებს დაიწყებენ, უტიფარსახიანები თვითონ ხვდებიან, რომ ზუსტად ისეთივე მოქალაქეები არიან, როგორც ფეხით მოსიარულეები და აცნობიერებენ იმას, რომ მათ (ფეხით მოსიარულეებს) აქვთ მათთვის გამოყოფილ მონაკვეთებზე უშფოთველად სეირნობის უფლება. უფრო მეტიც, რაღაც გასაოცარი ძალის წყალობით, ისინი იმასაც ხვდებიან, რომ ავტომობილები გარემოს აბინძურებენ, ჯანმრთელი გარემო კი მათი შვილების ჯანმრთელობისთვისაა აუცილებელი. ისინი სრულიად გაოგნებულები რჩებიან ამ მარტივი ქვეყნარტების ასე დაგვიანებით აღმოჩენით. სრულიად მოულოდნელად უტიფარსახიანები გადაწყვეტილებას იღებენ, ავტომობილებით მხოლოდ მაშინ ისარგებლონ, თუ ეს მართლაც აუცილებელია. უმრავლესობა სამსახურებში ფეხით ან ველოსიპედით იწყებს სიარულს (თუ სამსახური ძალიან შორს არაა) და ფეხით მოსიარულეებთან ერთად იწყებენ მზადებას საპროტესტო აქციისათვის მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის გასაუმჯობესებლად. მათივე ინიციატივით იწყება მზადება აქციისათვის, სახელწოდებით „ხარისხიანი სანჯავი – ხარისხიანი ქალაქი!“...

სადაც გაიხედავ, მოჯადოებულ წრეს აწყდები, არა?



რადიო „წამწამი“ გეკატეხებათ კლუბში „წამწამი“

- ტრადიციული ქართული საზაფხულო
- სოცხალი მუსიკა





WWW.LIBERALI.GE

